ეკატერინე აბაშიშვილი

პარლამენტარიზმის ისტორია

(მოკლე მიმოხილვა)



თბილისი

2023

სარჩევი

თავი I – პარლამენტარიზმის არსი და მისი განვითარების ეტაპები 4

პარლამენტარიზმის არსი 4

პარლამენტის სახელწოდება 5

პარლამენტარიზმის განვითარების ეტაპები 7

თავი II – ევროპული პარლამენტარიზმის საწყისები 9

(ევროპის რამდენიმე ქვეყნისა და საქართველოს მაგალითზე) 9

ისლანდია 9

ლეონის სამეფო (ესპანეთი) 10

ინგლისი 13

საფრანგეთი 16

პოლონეთი (რეჩპოსპოლიტა) 17

საქართველო 20

თავი III – ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ჩამოყალიბება და საარჩევნო ხმის უფლების მოპოვება 23

ხელისუფლების დანაწილება 23

ქალების საარჩევნო ხმის უფლების მოპოვების ისტორია 24

თავი IV – 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 27

დამოუკიდებლობის გამოცხადების წინაპირობები 27

ეროვნული ყრილობა და მისი მოწვევის მიზეზი 29

დამოუკიდებლობის გამოცხადება 30

პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში 33

არჩევნების შედეგები 34

საქართველოს დამფუძნებელი კრება 36

დამფუძნებელი კრების (ეროვნული საბჭოს) რეგლამენტი 40

თავი V – საქართველო საბჭოთა პერიოდში (1921-1991წწ.) 42

დამოუკიდებლობის დაკარგვა და საქართველოს „გასაბჭოება“ 42

„პროლეტარიატის დიქტატურის“ სახელმწიფო 46

„გარდაქმნა“ 48

1989 წლის 9 აპრილი 49

თავი VI – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და I მოწვევის პარლამენტი 52

1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები 52

მდგომარეობა საქართველოში უზენაესი საბჭოს არჩევნების შემდეგ 56

რეფერენდუმი და დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღება 58

1991-1992 წლის სახელმწიფო გადატრიალება 60

თავი VII – 1992 წლის 11 ოქტომბრის, 1995 წლის 5 ნოემბრის და 1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები 63

1992 წლის 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები (II მოწვევა) 63
1995 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები (III მოწვევა) 68
1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები (IV მოწვევა) 71
თავი VIII – 2003 წლის 2 ნოემბრის – 2004 წლის 28 მარტის და 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნები (სააკაშვილის მმართველობის პერიოდი) 74
2003-2004 წლის საპარლამენტო არჩევნები (V-VI მოწვევა) 74
2008 წლის საპარლამენტო არჩევნები (VII მოწვევა) 77
თავი IX – 2012 წლის 1 ოქტომბრის და 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები 80
2012 წლის არჩევნები (VIII მოწვევა) 80
2016 წლის საპარლამენტო არჩევნები (IX მოწვევა) 83
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები: 87

თავი I – პარლამენტარიზმის არსი და მისი განვითარების ეტაპები

პარლამენტარიზმის არსი

საპარლამენტო სისტემა, იგივე პარლამენტარიზმი, არის სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობის სისტემა, სადაც მკაფიოდ გამიჯნულია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება და ეს უკანასკნელი ლეგიტიმურობას იძენს საკანონმდებლო ორგანოს თანხმობის შედეგად.

პარლამენტარიზმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული მმართველობისა და თანამედროვე სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის.

პარლამენტარიზმი აუცილებელია დემოკრატიული მმართველობისთვის, რადგან ის უზრუნველყოფს წარმომადგენლობას, ანგარიშვალდებულებას, კონტროლსა და ბალანსს. ასევე, ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების განვითარებას, მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

პარლამენტის ადგილი და როლი განისაზღვრება ამა თუ იმ სახელმწიფოს მმართველობის ფორმის მიხედვით. მაგალითად, საპრეზიდენტო მმართველობის რესპუბლიკებში, პარლამენტის როლი ნაკლებ მნიშვნელოვანია. ქვეყანაში პრეზიდენტს გააჩნია ფართო უფლებამოსილება და მთავრობა პასუხისმგებელია პრეზიდენტის წინაშე.

ასეთივეა პარლამენტის როლი დუალისტური (შერეული) ფორმის რესპუბლიკებშიც, თუმცა მთავრობა ანგარიშვალდებულია როგორც პრეზიდენტის, ასევე პარლამენტის წინაშე.

საპარლამენტო დემოკრატიის მქონე ქვეყანაში კი პარლამენტია ძირითადი წამყვანი ინსტიტუცია.

ბორის ჯონსონი და ელისაბედ მეორე

საპარლამენტო დემოკრატიის მქონე ქვეყანა შესაძლოა იყოს მონარქიაც და რესპუბლიკაც. საპარლამენტო რესპუბლიკებში და საპარლამენტო მონარქიებში, საკანონმდებლო ორგანო ფართო სახელისუფლებო უფლებამოსილების მქონეა. პარლამენტი ნიშნავს და აკონტროლებს მთავრობას.

საპარლამენტო მონარქიაში სახელმწიფოს მეთაურია მონარქი, საპარლამენტო რესპუბლიკაში ცერემონიალური პრეზიდენტი, ხოლო მთავრობის მეთაური – გამარჯვებული

პოლიტიკური პარტიის ლიდერი. (მაგ.: დიდი ბრიტანეთი, დანია, შვედეთი, იაპონია, ირლანდია, გერმანია, იტალია).

პარლამენტარიზმის ფუნდამენტური ელემენტებია:

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი სახელმწიფოს მართვისას, საზოგადოებაში კანონების მნიშვნელობა და სტატუსი, თავისუფლად არჩეული საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ორგანოს და პოლიტიკური პარტიების არსებობა.

თანამედროვე პარლამენტარიზმში შესაძლებელია 3 ტიპი გამოვყოთ: განვითარებული, ავტორიტარული, იმიტირებული.

განვითარებული პარლამენტარიზმი დამახასიათებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის, სადაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპი სრულად არის რეალიზებული. ასეთ ქვეყნებში დამკვიდრებულია სამართლის უზენაესობა, პარლამენტარიზმის ტრადიციები, ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოება. პოლიტიკური პარტიები აქტიურად არიან ჩართული პოლიტიკურ პროცესებში და იზიარებენ საზოგადოების განვითარებაზე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას.

ავტორიტარული პარლამენტარიზმი გულისხმობს საპარლამენტო უფლებამოსილებების შეზღუდვას აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან. აღნიშნული ტიპი ახასიათებს ისეთ ქვეყნებს, რომლებიც დემოკრატიული მმართველობის ფორმაზე გადადიან. ამ დროს დეკლარირებულია დემოკრატიული თავისუფლებები და პარლამენტარიზმის უპირველესი პრინციპები, თუმცა მათი რეალიზება სრულად არ ხორციელდება.

იმიტირებული პარლამენტარიზმი დამახასიათებელია უკიდურესად ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმებისთვის, სადაც პარლამენტები მხოლოდ სიმბოლურად არსებობს. ასეთ რეჟიმებს ახასიათებს ხელისუფლების და პოლიტიკის მონოპოლიზაცია, ხელისუფლება კანონებს იღებს მხოლოდ თავისი ნება-სურვილის მიხედვით, თავის ნებას უქვემდებარებს მთავრობას და ოპოზიციას, არღვევს პარტიების და სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუტების ავტონომიას.

პარლამენტის სახელწოდება

პარლამენტი, როგორც წესი, საზოგადო სახელია და ძალიან იშვიათად – პარლამენტის საკუთარი სახელი. სიტყვა „პარლამენტი“ დაიბადა შუა საუკუნეების ინგლისში და მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან – parler (ლაპარაკი), რადგან შუა საუკუნეების ინგლისში მმართველი ფენა ფრანგულად საუბრობდა.[1]

[1] 1066 წლის 14 ოქტომბერს უილიამ დამპყრობელის მიერ, ჰასტინგსის ბრძოლაში გამარჯვების შედეგად, ინგლისი ნორმანების ხელში გადავიდა, რასაც ანგლოსაქსური ცივილიზაციის გაფრანგულება მოჰყვა. 1363 წელს ინგლისის პარლამენტის სხდომა პირველად გაიხსნა ინგლისურ ენაზე.

ნიდერლანდების პარლამენტის ზედა პალატა, სენატი

პარლამენტები არის ერთპალატიანი და ორპალატიანი. ზედა პალატას, უმეტეს ქვეყნებში, სენატს უწოდებენ. სენატი რომაული წარმოშობის სიტყვაა და სენიორების საბჭოს ნიშნავს. სენატი ეწოდება ზედა პალატას საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიაში, ჩეხეთში, ნიდერლანდებში და სხვ.

ქვედა პალატას ევროპის ქვეყნებში, დეპუტატთა საბჭო ან წარმომადგენელთა პალატა ეწოდება.

როგორც წესი, ფედერაციული დემოკრატიული სახელმწიფოები ან 10 მილიონზე მეტი მოსახლეობის მქონე სახელმწიფოები, ირჩევენ ორპალატიანი (ბიკამერალური) პარლამენტის ფორმას, მაგალითად: გერმანია, ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, ნიდერლანდები, იტალია და სხვ.

ნიდერლანდების პარლამენტის ქვედა პალატა

კონტინენტურ ევროპაში უნიტარული[2] სახელმწიფოები ერთპალატიან პარლამენტს ირჩევენ. ესენია: საბერძნეთი, დანია, ლუქსემბურგი, პორტუგალია, შვედეთი და სხვ.

თავდაპირველად პარლამენტის ტრადიციული სისტემა ორპალატიანობას გულისხმობდა. როგორც ისტორია გვიჩვენებს, მეორე, ანუ ზედა პალატა, შემოღებულ იქნა არისტოკრატებისთვის და პირველი, ქვედა პალატის შესაკავებლად, სადაც ძირითადად წარმოდგენილი იყო ბურჟუაზია და სხვა უფრო დემოკრატიულად განწყობილი მოსახლეობის ფენები.

[2] უნიტარულ სახელმწიფოში მის შემადგენელ ნაწილებს, ტერიტორიულ ერთეულებს არ გააჩნიათ საკუთარი კონსტიტუცია, კანონმდებლობა, ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები. ქვეყანაში მოქმედებს ერთი საერთო კონსტიტუცია და კანონმდებლობა.

ბევრი მეცნიერი ფიქრობს, რომ მეორე პალატა აუცილებელია, რადგან ის პარლამენტის განუყოფელი ნაწილია.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში პარლამენტს სხვადასხვა სახელი ჰქვია: შვედეთში – რიკსდაგი, დანიაში – ფოლკეთინგი, ნორვეგიაში – სტორთინგი, საფრანგეთში – ეროვნული ასამბლეა, ფინეთში – ედუსკუნტა, ესტონეთში – რიიგიკოგუ და ა.შ.

პარლამენტარიზმის განვითარების ეტაპები

ევროპაში პარლამენტარიზმი ეტაპობრივად ვითარდებოდა. თუმცა, თანამედროვე

პარლამენტების წინამორბედად ათენის სახალხო კრებას – ეკლესიას და ძველი რომის სენატს ასახელებენ.

თავდაპირველად გაჩნდა წარმომადგენლობითი ინსტიტუტები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა პარლამენტარიზმს. ეს იყო დიდებულთა, სასულიერო პირთა და ქალაქების წარმომადგენელთა კრებები.

მომდევნო ეტაპი იყო მონარქების უფლებების შეზღუდვა. კერძოდ, 1215 წელს „თავისუფლების დიდი ქარტიის“ მიღებით, უფლებამოსილება შეეზღუდა ინგლისის მეფეს. ამის შემდეგ, მეფეები იძულებულები იყვნენ ძალაუფლება გაეზიარებინათ წარმომადგენლობით ორგანოებთან ერთად.

შემდეგ გაფართოვდა წარმომადგენლობითი ორგანოების გავლენა და უფლებამოსილება. პარლამენტმა დაიწყო კანონების მიღება. მონარქების ძალაუფლება კიდევ უფრო შემცირდა და კონსტიტუციური მოწყობა განვითარდა.

XIX და XX საუკუნეებში დემოკრატიულმა რეფორმებმა გამოიწვია საარჩევნო უფლების გაფართოება.

ევროპის ბევრმა ქვეყანამ დანერგა საყოველთაო ხმის უფლება, რაც ხმის მიცემის საშუალებას აძლევს ყველა ზრდასრულ მოქალაქეს. ამან გააძლიერა პარლამენტების დემოკრატიული ბუნება, რადგან ისინი სულ უფრო მეტად წარმოადგენდნენ მთელი მოსახლეობის ნებას.

რეფორმები ასევე მიზნად ისახავდა სოციალური თანასწორობის ხელშეწყობას, ინდივიდუალური უფლებების დაცვას და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას.

ევროპარლამენტი

უახლესი ეტაპი მოიცავს ზენაციონალური საპარლამენტო ინსტიტუტების განვითარებას. ევროინტეგრაციამ გამოიწვია ევროპარლამენტის შექმნა, რომელიც წარმოადგენს წევრი ქვეყნების მოქალაქეებს ევროკავშირის ფარგლებში.

თავი II – ევროპული პარლამენტარიზმის საწყისები

(ევროპის რამდენიმე ქვეყნისა და საქართველოს მაგალითზე)

ევროპაში ყველაზე ადრეულ პარლამენტად ითვლება ისლანდიური ალთინგი, რომელიც 930 წელს ჩამოყალიბდა. ასაკით მეორეა ესპანური კორტესები, რომელიც შეიქმნა 1137 წელს კასტილიასა და 1188 წელს – ლეონში, და მხოლოდ მესამე იყო ინგლისის პარლამენტი.

თანამედროვე ევროპული პარლამენტარიზმის ფესვები არ უნდა ვეძებოთ არც ძველ საბერძნეთსა და არც ძველ რომში. ხალხთა დიდი გადასახლების შედეგად, ძველი ცივილიზაციების შესახებ მეხსიერება დიდი ხნით წაიშალა. ანტიკური ისტორია მეცნიერებას და საზოგადოებას აღორძინების პერიოდში დაუბრუნდა და იმ ფილოსოფოსებისთვის, რომლებიც მონარქების აბსოლუტური ძალაუფლების შეზღუდვასა და სახალხო ხელისუფლების იდეას ავითარებდნენ, ანტიკური ისტორია მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი დამხმარე აღმოჩნდა.

ევროპული პარლამენტარიზმის ათასწლოვან ისტორიას ორი მთავარი ასპექტი გააჩნია. პირველი, ესაა პარლამენტის და პარლამენტის მიერ დანიშნული მთავრობის უფლებამოსილებების გაზრდა, მონარქის უფლებების შეკვეცის ხარჯზე. მეორე, საარჩევნო უფლების გაზრდა, ჯერ წოდებრივი და ქონებრივი საარჩევნო ცენზის შემცირებით და შემდეგ, მე-19 საუკუნის ბოლოდან, სქესობრივი შეზღუდვების გაუქმებით.

ისლანდია

ალთინგი (ისლ. Alþingi, საკრებულო) ჩვენ დრომდე მოღწეულ პარლამენტთა შორის უძველესია, რომელიც პირველად 930 წელს შეიკრიბა. იმხანად ალთინგიში მონაწილეობის მიღების უფლება ნებისმიერ თავისუფალ მამაკაცს ჰქონდა. თავდაპირველად ალთინგი არა მხოლოდ კანონების მიღების ადგილი, არამედ დავების გადაწყვეტის ორგანოც იყო. 1000 წელს ალთინგიზე უმეტესობამ ქრისტიანობის მიღებას დაუჭირა მხარი.

ალთინგის წარმოშობას თავისი მიზეზები ჰქონდა. 870-იან წლებში, ნორვეგიის ერთიანი სამეფოს შექმნის შემდეგ, მეფე ჰარალდის (872-933 წწ.) სისასტიკეს ნორვეგიელები ოჯახებით გაურბოდნენ შვედეთში, დანიაში, ფარერის და შეტლანდის კუნძულებსა და ისლანდიაში.

ისლანდიაში გადასახლდა ბევრი ნორვეგიული გავლენიანი გვარის წარმომადგენელი. კუნძულზე სახელმწიფო ხელისუფლება არ არსებობდა. მმართველობის ძირითადი ფორმა დაფუძნებული იყო ტომების გაერთიანებებზე. კუნძული დაყოფილი იყო ხუტორებად, საიდანაც მიწა ეძლეოდათ გლეხებს, ფიცის საფუძველზე. ხუტორის მფლობელი, გოდი, ადგილზე სამართალს აღასრულებდა, სათავეში ედგა მხედრობას და ასრულებდა რელიგიურ ფუნქციებს.

X საუკუნეში ისლანდიაში უკვე არსებობდა თინგები (თინგი) – ტერიტორიულ-ტომობრივი თემები, რომლებიც ყველა საკითხს წყვეტდნენ საერთო შეკრებებზე.

იოჰან ლუდვიგ ლუნდი - „ბოდი უძღვება ხალხს“

ისლანდიაში სულ 39 ტერიტორიულ-ტომობრივი თემი იყო, რომელთა სათავეში ბელადი იდგა. თუმცა მათი უფლებამოსილება, მხოლოდ კონკრეტულ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. ამიტომ, მუდმივი მტრობის თავიდან აცილების მიზნით, განაჩენის გამოსატანად და კანონების მისაღებად, ბელადები მორიგდნენ, რომ დაეწესებინათ რეგულარული სათათბირო, საერთო თინგი – ალთინგი.

ისლანდიის რეგულარული სათათბირო შუამავალი იყო თავისუფალ ხალხსა და მმართველ ბელადებს შორის. ისლანდიური მმართველობის ბირთვი იყო ალთინგი, თავისუფალი ადამიანების ეროვნული სათათბირო. სამთავრობო ელიტა იყო გოდები (goðar, გოდი - მხოლობით რიცხვში), რომლებიც იერარქიულად არ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულები და ყველა თანასწორი იყო. თავიანთ ადგილობრივ სამფლობელოებში ისინი არც სამხედრო მეთაურები იყვნენ და არც მცირე მეფეები. ადგილობრივი სამხედრო ბელადის არარსებობა ისლანდიაში განვითარებული თემის ბუნებიდან გამომდინარეობდა. კუნძული საკმაოდ დაშორებული იყო კონტინენტისგან და ევროპიდან თავდასხმის საფრთხე არ არსებობდა.

ისლანდიის ნორვეგიასთან გაერთიანების შემდეგაც ალთინგს 1799 წლამდე ფუნქცია არ დაუკარგავს. მოგვიანებით ალთინგი სპეციალური უმაღლესი სასამართლოთი შეიცვალა. 1844 წელს ალთინგი იოუნ სიგურდსონის მიერ იქნა აღდგენილი და მას მერე რეიკიავიკში იკრიბება. დღეისათვის (1991 წლიდან) ალთინგი ერთპალატიანი პარლამენტია 63 წევრით, რომელთაც ექვს საარჩევნო ოლქში ირჩევენ.

ლეონის სამეფო (ესპანეთი)

1188 წელს ლეონის სამეფოს კორტესმა „ლეონის კურიამ (საბჭო)“ მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტები – „ლეონის დეკრეტები“ (Decreta de León), რომელიც შეიცავს ყველაზე ძველ, წერილობით ინფორმაციას ევროპის საპარლამენტო სისტემაში.

„ლეონის დეკრეტები“, 1188 წლის დოკუმენტი

ეს დეკრეტი 2013 წელს იუნესკომ [3] აღიარა ევროპის საპარლამენტო სისტემის ყველაზე ძველ დოკუმენტურ დასაბუთებად და განათავსა „მსოფლიო მეხსიერების“ ჩამონათვალში.

ლეონის სამეფო წარმოიშვა პირენეს (იბერიის) ნახევარკუნძულზე მე-10 საუკუნის დასაწყისში.

1188 წელს ლეონის სამეფოს ტახტზე ავიდა ალფონსო IX, რომელიც ცნობილია თავისი შეუპოვარი ბრძოლებით არაბების წინააღმდეგ და იუნესკოს თანახმად, პირველი პარლამენტის მოწვევით.

ამ დროს ლეონის სამეფოს დასაპყრობად იწევდა პორტუგალია და კასტილია, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, ხოლო სამხრეთიდან – არაბები. სამეფოს ეკონომიკა სრულად განადგურებული იყო. ასეთ რთულ სიტუაციაში, 17 წლის მონარქმა ალფონსო IX-მ, 1188 წელს მოიწვია ლეონის კორტესი[4] (Cortes de León), სან ისიდოროს ბაზილიკაში. საბჭოს წევრები იყვნენ დიდებულები, სამღვდელოებისა და ქალაქების პოპულარული კლასების წარმომადგენლები. ეს უკანასკნელნი, პირველად იღებდნენ კორტესის მუშაობაში მონაწილეობას, რაც იმ პერიოდში დიდი მიღწევა იყო, რადგან

ალფონსო IX

[3] გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო), (UNESCO, აკრ. **U**nited **N**ations **E**ducational, **S**cientific and **C**ultural **O**rganization)

[4] კორტესი (ესპ. Cortés) - შუა საუკუნეების ესპანეთში რეგიონული წოდებრივ-წარმომადგენლობითი საბჭო, ხოლო მე-19 საუკუნიდან პარლამენტი ესპანეთსა და პორტუგალიაში. პირველად კორტესი შეიქმნა კასტილიაში 1137 წელს, სადაც მხოლოდ დიდებულები და სამღვდელოება მონაწილეობდა. 1188 წელს შექმნილ კორტესში მონაწილეობას იღებდა, ასევე, ქალაქების წარმომადგენლობა.

მოსახლეობის ის ფენები, რომლებიც საერთოდ არ სარგებლობდნენ რაიმე უფლებით, უცბად კორტესში მონაწილეობის უფლებით აღიჭურვნენ.

სან-ისიდოროს ბაზილიკა

აღსანიშნავია, რომ იმ დროს ეს ადამიანები ლორდებს არ ემსახურებოდნენ, თუმცა პირდაპირ მეფის და ნაწილობრივ, ეკლესიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. ასეთ ვითარებაშიც კი, ამ ადამიანებს ჰქონდათ იმის პრივილეგია, რომ საკუთარი აზრი უშუალოდ თუ არა, წარმომადგენლების მეშვეობით მაინც გამოეხატათ.

ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, ლეონის სამეფოში მსგავსი დემოკრატიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო საერთო მტრის, არაბების არსებობამ. ერთი მხრივ, შუასაუკუნეების საზოგადოებაში არსებობდა ინდივიდუალური და კოლექტიური ურთიერთობები, ხოლო მეორე მხრივ – მეფისა და მისი ხალხის კავშირი, რომელთაც საერთო მიზანი ამოძრავებდათ – ქვეყნიდან გაეძევებინათ არაბი დამპყრობლები, რომლებმაც ესპანეთის დიდი ნაწილი დაიპყრეს 711 წელს. ისტორიკოსების აზრით, მეფესა და მის ხალხს შორის ეს სიახლოვე გახდა, სწორედ, შედარებით დემოკრატიული საზოგადების შექმნის საფუძველი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალფონსო IX-ის მიერ შექმნილმა კორტესმა „ლეონის კურიამ (საბჭო)“, მიიღო „ლეონის დეკრეტები“ (Decreta de León).

1188 წელს საბჭოს შეკრებისას ორი ფუნდამენტური გადაწყვეტილება იქნა მიღებული. პირველი – დეკრეტთა კრებულის შექმნა, სამეფოში სამართლიანობისა და მშვიდობის შენარჩუნების მიზნით და მეორე – ფერნანდო II-ის მიერ (1137-1188) გაცემული ჩუქების დოკუმენტების გაუქმება.

„ლეონის დეკრეტების“ თანახმად, მეფეს უფლებები კი არ ეზღუდებოდა, არამედ მეფესა და ხალხს შორის იყო შეთანხმება, რის საფუძველზეც წესდებოდა კანონის უზენაესობა, მეფე ატარებდა პოლიტიკურ და სოციალურ ინტეგრირებულ პოლიტიკას, საკუთარი ხელისუფლების გაძლიერების მიზნით.

ქალაქი სამეფო ხელისუფლებისა და ეკონომიკური სიძლიერის მნიშვნელოვანი დასაყრდენი გახდა. ალფონსოს სამეფო საბჭოს მიერ მიღებული დეკრეტების მნიშვნელოვანი საკითხები იყო: 1) კანონის უპირობო აღსრულება – განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ადგილობრივ კანონებს; 2) კორუფციის გაქრობა – მეფის გარანტიით, მხოლოდ ზუსტი და დასაბუთებული მტკიცებულებები შეიძლებოდა

გამხდარიყო დადანაშაულების მიზეზი, სამეფო კურია უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს რანგში გამოდიოდა; 3) სასამართლოს მიმართ პატივისცემა. არავის შეეძლო კანონი თავის ხელში მოექცია. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულები იყვნენ მეფის სასამართლოსთვის მიემართათ, ან, აუცილებლობის შემთხვევაში, თავადების ან ეკლესიის სასამართლოსთვის; 4) ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილებების კეთილსინდისიერად აღსრულება; 5) „კარგი ადამიანის“ ფიგურის გაძლიერება – დავების დროს როგორც არბიტრისა და მოწმისა, ასევე ქალაქის მაცხოვრებლების კანონიერი წარმომადგენლისა; 6) სასამართლო წარმოების სამართლიანად წარმართვის მიზნით, ორივე მხრიდან დანიშნული გამომძიებლები; 7) ზრუნვა საზოგადოებრივი წესრიგისა და კერძო საკუთრების დაცვის უზრუნველყოფაზე.

ლეონის კორტესი მოქმედებდა ალფონსო IX-ის სიცოცხლის ბოლომდე. 1230 წელს იგი გარდაიცვალა და მისივე ანდერძის თანახმად, პირველი ქორწინებიდან შეძენილ ორ ქალიშვილს – სანჩეს და დულსეს, გადაეცათ სამეფო. თუმცა ფერნანდომ[5], მისმა ვაჟმა სხვა ქორწინებიდან, ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და ლეონის კანონების თანახმად, სადაც ძირითად მემკვიდრედ ვაჟიშვილი იყო გამოცხადებული, მოიგო სასამართლო დავა. დებს საკმაოდ დიდი კომპენსაცია გადაუხადა, ხოლო მათ, თავის მხრივ, ვალდებულება აიღეს, რომ არასდროს არ განაცხადებდნენ სამეფო ტახტზე პრეტენზიას. შედეგად, ფერნანდო ცნეს ლეონისა და გალისიის მეფედ, რომელმაც ეს ტერიტორიები კვლავ კასტილიასთან გააერთიანა. ამის შემდეგ ერთიანი კასტილია და ლეონი აღარასოდეს დაშლილა. შემდგომი მეფეებიც ასევე იწოდებოდნენ, კასტილიისა და ლეონის მეფეები.

ინგლისი

თანამედროვე ევროპული ქვეყნების უმეტესობაში, განსაკუთრებით ფედერაციულ ქვეყნებში, ორპალატიანი პარლამენტები არსებობს, რომლის ფუძემდებლადაც ინგლისი ითვლება.

პირველი პარლამენტის მსგავსი წარმონაქმნი, ინგლისში ჯერ კიდევ ნორმანებამდე, ანგლოსაქსურ ეპოქაში არსებობდა და მას ვიტენაგემოტი ეწოდებოდა, რაც „ბრძენი კაცების შეკრებას“ ნიშნავდა.

მისი ძირითადი ფუნქცია იყო დიდგვაროვანთა და სამღვდელოების ინტერესების გატარება. მე-11 საუკუნის დასაწყისში ინგლისში გაჩნდა საბჭო, რომელშიც შედიოდნენ სასულიერო იერარქები და მსხვილი მიწათმფლობელები. 1215 წელს ხელი მოეწერა „თავისუფლების დიდ ქარტიას“, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია ინგლისის ისტორიაში.

ინგლისის დიდგვაროვნებმა 1215 წლის ივლისში შეადგინეს პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტი, რომელსაც უწოდეს „თავისუფლების დიდი ქარტია“ და

[5] მას დედის მხრიდან კასტილიის სამეფოს გვირგვინი ერგო წილად.

წარუდგინეს მეფეს, იოანე უმიწაწყლოს. ქარტია შედგებოდა 63 მუხლისგან, რომელიც ეხებოდა გადასახადების საკითხებს, სასამართლოს, ინგლისის ეკლესიის უფლებებს, ქალაქებისა და ვაჭრების საკითხებს, მემკვიდრეობით სამართალს და სხვ.

„თავისუფლების დიდი ქარტია“, 1215 წელი

ქარტიაში, რომელიც მეფის ძალაუფლებას ზღუდავდა, ისეთი იურიდიული ცნებები გაჩნდა, როგორიცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია, თავისუფალი გადაადგილება, ქონებრივი დავის გადაწყვეტის წესები, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი სახელმწიფო სამოქალაქო-სამართლებრივი კოდექსი.

ქარტიის ძირითადი არსი ის იყო, რომ კანონი ერთია ყველასთვის, მათ შორის, სამეფო კარის წარმომადგენლებისთვისაც.

მიუხედავად იმისა, რომ დიდგვაროვნებმა იოანე უმიწაწყლო აიძულეს ქარტიაზე ხელი მოეწერა, და მეფე კი ყველანაირად ცდილობდა თავი აერიდებინა ქარტიაში მოცემული პირობების შესრულებისთვის, ქარტიის ზოგიერთი დებულება დღემდე ბრიტანეთის არაკოდიფიცირებული კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია.

1236 წელს, მეფე ჰენრი III-ის მეფობის დროს, გაჩნდა ჩანაწერი ინგლისის სამეფოს ოფიციალურ დოკუმენტებში, სადაც პირველად მოხსენიებულია სიტყვა „პარლამენტი“. დოკუმენტში ნათქვამია, რომ „საქმის განხილვა გადაიდო „პარლამენტამდე“, რომელიც გაიმართება მომდევნო წლის იანვარში“.

თავისუფლების დიდი ქარტიის მიღებიდან 50 წლის შემდეგ, ინგლისელმა დიდგვაროვნებმა კვლავ სცადეს მეფის ძალაუფლების შეზღუდვა თავიანთ სასარგებლოდ. ჰენრი III-ის მეფობის დროს შეადგინეს დოკუმენტი, რომელსაც „ოქსფორდის დებულებები“ ეწოდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, მონარქის უფლებები ბოლომდე იზღუდებოდა ბარონების სასარგებლოდ.

1258 წლის ივნისში შეიარაღებული არისტოკრატები (პრელატები, გრაფები და ბარონები) შეიკრიბნენ ოქსფორდში და მეფე ჰენრი მესამეს წარუდგინეს პეტიცია, სადაც ჩიოდნენ განუკითხაობისა და ცუდი მმართველობის თაობაზე. 24 პირისგან არჩეულმა კომიტეტმა შეადგინა ე.წ. „ოქსფორდის დებულებები“. შედეგად 24-კაციანი კომიტეტი ორ ნაწილად გაიყო: 12 – მეფის სათათბიროდან და 12 – ბარონებისგან.

მათ აირჩიეს 4 პირი (სამეფო ნაწილმა 2 პირი ბარონებისგან და ბარონებმა – 2 პირი სამეფო სათათბიროდან), რომლებმაც, თავის მხრივ, აირჩიეს 15 სამეფო მრჩეველი მეფესთან თათბირის მიზნით, მიმდინარე ადმინისტრაციული საქმეებისთვის. კომიტეტი ამტკიცებდა 1 წლით უმაღლეს მოსამართლეს, მთავარ ხაზინადარს და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს. ოქსფორდის დებულებების თანახმად, წელიწადში სამჯერ უნდა შეკრებილიყო კომიტეტი მეფის მოწვევით ან მისი თანხმობის გარეშე.

სიმონ დე მონფორის ძეგლი

1259 წელს რაინდებმა მეფეს შესჩივლეს, რომ ბარონები მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ. ასეთ სიტუაციაში მეფემ გადაწყვიტა აღარ შეესრულებინა ოქსფორდის დებულებები და დაყრდნობოდა მცირე რაინდების კლასს. 1261 წლის ივნისში, ვინჩესტერში კომიტეტს წარუდგინა პაპის ბულა [6], რომელიც მას დადებული ფიცისგან ათავისუფლებდა.

შედეგად, ბარონები კვლავ გაერთიანდნენ მეფის წინააღმდეგ და დაიწყო სამოქალაქო ომი, ე.წ. „ბარონების მეორე ომი“. ბარონი სიმონ დე მონფორი აქტიურად ჩაუდგა სათავეში ბარონების ბრძოლას და 1265 წელს მოიწვია სათათბირო, რომელშიც დიდი ბარონების გარდა, ასევე შედიოდნენ ორი რაინდი ყველა საგრაფოდან და ორი წარმომადგენელი ქალაქების კომუნებიდან. ეს სათათბირო უნდა გამხდარიყო სიმონ დე მონფორის მხარდამჭერი მეფესთან ბრძოლაში. ამ სათათბირომ, სიმონ დე მონფორის პარლამენტმა, სათავე დაუდო პარლამენტარიზმს ინგლისში.

მეფის ჯარებმა ივშემის ბრძოლაში, 1265 წლის აგვისტოში, დაამარცხეს ბარონები, სადაც სიმონ დე მონფორი დაიღუპა. თუმცა ამ სამოქალაქო ომის შედეგი იყო, რომ 1267 წელს მეფემ განაახლა პარლამენტის მუშაობა.

1295 წლის ნოემბერში ინგლისის მეფე ედუარდ I-მა მოიწვია ე.წ. „სანიმუშო პარლამენტი“, რომელიც ისეთი პარლამენტის ნიმუში უნდა გამხდარიყო, რომელსაც ყველა ფენის წარმომადგენელი ეყოლებოდა. გრაფების, ბარონების, ეპისკოპოსების, არქიეპისკოპოსებისა და აბატების გარდა, შევიდნენ რაინდები და ქალაქების კომუნების წარმომადგენლები. ამ დროიდან პარლამენტის სესიები რეგულარული გახდა.

[6] რომის პაპის ბრძანებულება, სიგელი

ორპალატიანი პარლამენტი, ისეთი, როგორიც დღეს არის და შედგება ლორდთა პალატისგან და თემთა პალატისგან, შეიქმნა XIV საუკუნეში, ედუარდ III-ის მეფობის დროს. ამგვარ პარლამენტში ყველა კანონი მიიღებოდა ორივე პალატისა და მეფის მიერ.

საფრანგეთი

საფრანგეთში პირველი უმაღლესი წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო „გენერალური შტატები“ მოქმედებდა 1302 - 1789 წლებში.

ფილიპე IV ლამაზი

გენერალური შტატების შექმნა დაკავშირებული იყო ქალაქების ზრდასთან, სოციალური წინააღმდეგობებისა და კლასობრივი ბრძოლის გამძაფრებასთან, რაც ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერების აუცილებლობას იწვევდა.

გენერალურ შტატებს წინ უსწრებდა სამეფო საბჭოს გაფართოებული სხდომები, ასევე პროვინციული წოდებრივი ასამბლეები. პირველი გენერალური შტატები მოწვეულ იქნა 1302 წელს, საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზისა და რომის პაპის ბონიფაციუს VIII-ის კონფლიქტის დროს.

საფრანგეთში რეფორმების ახალი ეტაპი უკავშირდება ფილიპე IV ლამაზს. მის დროს სამეფო ხელისუფლება მეტად გაძლიერდა. ფილიპე სამეფო ხაზინის შესავსებად ბეგარას ადებდა ფეოდალებს, ქალაქებს და ეკლესიასაც კი, რამაც გამოიწვია პაპ ბონიფაციუს VIII-ის უკმაყოფილება. ამ დროს რომის პაპმა საგანგებო ბულით აკრძალა სასულიერო წოდებისათვის გადასახადების დაკისრება. საპასუხოდ, ფილიპე მეოთხემ პაპის გვერდის ავლით, საფრანგეთიდან ფინანსების გატანა აკრძალა. დავა დასრულდა მეფის გამარჯვებით.

სწორედ ამ დროს, მეფესა და პაპს შორის არსებული კონფლიქტის გამო, 1302 წელს ფილიპემ პირველად მოიწვია ე.წ. გენერალური შტატები, რომელიც წარმოადგენდა მანამდე არსებული სამეფო საბჭოს გაფართოებულ ვარიანტს. შტატებში შედიოდნენ მხოლოდ დიდგვაროვნები. მათ არ ჰქონდათ გადაწყვეტილების მიღების უფლება,

ისინი მხოლოდ რჩევას აძლევდნენ მეფეს. მეფე გენერალურ შტატებს მაშინ იწვევდა, როცა მას ფინანსური მხარდაჭერა სჭირდებოდა.

გენერალური შტატების როლი გაიზარდა ინგლის-საფრანგეთის ასწლიანი ომის დროს (1337-1453 წწ.), მაშინ, როდესაც სამეფო კარს ისევ დასჭირდა ფეოდალების ფინანსური მხარდაჭერა.

XIV საუკუნის ბოლოდან გენერალური შტატები უფრო და უფრო იშვიათად იკრიბებოდა. მისი პოზიციები მკვეთრად შესუსტდა. გენერალური შტატები უკანასკნელად 1614 წელს მოიწვია მარია მედიჩიმ თავისი ვაჟის, ახალგაზრდა ლუი XIII-ის სახელით, რადგან მაშინ დიდებულებმა სცადეს ძალაუფლების შეზღუდვა. შემდგომში, საფრანგეთის რევოლუციამდე, ფრანგ მონარქებს მისი მოწვევის სურვილი აღარ გასჩენიათ. 1614 წლიდან 1789 წლამდე გენერალური შტატები ერთხელაც არ მოუწვევიათ. 1789 წლის მაისში, საფრანგეთის რევოლუციის წინ, მეფე იძულებული გახდა მოეწვია გენერალური შტატები. გენერალური შტატების მესამე წოდების წევრებმა დააარსეს ნაციონალური (ეროვნული) ასამბლეა, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო გახდა.

საფრანგეთის თანამედროვე პარლამენტის წინამორბედი სწორედ 1789 წლის ნაციონალური ასამბლეის მოდელია. ბასტილიის აღების შემდეგ, პარლამენტმა თავის თავზე აიღო ქვეყნის მართვის სადავეები. 1791 წელს მიიღეს საფრანგეთის პირველი კონსტიტუცია.

პოლონეთი (რეჩპოსპოლიტა)

X საუკუნის შუა წლებში, მეშკო პირველმა, რომელიც მართავდა რამდენიმე დასავლეთ სლავურ ტომს, საკუთარი ძალაუფლების გამტკიცების მიზნით, მიიღო ლათინური წესის ქრისტიანობა და ცოლად შეირთო ბოჰემიის პრინცესა დუბრავკა. ეს ითვლება პოლონეთის სახელმწიფოებრიობის სიმბოლურ დასაწყისად. პოლონეთი გახდა ქრისტიანული სახელმწიფო, მიუერთდა დასავლურ კულტურას და რომის პაპის მფარველობაში გადავიდა.

მეშკოს შვილმა, ბოლესლავ I მამაცმა, დაასრულა ქვეყნის ჩამოყალიბება, მიიერთა ბევრი ტერიტორია და იქ ქრისტიანული რწმენა გაავრცელა. თავისი დამსახურებების გამო, ბოლესლავმა მიიღო ტახტი და გახდა პოლონეთის პირველი მეფე. 1025 წელს პოლონეთი სამეფო გახდა.

მეშკოს დინასტია (პიასტები) მართავდა პოლონეთს XIV საუკუნის ბოლომდე, სანამ მისი ბოლო წარმომადგენე კაზიმირ III-ის გარდაცვალებამდე. გარდაცვალებიდან მალევე პოლონეთის პრინცესა იადვიგა, ცოლად გაჰყვა ლიტვის დიდ მთავარს იაგაილოს (ვლადისლავ II იაგელო), რითაც საფუძველი ჩაეყარა ორი ერის დიდხნიან კავშირს. 1569 წელს ლუბლინის უნიის (შეთანხმების) მიხედვით, პოლონეთი და ლიტვის დიდი სამთავრო ერთ დიდ, პოლონეთ-ლიტვის ფედერაციულ სახელმწიფოდ, რეჩპოსპოლიტად ჩამოყალიბდა (Rzeczpospolita).

რეჩპოსპოლიტა ევროპაში პირველი დემოკრატიული მონარქია იყო. ქვეყნის სათავეში იყო სეიმის მიერ არჩეული მონარქი, რომელიც ორ ტიტულს ატარებდა – პოლონეთის მეფისა და ლიტვის დიდი მთავრის. პოლონეთი პირველი მულტიკულტურული სახელმწიფო გახდა, სადაც უმცირესობების უფლებებს კანონი იცავდა. რეჩპოსპოლიტა ერთ-ერთი ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფო იყო ევროპაში, როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისით.

ხელისუფლება რეჩპოსპოლიტაში ეკუთვნოდა სეიმს. სეიმი (sejm walny) იყო წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ წარმომადგენლობითი იყო, ხოლო მოგვიანებით საკანონმდებლო ორგანოც გახდა, რომელსაც ფართო უფლებამოსილება გააჩნდა.

რეჩპოსპოლიტა 1619 წელს

სეიმი იყო ორპალატიანი, რომლის შემადგენლობაში იყო სენატი და დეპუტატთა პალატა (Izba Poselska). სენატის შემადგენლობაში შედიოდნენ უმაღლესი სამეფო დიდებულები, კათოლიკური სამღვდელოება, საერობო თანამდებობის პირები – ვოევოდები[7] და კაშტელანები[8]. დეპუტატთა პალატა შედგებოდა ე.წ.

[7] მეფის ნაცვალი (მშვიდობიანობის დროს) და მხედართმთავარი (ომიანობის დროს), სავოევოდოს სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციის უფროსი.

[8] თანამდებობა გაჩნდა მე-13 საუკუნეში. თავდაპირველად ციხის მმართველი იყო და ასრულებდა სასამართლოს რამდენიმე ფუნქციასაც. მე-16 საუკუნიდან ახლად შექმნილ სავოევოდოებში

ელჩებისგან, რომლებიც აირჩეოდნენ პოვიატების (powiat - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული) სეიმიკებიდან (sejmik) (ადგილობრივი წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო).

პოვიატების სეიმიკები სეიმის მუშაობის დაწყების წინ სპეციალურად იკრიბებოდა ადგილობრივი შლიახტის [9] წარმომადგენლებისგან. ყოველი პოვიატი სეიმზე აგზავნიდა ორ დეპუტატს, რომელსაც გადასცემდნენ სეიმიკზე მიღებულ ინსტრუქციას, სადაც გადმოცემული იყო პოვიატის შლიახტის პოზიცია სეიმზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

პოვიატების სეიმიკებზევე აირჩეოდა უმაღლესი ტრიბუნალის (სასამართლო) მოსამართლეობის კანდიდატებიც.

სეიმი პასუხისმგებელი იყო ახალი კანონების შემუშავებასა და მიღებაზე, გადასახადების დაწესებაზე, საგარეო კურსის პოლიტიკის შემუშავებაზე, ომის გამოცხადებაზე, სამშვიდობო ხელშეკრულებებისა და ზავის დადებაზე, მეფის საქმიანობისა და სახელმწიფო მოხელეების კონტროლზე.

თუმცა, „ზედმეტი დემოკრატია“ ქვეყნის მართვის სირთულედ გადაიქცა.



რეჩპოსპოლიტა, სეიმის სხდომა, ვარშავა, 1622 წელი

მე-16 საუკუნის ბოლოს საბოლოოდ ჩამოაყალიბეს, მიიღეს და დაამტკიცეს ახალი მონარქის არჩევის პროცედურა, რამაც ეს პროცესი რთული და ხანგრძლივი გახადა.

ე.წ. „ამომრჩეველი სეიმი“ (Sejm elekcyjny), რომელიც უშუალოდ ირჩევდა მეფეს, შედგებოდა დაახლოებით 100 ათასი წევრისგან, ანუ პოლონეთის ყველა დიდგვაროვნისგან – შლიახტისგან. ამასთან ერთად, მეფის არჩევა ერთხმად უნდა მომხდარიყო. ამის გამო, მეფის არჩევა დროში იწელებოდა.

პირველ ეტაპზე, ე.წ. „მოწვევის სეიმი“ (Sejm konwokacyjny) ასახელებდა მეფის კანდიდატურებს. მაგალითად, 1668 წლის ნოემბერში დასახელებული იყო 14

შემოღებული იქნა კაშტელანის თანამდებობა, რომლის ფუნქციებიც კარგად არ იყო გაწერილი. ფაქტობრივად, მეორე პირი იყო ვოევოდას შემდეგ.

[9] შლიახტა (პოლ. szlachta) — გაბატონებული ფეოდალური კლასის ძირითადი ნაწილის სახელწოდება. პოლონური შლიახტის თავისებურება იყო მისი შედარებით მრავალრიცხოვნება, მცირემიწიანობა და უმიწაწყლობა.

კანდიდატი, „ამომრჩეველთა სეიმზე“ მეფედ აირჩიეს მიხაილ კორიბუტ ვიშნევეცკი, პოლონელი მაგნატი. 1669 წელს კი მოხდა არჩეული მეფის დამტკიცება მეორე ეტაპზე, ე.წ. „საკორონაციო სეიმზე“ (Sejm koronacyjna).

მსგავსი სისტემა ბოლომდე დემოკრატიული არ იყო, რადგან არჩევნებში მხოლოდ დიდგვაროვნები დაიშვებოდნენ. ქალაქების მდიდარ ფენას მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება ჰქონდა.

მეზობელი ქვეყნების გაძლიერების ფონზე, რეჩპოსპოლიტა ასეთი მმართველობის ფორმით განწირული აღმოჩნდა, რაც, საბოლოოდ, ქვეყნის 3 ნაწილად დაყოფის შემდეგ, 1795 წელს საერთოდ გაქრა პოლიტიკური რუკიდან.

საქართველო

მეფე გიორგი III-ის გარდაცვალებისთანავე (1184), საქართველოში დაიწყო დიდგვაროვან აზნაურთა გამოსვლა. ვითარებაც თითქოს შესაფერისი იყო. ძლიერი მეფე გიორგი, რომელმაც დროებით, მაგრამ მაინც, დიდგვაროვანთა პოზიციის დაცხრომა და მისთვის საფუძვლების შერყევა შეძლო, ცოცხალი აღარ იყო. ქვეყნის სათავეშიც გამოუცდელი ახალგაზრდა მეფე-ქალი იდგა. ასეთ პირობებში დიდგვაროვანთა ნაწილი, გიორგის დროს მოჩვენებითი სიმშვიდით რომ ინიღბებოდა, ენერგიულად შეუდგა ცენტრალური ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობათა დაუფლებისათვის ბრძოლას.

თამარის და გიორგი მესამის ფრესკა ბეთანიის მონასტრიდან

სწორედ ამ დროს გამოვიდა სარბიელზე მეჭურჭლეთუხუცესი [10] ყუთლუ-არსლანი, რომელიც ამირსპასალარის [11] თანამდებობის დასაკავებლად ემზადებოდა.

როგორც ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი შედგებოდა როგორც დაბალი და საშუალო

[10] გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ვეზირი — სახელმწიფო ხაზინის მთავარი გამგე, მეჭურჭლეთა უფროსი.

[11] ამირსპასალარი (არაბ.-სპარს. ამირ — უფროსი, სპარს. სეფაჰსალარ — სარდალი) — გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ვეზირი, მთავარსარდალი. განაგებდა მუდმივ ჯარს, მეფის მონა-სპას, სახასო მამულებიდან და საფეოდალოებიდან გამოწვეულ ლაშქარს და სხვა ქვეყნებში დაქირავებულ რაზმებს. ომის დროს ჯარის უშუალო ხელმძღვანელი იყო მეფის შემდეგ, ებარა სახელმწიფო დროშა და წინ მიუძღოდა ლაშქარს.

სოციალური წარმოშობის საქალაქო წრეებისაგან (ანუ „სიმდიდრით ალაღებულთაგან“), ისე განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის წყალობით სამეფო ხელისუფლების მიერ ყუთლუ-არსლანივით აღზევებულთაგან, რომლებიც ამ აჯანყების მეთაურის საიმედო თანაშემწენი და თანაშეფიცულნი იყვნენ.

ყუთლუ-არსლანი და მისი დასელები მოითხოვდნენ, რომ ისანში, სადაც სამეფო სასახლე და სახლობაც იმყოფებოდა, დაარსებულიყო „კარავი“ – საკანონმდებლო ხელისუფლებით აღჭურვილი ორგანო. ყუთლუს დასის პროგრამით, „კარავს“ უნდა ჰქონოდა უზენაესი მართლმსაჯულებისა და უმაღლეს მოხელეთა დანიშვნა-გადაყენების უფლება. მეფე არ უნდა დასწრებოდა „კარვის“ სხდომებს და მას მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება რჩებოდა.

თამარმა რეალურ საფრთხედ შეაფასა გაფიცულთა მოთხოვნები. ამის გამო, მან ჯერ თავის ერთგულ პირებთან ითათბირა გაფიცვის თაობაზე, რის შემდეგაც გადაწყვიტა ხელთ ეგდო ყუთლუ-არსლანი და იგი დააპატიმრა კიდეც იმ იმედით, რომ ხელმძღვანელის შეპყრობა გაფიცულებს შეაჩერებდა, თუმცა მისი ვარაუდი არ გამართლდა.

ყუთლუ-არსლანთან შეფიცულები საკმაოდ ძლიერები და საკუთარი თავის რწმენის მქონენიე იყვნენ. ამან თამარ მეფე აიძულა მოლაპარაკება დაეწყო გაფიცულებთან და მათთან შუამავლებად წარჩინებული მანდილოსნები – ქართლის ერისთავთერისთავის რატის დედა ხუაშაქ ცოქალი და სამძივართა დედა კრავაჲ ჯაყელი მიგზავნა. მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრდა. გაფიცულებმა თამარს ერთგულება აღუთქვეს და მეფეც მათ ხელშეუხებლობას დაჰპირდა. ყუთლუ-არსლანიც გადაურჩა დასჯას.

როგორც ჩანს, ორივე მხარე ურთიერთდათმობაზე შეთანხმდა –„კარვის” დაარსების მოთხოვნა უარყოფილ იქნა და, მეორე მხრივ, მეფემაც დათმო ზოგიერთი რამ.

ივანე ჯავახიშვილმა ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური მოთხოვნები ხელისუფლების დანაწილების თეორიას დაუკავშირა: „მეჭურჭლეთუხუცესის დასის პროგრამა რომ თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგიით გამოითქვას, მეფეს უნდა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება შერჩენოდა, კანონმდებელი ხელისუფლება კი მარტო „კარავში“ დასხდომილთ უნდა ჰქონოდათ“.

უნდა ითქვას, რომ სამეფო დარბაზის თანხმობით, ჩვეულებისამებრ, ადრეც იღებდა მეფე გადაწყვეტილებებს, თავად გიორგი III და შემდგომ თამარიც ეთათბირებოდნენ სამეფო დარბაზს და გადაწყვეტილებებსაც მათი რჩევით იღებდნენ. რთულია იმის თქმა, რა შეიცვალა სამეფო დარბაზის მოქმედებაში ყუთლუ-არსლანის დასის შემდეგ, რამდენადაც ადრეც დარბაზის წევრები აძლევდნენ მეფეს თანხმობას უმნიშვნელოვანეს საქმეებზე.

თუმცა, არის ერთი გარემოება, რასაც უდავოდ უნდა მიექცეს ყურადღება. მაშინ, როცა სამეფო ხელისუფლება ძლიერი იყო და მას ერთმმართველი განაგებდა, ბუნებრივია, ასეთი თანხმობა მხოლოდ ფორმალობა იყო, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი სამეფო

ხელისუფლება დასუსტდებოდა, დარბაზის გადაწყვეტილებებს და მის პოზიციას რეალური ძალა ექნებოდა.

თამარ მეფე. მიხაი ზიჩის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია.

როგორც ჩანს, თამარის მეფობის პირველ წლებში სწორედ ასეთი რეალური ფუნქცია შეიძინა სამეფო დარბაზმა, რამდენადაც ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა მეფისთვის თანამეცხედრის შერჩევა, გადაწყვიტა არა სამეფო კარმა უშუალოდ, ანდა თამარმა ერთპიროვნულად, არამედ სამეფო დარბაზმა. სწორედ დარბაზის ინიციატივა გახლდათ გიორგი რუსის საქართველოში ჩამოყვანა.

ამრიგად, 1185 წელს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის შედეგად, ,,კარვის” მოთხოვნის ნაცვლად მივიღეთ სახელმწიფო საბჭო ანუ დარბაზი.

თავი III – ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ჩამოყალიბება და საარჩევნო ხმის უფლების მოპოვება

ხელისუფლების დანაწილება

ხელისუფლების დანაწილების თეორია მომდინარეობს „შერეული მმართველობის“ იდეიდან, რომელიც ჯერ კიდევ არისტოტელემ და ციცერონმა შეიმუშავეს.

ციცერონი განასხვავებდა მმართველობის სამ უბრალო ფორმას: სამეფო ხელისუფლებას, ოპტიმატების (არისტოკრატიის) ხელისუფლებას და ხალხის ხელისუფლებას (დემოკრატიას). იგი ხაზს უსვამდა თითოეულის უპირატესობას, ამიტომ ეს ღირსებები წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს შერეულ ფორმაში, რომელსაც, არისტოტელეს მსგავსად, საუკეთესოდ მიიჩნევდა.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელიც პირველად ფრანგმა ფილოსოფოსმა, პოლიტიკურმა მოაზროვნემ, სოციოლოგმა შარლ ლუი მონტესკიემ (1689–1755) ჩამოაყალიბა. მისი სამართლებრივი თეორიის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლება 3 შტოსგან უნდა შედგებოდეს: აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებისაგან, რომლებიც დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ და ანგარიშვალდებულნი არიან როგორც ერთმანეთის, ისე ხალხის წინაშე. ამგვარი სისტემა კონტროლის ადეკვატურ მექანიზმებს უზრუნველყოფს და აღკვეთს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას.

ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებისას ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოები. თითოეული შტო დანარჩენისაგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეული გადაკვეთა და კონტროლის უფლებაც უნდა ჰქონდეს.

ხელისუფლების ამგვარი დანაწილების შედეგად, მკვეთრად მცირდება ვინმეს ან გარკვეული ძალების მიერ ხელისუფლების მითვისების შესაძლებლობები. ამას „ხელისუფლების დანაწილებისა და ბალანსის“ თეორია ეწოდება. ეს პრინციპი პირველად ჩაიწერა აშშ-ის კონსტიტუციაში 1787 წელს, შემდეგ კი – საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს მიღებულ ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში, რომელშიც ნათქვამია: „საზოგადოებები, რომლებშიც უზრუნველყოფილი არ არის უფლებათა გარანტიები და დადგენილი არ არის ხელისუფლებათა დანაწილება, არაკონსტიტუციურია“.

ხელისუფლების დანაწილების თეორიის თანახმად:

- ✓ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას კონსტიტუციის თანახმად, სხვადასხვა ორგანო და სხვადასხვა ადამიანი ახორციელებს
- ✓ ყველა ხელისუფლება თანასწორია

- ✓ არც ერთ ხელისუფლებას არ შეუძლია ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც კონსტიტუციას მინიჭებული აქვს ხელისუფლების სხვა შტოსთვის
- ✓ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია პოლიტიკური ზემოქმედებისგან. მოსამართლეები დამოუკიდებელნი, ხელშეუხებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

ამჟამად, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმშიც გამოიყოფა ხელისუფლების სამი შტო:

თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებისას მათ არ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეიჭრან სხვა ხელისუფლებათა სფეროში. ამის უზრუნველსაყოფად ხელისუფლების განაწილების მექანიზმში მოქმედებს ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების სისტემა.

დღეს ბევრი ლაპარაკობს ხელისუფლების მეოთხე შტოს შესახებ, რომელშიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იგულისხმება.

ქალების საარჩევნო ხმის უფლების მოპოვების ისტორია

საარჩევნო ხმის უფლება ქალებს დიდი ბრძოლების და გამოსვლების შემდეგ მიეცათ.

XIX საკუნეში დაწყებული პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლა, თავდაპირველად, მამაკაცთა ხმის უფლებისთვის ბრძოლას წარმოადგენდა. ჩვეულებრივ, ევროპაში საარჩევნო ხმის უფლება ეძლეოდათ ქონებრივი ცენზით, ზოგ შემთხვევაში (მაგალითად, ბრიტანეთში) – კომლური პრინციპით, იშვიათ შემთხვევაში (იტალია, პორტუგალია) – დაწყებითი ან უმაღლესი განათლების მიხედვით.

მეცხრამეტე საუკუნე ხასიათდება არჩევნებში მონაწილეობის უფლებისათვის სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების ბრძოლით, რომელსაც ევროპაში გარკვეული დოზით ლიბერალები, ძირითადად კი, შრომითი მოძრაობა ახორციელებდა. ბრიტანეთში ეს მოძრაობა 1832 წლის დიდი რეფორმის აქტით დაიწყო (The Great Reform Act of 1832); საფრანგეთში – ბურჟუაზიული რევოლუციით

და განახლდა 1830 წლის ივლისის რევოლუციით; ბელგიაში – 1831 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებით; ნორვეგიაში – 1814 წლის კონსტიტუციით; გერმანიაში – ფედერალური მიწების ადრეული კონსტიტუციონალიზმით (პირველი ბადენის 1818 წლის კონსტიტუცია იყო) და ა.შ.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში გააქტიურდა ქალთა მოძრაობა, რომელთა მონაწილეებსაც „სუფრაჟისტები“ ეწოდა (ფრანგ. suffrage-დან — საარჩევნო უფლება). სუფრაჟისტები აქტიურად იყენებდნენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის არაძალადობრივ მეთოდებს: იბამდნენ თავებს ჭიშკრებზე, სხდებოდნენ რელსებზე, აწყობდნენ დემონსტრაციებს და იდგნენ ქუჩებში პლაკატებით.

ბრიტანეთის ქალთა სოციალურ-პოლიტიკური კავშირის აქტივისტები, რომლის სათავეშიც ემელინ პანქჰერსტი იდგა, მიტინგებისა და შეკრებების გარდა, იყენებდა ასევე ბრიტანეთის პოლიტიკური კულტურისთვის არატრადიციულ მეთოდებსაც: ამტვრევდა შუშებს სამთავრობო შენობებში, ცეცხლს უკიდებდა პოლიტიკური ოპონენტების სახლებს, პოლიციასთან შეტაკების პროვოცირებას ახდენდა და ციხეში მოხვედრის შემდეგ, შიმშილობას აცხადებდა.

ლონდონი, 1915 წელი. შუაში ემელინ პანქჰერსტი (Emmeline Pankhurst)

ასეთმა აქტიურობამ შედეგი გამოიღო და 1893 წელს ახალ ზელანდიაში (იმ დროს ბრიტანეთის იმპერიის ნაწილი იყო) და შემდეგ ავსტრალიაში 1902 წელს (1901 წლამდე ბრიტანეთის კოლონია იყო) ქალებმა საარჩევნო ხმის უფლება მიიღეს 21 წლის ასაკიდან. შემდეგ, 18 წლის განათლების მქონე ქალებმა მიიღეს საარჩევნო ხმის უფლება ნორვეგიაში 1913 წელს, დანიასა და ისლანდიაში – 1915 წელს, რუსეთში – 1917 წელს, პოლონეთში – 1918 წელს.

1919 წელს არჩევნებში ხმის მიცემისა და არჩეულად ყოფნის უფლება მიიღეს ქალებმა გერმანიაში, ნიდერლანდებში, შვედეთში, ლუქსემბურგსა და ბელგიაში (მხოლოდ მუნიციპალურ არჩევნებში).

1920 წლიდან საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლება შემოღებულ იქნა ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიაში, უნგრეთში, 1922 წელს – ირლანდიაში, 1928 წელს – დიდ ბრიტანეთში, 1931 წელს – ესპანეთში.

საფრანგეთში ქალებს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მხოლო 1944 წლიდან აქვთ, იტალიაში – 1947 წლიდან, რუმინეთსა და ბელგიაში (ნაციონალურ დონეზე) – 1948 წლიდან, საბერძნეთში – 1952 წლიდან, შვეიცარიაში – 1971 წლიდან, პორტუგალიაში – 1974 წლიდან.

თავი IV – 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

დამოუკიდებლობის გამოცხადების წინაპირობები

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს ბევრისთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ მას თავისი წინაპირობები გააჩნდა.

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე

1914 წელს დაწყებული პირველი მსოფლიო ომი რუსეთის იმპერიისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. ამას მოჰყვა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია და მეფის დამხობა. 1917 წლის შემოდგომიდან, ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, რუსეთი სამოქალაქო ომის პირობებში აღმოჩნდა. დაიწყო ამიერკავკასიის რუსეთისაგან ფაქტობრივი ჩამოშორების პროცესი. 1917 წლის 7 ნოემბერს ბოლშევიკებმა რუსეთში დროებითი მთავრობა დაამხეს და გამოაცხადეს რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ამ პერიოდში ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრი თბილისში იყო და 1917 წლის 14 ნოემბერს დაარსდა ამიერკავკასიის კომისარიატი ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების მონაწილეობით.

1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვია ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც დაკომპლექტდა რუსეთის დამფუძნებელ კრებაში [12] არჩეული ამიერკავკასიელი დეპუტატებით. სეიმის თავმჯდომარედ აირჩიეს ნიკოლოზ ჩხეიძე.

ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 9 აპრილის სხდომაზე გამოცხადდა კომისარიატის გაუქმება. შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა – კონფედერაციული რესპუბლიკა, რომელმაც 1918 წლის აპრილ – მაისში იარსება.

ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ხელისუფლების შექმნამ დააჩქარა საქართველოს პოლიტიკურ ძალთა ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანების პროცესი. 1917 წლის 19-23 ნოემბერს გამართულმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, რომელმაც, თავის მხრივ, აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი. შეიძლება ითქვას, რომ

[12] 1917 წლის შემოდგომაზე რუსეთის იმპერიაში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, მაგრამ ძალაუფლებას დაუფლებულმა ბოლშევიკებმა რუსეთში არ დაუშვეს დამფუძნებელი კრების მუშაობა და იგი შეკრებისთანავე გარეკეს.

შეიქმნა საქართველოს პოტენციური პარლამენტი და მთავრობა, საფუძველი ჩაეყარა ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენას.

1918 წლის იანვარ-თებერვალში კავკასიის ფრონტი რუსეთის არმიამ მიატოვა, ჯარისკაცები შინ გაიქცნენ და ოსმალეთის არმიას დარჩა სარბიელი.

ტრაპიზონის კონფერენციის მონაწილეები

ამიერკავკასიის მთავრობა ოსმალეთის სამხედრო ნაწილების შეჩერებას მოლაპარაკების გზით შეეცადა და 1918 წლის 14 მარტს ტრაპიზონში ამიერკავკასიის დელეგაციასა და ოსმალეთის იმპერიას შორის სამშვიდობო კონფერენცია გაიმართა. ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით, ცდილობდა პირველი მსოფლიო ომის წინანდელი საზღვრების შენარჩუნებას, ოსმალეთი კი 1918 წლის 3 მარტს რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ გაფორმებული ბრესტის ზავის პირობებს იშველიებდა და მოითხოვდა ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქების გადაცემას.

ამიერკავკასიის სეიმის სისუსტის გამო, ოსმალეთი შეეცადა მთლიანად კავკასიის რეგიონზე გავლენა მოეპოვებინა.

ოსმალეთის იმპერიის არმიას, კონფერენციის პარალელურად, საომარი მოქმედებები არ შეუჩერებია. 1918 წლის მარტსა და აპრილში ოსმალეთის ჯარმა დაიკავა ყარსის ოლქი, ერევნის გუბერნიის დიდი ნაწილი, ბათუმის ოლქი, ოზურგეთისა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრების ნაწილი.

მოლაპარაკებების გაგრძელების წინაპირობად ოსმალეთი მოითხოვდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას.

1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1918 წლის 11 მაისს ბათუმში საზავო მოლაპარაკებები განახლდა. ოსმალეთი ბრესტის ზავის პირობებით უკვე აღარ კმაყოფილდებოდა და მის მიერ დაკავებული ყველა ტერიტორიის დათმობას მოითხოვდა. ამიერკავკასიის დელეგაციის პოზიცია ერთიანი არ იყო – აზერბაიჯანელები უარს ამბობდნენ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ოსმალეთის მთავარ მოკავშირე გერმანიას არ მოსწონდა კავკასიაში ოსმალეთის გაბატონების პერსპექტივა და მზად იყო, საქართველოსთვის დაეჭირა მხარი, თუკი დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. ამის შესახებ პირდაპირ უთხრეს ბათუმში მყოფ

საქართველოს დელეგაციას. 1918 წლის 25 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს ატყობინებდა, რომ ოსმალეთის წინსვლის შეჩერება მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით იყო შესაძლებელი.

ამიერკავკასიის სეიმში შემავალი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკური პარტიები დიდხანს ვეღარ თანხმდებოდნენ და 1918 წლის 26 მაისს, დილით, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა და სეიმის თვითლიკვიდაცია გამოაცხადეს.

სეიმის არსებობას აზრი ჰქონდა დაკარგული. ამ დროისათვის თურქებს დაკავებული ჰქონდათ სომხეთის დიდი ნაწილი, აზერბაიჯანი კი კატეგორიულ უარს აცხადებდა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაზე. საქართველო, ფაქტობრივად, მარტო იყო დარჩენილი, მისი ტერიტორიის ნაწილი ოსმალებს ჰქონდათ დაკავებული და თბილისში არ გამორიცხავდნენ, რომ თურქებს მთელი საქართველოს დაპყრობა მოენდომებინა. დამოუკიდებლობის გამოცხადებით საქართველოს შესაძლებლობა ეძლეოდა თავისი შეხედულებისამებრ ემოქმედა და, თუნდაც, გერმანიის დახმარების გამოყენებაც ეცადა.

ეროვნული ყრილობა და მისი მოწვევის მიზეზი

როგორც უკვე აღინიშნა, 1917 წლის 19 ნოემბერს შეიკრიბა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელმაც აირჩია ეროვნული საბჭო.

1917 წლის 19 ნოემბერს მოწვეულ იქნა საქართველოს პოლიტიკური პარტიების, მუშათა საბჭოების, ქალაქების თვითმმართველობის, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სავაჭრო-საფინანსო დაწესებულებების, ეროვნულ უმცირესობათა და სხვ. არჩეული წარმომადგენლებისგან შემდგარი საქართველოს ეროვნული ყრილობა.

ნოე ჟორდანია

ყრილობაზე დელეგატებს სიტყვით მიმართა ნოე ჟორდანიამ, სადაც იგი განმარტავდა ყრილობის მოწვევის მიზეზებს: „დღეს მთელი რუსეთი და თითქმის მთელი ევროპა განიცდის ძველი ცხოვრების ეკონომიკურ, ნაციონალური და პოლიტიკური ცხოვრების დანგრევის დიდ მომენტს და ჩვენ ვშიშობთ აბობოქრებული ცხოვრების ზღვის ტალღამ ჩვენ არ ჩაგვიტანოს რღვევის მორევში. ჩვენ პატარა ერი ვართ და ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, რომლის ახლოს გაჭიმულია დიდი საომარი ფრონტი, ამიტომ გვმართებს დიდი სიფრთხილე. გარდა ამისა, რუსეთში გაჩაღდა სამოქალაქო ომი. დღეს არ არსებობს ცენტრალური მთავრობა და რუსეთთან

ჩვენი პატარა ქვეყნის კავშირი თითქმის სავსებით გაწყდა. ამნაირად, ერთის მხრით, ჩვენს ახლოს დიდი საომარი ფრონტი არსებობს, ხოლო მეორეს მხრით, რუსეთთან კავშირის გაწყვეტა გვავალებს ჩვენს თავს მივხედოთ, ჩვენს თავს ვუპატრონოთ. ამ ნიადაგზე შეერთდა ჩვენში არსებული პოლიტიკური პარტიები და სთქვეს, ჩვენში არის გადასაჭრელი ორი კითხვა და საჭიროა მათ გარშემო, როგორც ნაციონალური, ისე ინტერნაციონალური ძალების გაერთიანებაო. პირველი კითხვა ჩენი ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფა და მეორე კითხვა – შექმნა იმ საფუძვლისა, რომელზედაც აგებული იქნება ჩვენი ხალხის თავისუფალი კულტურული განვითარების შენობა. დღევანდელმა ეროვნულმა ყრილობამ ამ შენობას ერთი ქვა უნდა დაუდგან საფუძვლად“.

ყრილობამ 22 ნოემბერს აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობა – 67 წევრი და 61 კანდიდატი. პარტიული კუთვნილების მიხედვით: 26 სოციალ-დემოკრატი, 10 სოციალისტ-ფედერალისტი, 9 ეროვნულ-დემოკრატი, 7 სოციალისტ-რევოლუციონერი, 4 ალიონელი, 1 რადიკალ-დემოკრატი, 2 უპარტიო, 3 სამაჰმადიანო საქართველოს (აჭარა) წარმომადგენელი, 2 სოხუმის ოლქიდან (აფხაზეთი), 1 ზაქათალის ოლქიდან (საინგილო), 1 საქართველოს ოსთა წარმომადგენელი. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანია, რომელიც იყო აგრეთვე საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე. პრეზიდიუმში შედიოდნენ თავმჯდომარის მოადგილეები – ა. ჩხენკელი, გრ. რცხილაძე, გ. ვეშაპელი, მდივანი – პ. საყვარელიძე და ხაზინადარი – კ. მესხი.

1918 წლის 11 თებერვალს განხორციელდა ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია, რის შედეგადაც მისი წევრების რაოდენობა 88-მდე გაიზარდა. შექმნის დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ეროვნულმა საბჭომ 19 სხდომა ჩაატარა და, ფაქტობრივად, საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა. ის იყო ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო. მის სხდომებზე განიხილებოდა ქვეყნის რეალობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

დამოუკიდებლობის გამოცხადება

1918 წლის 26 მაისის საღამოს კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი სასახლის იმავე დარბაზში, სადაც ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა გამოცხადდა, ჩატარდა საქართველოს ეროვნული საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სხდომა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ნოე ჟორდანიამ გახსნა. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს აღდგება, არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხის, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი მიზანია დღევანდელი ისტორიული ქარტეხილებისაგან დაიფაროს თავისითავი“.

შესავალი სიტყვის შემდეგ სხდომის მონაწილეები საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს გაეცნენ და დაამტკიცეს. 1918 წლის 26 მაისს, 17 საათსა და 10 წუთზე საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.



1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებული იყო ის ძირითადი პრინციპები, რასაც უნდა დამყარებოდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო:

- ✓ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი
- ✓ დემოკრატიული რესპუბლიკა როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა
- ✓ მუდმივი ნეიტრალიტეტი
- ✓ კეთილმეზობლობა ყველა სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით მეზობლებთან
- ✓ საქართველოს მოსახლეობისთვის სრული სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლება
- ✓ საქართველოს საზღვრებში მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა თავისუფალი განვითარება.

ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს კოალიციური მთავრობა ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით, რომელიც 24 ივნისს შეცვალა ნოე ჟორდანიამ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით ეროვნული საბჭო მიჩნეულ იქნა საკანონმდებლო ორგანოდ, რომელსაც მთელი ძალაუფლება ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრებისათვის უნდა გადაეცა.

1918 წლის 29 მაისს ეროვნული საბჭოს სხდომაზე მისი წევრების რაოდენობა 121 კაცით განისაზღვრა. გაუქმდა აღმასრულებელი კომიტეტი და შეიქმნა პრეზიდიუმი 5 წევრის შემადგენლობით. 1 ივნისს ეროვნულმა საბჭომ პრეზიდიუმის შემადგენლობა დაამტკიცა: თავმჯდომარე – ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, მოადგილეებად აირჩიეს იოსებ ბარათაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მდივნად – დავით ონიაშვილი, მდივნის ამხანაგად (მოადგილედ) – იოსებ აბაკელია. იმავე სხდომაზე შეიქმნა კომისიები: ქონების, სამხედრო, საფინანსო, სამოსამართლო და საადმინისტრაციო, სასკოლო

და ხელოვნების, სახალხო მეურნეობისა და სასურსათო, სამაჰმადიანო საქართველოს გამგებლობისა და საერობო[13].

1918 წლის 4 ოქტომბრის სხდომაზე საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდების შეცვლის საკითხი დაისვა, რის შედეგადაც, 8 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული კანონის მიხედვით, ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა. ეროვნულმა საბჭომ და შემდგომში პარლამენტმა ფუნქციონირების მანძილზე არაერთი კანონი შეიმუშავა და მიიღო, რომლებიც საქართველოს ეროვნული, სოციალური და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას ემსახურებოდა.

1918 წლის 22 ნოემბერს პარლამენტმა დაამტკიცა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება, რომელიც ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით არჩევნების ჩატარებას. არჩევნების დღედ 14 თებერვალი დაინიშნა. დამფუძნებელი კრების მოწვევასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა 1919 წლის 31 იანვარს მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც პარლამენტი დათხოვნილად ითვლებოდა დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების დღიდან.

ნოე რამიშვილი

საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ✓ კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ (1918, ივლისი);
- ✓ კანონი სახალხო გვარდიის შესახებ (1918, ივლისი);
- ✓ სამხედრო მმართველობის დებულება (1918, აგვისტო)
- ✓ კანონი რეგულარული არმიის ორგანიზების შესახებ (1918, აგვისტო);
- ✓ დებულება სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების შესახებ (1918, აგვისტო);
- ✓ კანონი საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შესახებ (1918, აგვისტო);
- ✓ კანონი სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მამულების მცხოვრებთათვის კერძო საკუთრებად მიცემის შესახებ (1919, 28 იანვარი);
- ✓ კანონი ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ (1918, 1 ოქტომბერი);
- ✓ თბილისის უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადების შესახებ (1918, 27 აგვისტო) და სხვ.

[13] ადგილობრივი თვითმმართველობა

პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში

პარლამენტის მიერ დამტკიცებული დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით არჩევნების ჩატარებას. არჩევნების დღედ 14 თებერვალი დაინიშნა.

ქართული სახელმწიფოს არსებობის მანძილზე პირველი დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვალს გაიმართა, რომლის შედეგადაც, საქართველოს ისტორიაში პირველად იქნა არჩეული ლეგიტიმური ორგანო – დამფუძნებელი კრება. მის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა „დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება“, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 22 ნოემბერს. არჩევნები ჩატარდა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო პრინციპების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. იგი გაიმართა „პროპორციული წარმომადგენლობის წესისამებრ“, პარტიული სიების მიხედვით, ერთ საარჩევნო ოლქში, რომელიც ხმის მისაცემად დაყოფილი იყო საარჩევნო უბნებად.

საარჩევნო სუბიექტები

1919 წლის იანვრის განმავლობაში მიმდინარეობდა ამომრჩეველთა სიების დაზუსტება. ამ მიზნით, საარჩევნო კომისია აქტიურ მიმოწერას ახორციელებდა ერობებთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. 22 იანვრიდან 26 იანვრამდე საარჩევნო კომისიამ განიხილა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა საკანდიდატო სიები და დაამტკიცა 15 საარჩევნო სუბიექტი:

N1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (130-კაციან სიაში წარმოდგენილი იყო 6 ქალი კანდიდატი (N36 ელიონორა ტერ-პარსაგოვა-მახვილაძისა, N61 მინადორა ტოროშელიძე, N72 ქრისტინე შარაშიძე, N79 ელისაბედ ბოლქვაძე, N110 ანნა (ოლღა) სოლოღაშვილი, N126 მარიამ ბერიანიძე);



ივანე ჯავახიშვილის თანხმობა არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით

N2 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (სიაში ქალები არ იყვნენ);

N3 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – ესერები (5 ქალი კანდიდატი – N31 მარიამი ჩხეიძე, N49 ნინო მაჩაბელი-ანდრონიკაშვილისა, N51 ოლღა სანიკიძე-ვალაბუევისა, N54 სოფიო ზარიძე, N68 ნინა ნადირაძე);

N4 სომეხთა რევოლუციონური პარტია „დაშნაკცუთიუნი“ (2 ქალი კანდიდატი – N11 დარია თადეოსიანი და N19 სირანუშ ამირბეგიანი);

N5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია (9 ქალი კანდიდატი – N26 ნინო ნაკაშიძე, N37 მელანია გველესიანი, N41 ალექსანდრა ბერეკაშვილი-სანიკიძისა, N43 თამარ ფალავანდიშვილი, N46 ელენე იმნაძე, N56 თამარ მაჭავარიანი, N65 აგრაფინა ბახტაძე, N78 ლიუბა ჩხენკელი და N107 ანნა იურკევიჩი);

N6 საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო (სიაში ქალი კანდიდატი არ იყო);

N7 საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტია (1 ქალი კანდიდატი – N24 ნადეჟდა შალამბერიძე);

N8 საქართველოს ეროვნული პარტია (სიაში ქალი კანდიდატი არ იყო);

N9 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია (3 ქალი კანდიდატი – N20 ნინო დგებუაძე, N28 შუშანიკა ქავთარაძე და N34 ნადეჟდა ჩიკვაიძე);

N10 შოთა რუსთაველის ჯგუფი (სიაში ქალი კანდიდატი არ იყო);

N11 დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი (სიაში ქალი კანდიდატი არ იყო);

N12 ბორჩალოს მაზრის მუსულმანები (სიაში ქალი კანდიდატი არ იყო);

N13 რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ) (სიაში ქალი კანდიდატი არ იყო);

N14 „ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა“ (სიაში ქალი კანდიდატი არ იყო);

N15 ელინთა დემოკრატიული პარტია (სიაში ქალი კანდიდატი არ იყო).

არჩევნების შედეგები

1919 წლის 9 მარტის სხდომაზე საქართველოს საპარლამენტო დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეაჯამა არჩევნების შედეგები და დაადგინა იმ პირთა სია, რომლებიც არჩეულ იქნენ საკანონმდებლო ორგანოში. დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგად, 130 მანდატი შემდეგნაირად გადანაწილდა პოლიტიკურ სუბიექტებს შორის: N1 – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 109 მანდატი; N2 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 8 მანდატი; N3 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 5 მანდატი; N5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია – 8 მანდატი.

1919 წლის თებერვალში დამფუძნებელი კრების არჩევნები სხვადასხვა მიზეზთა გამო არ გამართულა აფხაზეთში, ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის, სვანეთის მაზრებში და აღმოსავლეთ საქართველოს მაზრების მაღალმთიან დასახლებებში. 1919 წლის აგვისტოს ბოლოს გაიმართა პირველი დამატებითი არჩევნები, რომელმაც გამოტოვებული მაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა. არჩევნების შედეგად

დამფუძნებელ კრებაში უკვე წარმოდგენილ 4 პოლიტიკურ სუბიექტს დაემატა სომეხთა სარევოლუციო პარტია „დაშნაკცუთიუნი“ და საქართველოს ეროვნული პარტია. დამფუძნებელ კრებაში კი მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა: N1 – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 105; N2 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 7; N3 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 5; N4 სომეხთა სარევოლუციო პარტია „დაშნაკცუთიუნი“ – 3; N5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია – 9; N8 საქართველოს ეროვნული პარტია – 1.

პირველი დამატებითი არჩევნების ჩატარების შემდეგაც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონტროლირებად ტერიტორიაზე კვლავ არსებობდა უბნები, სადაც არჩევნები არ იყო გამართული. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ და მისმა საარჩევნო კომისიამ მეორე დამატებითი არჩევნების გამართვის გადაწყვეტილება მიიღო. მეორე დამატებითი არჩევნები, ძირითადად, სოხუმის ოლქში იყო დაგეგმილი. თუმცა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ფაქტობრივად, სოხუმის ოლქში არჩევნები არ შედგა. მეორე დამატებით არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატები, ნაციონალისტები და დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი ერთიანი ბლოკის სახით მონაწილეობდნენ და N16 მიენიჭათ.

1920 წლის 21 მაისს გამოქვეყნდა მეორე დამატებითი არჩევნების საბოლოო შედეგები და პარლამენტში ადგილების გადანაწილების ცხრილები. მეორე დამატებითი არჩევნების შედეგად, დამფუძნებელ კრებაში ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: N1 – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 102 წევრი; N2 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 8 წევრი; N3 საქართველოს სოციალისტ რევოლუციონერთა პარტია – 6 წევრი; N4 სომეხთა სარევოლუციო პარტია „დაშნაკცუთიუნი“ – 3 წევრი; N5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია – 9 წევრი; N8 საქართველოს ეროვნული პარტია – 2 წევრი.

საქართველოს დამფუძნებელი კრება გამორჩეულია იმით, რომ მასში არჩეულ იქნა 5 დეპუტატი ქალი, რაც იმ დროისათვის საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ეს ის დროა, როცა უმეტეს ქვეყნებში ქალებს არჩევნებში მონაწილეობის კი არა, საარჩევნო ხმის უფლებაც არ გააჩნიათ.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გაიხსნა 1919 წლის 12 მარტს. თავმჯდომარეობდა დამსწრეთა შორის უხუცესი სოციალ-დემოკრატი დეპუტატი, 60 წლის სილიბისტრო ჯიბლაძე, მდივანი იყო – კრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი გოგიტა ფაღავა. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ აირჩიეს კარლო ჩხეიძე. პირველსავე სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ დაადასტურა 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

მომდევნო სხდომაზე აირჩიეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 21 მარტს დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. მას მხარი დაუჭირეს ეროვნულ-დემოკრატებმაც. სოციალისტ-ფედერალისტთა და ესერთა ფრაქციებმა ბოიკოტი გამოაცხადეს, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. მაგრამ ამან გავლენა ვერ იქონია და ხმების აბსოლუტური უმრავლესობით პრემიერად ნოე ჟორდანია აირჩიეს.

მთავრობის თავმჯდომარე, ამავე დროს, იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი. „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესადგენად დამფუძნებელი კრება ირჩევს ერთ კაცს, რომელიც ნიშნავს მინისტრებს. მთავრობის თავმჯდომარე, იმავდროულად, არის უმაღლესი წარმომადგენელი რუსპუბლიკისა“.

დამფუძნებელი კრების სხდომა

დამფუძნებელი კრების სტრუქტურა შედგებოდა კრების პრეზიდიუმის, ფრაქციებისა და კომისიებისაგან.

დამფუძნებელ კრებაში სხვადასხვა დროს შეიქმნა 23 მუდმივი, დროებითი და მცირე კომისია, განისაზღვრა მათი შემადგენლობა. საქართველოს დამფუძნებელი კრება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობამდე. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია დამფუძნებელ კრებას არც ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ მოუხსნია. ბოლშევიკების მოთხოვნაზე – კაპიტულაცია გამოეცხადებინა, კრებამ უარი განაცხადა. 17 მარტს ბათუმში გამართულ სხდომაზე ნოე ჟორდანიას და საქართველოს მთავრობას დაევალა ემიგრაციაში მოღვაწეობის გაგრძელება.

დამფუძნებელი კრება საქართველოში მუშაობდა 1919 წლის 12 მარტიდან 1921 წლის 18 მარტამდე. სესიებს შორის შესვენების პერიოდი იყო: 1919 წლის 3 აგვისტო – 19 სექტემბერი; 1920 წლის 1 – 23 იანვარი; 1920 წლის 9 სექტემბერი – 9 ნოემბერი. შესვენებების პერიოდში დეპუტატთა მნიშვნელოვანი ნაწილი რეგიონებს სტუმრობდა და მოსახლეობას ხვდებოდა, საპროპაგანდო ლექციებს ატარებდა.

კრების მუშაობის პირველ წელს ჩატარდა 94 სხდომა, მათგან 20 – საგანგებო. ამ დროის განმავლობაში, კრებამ განიხილა 415 საკანონმდებლო ინიციატივა და საკითხი. დამფუძნებელმა კრებამ განსაზღვრა თავისი წევრის შეუვალობის საკითხი. დამფუძნებელი კრების წევრის ხელფასი დასაწყისში იყო 1500, შემდგომ – 2500 მან. დეპუტატს ჰქონდა რკინიგზით უფასოდ მგზავრობის უფლება. დამფუძნებელი კრების წევრობა შეთავსებადი იყო მინისტრის, ელჩის, სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობასთან, სახალხო გვარდიის შტაბის წევრობასა და უნივერსიტეტის პროფესორობასთან, მხოლოდ ერთი სამსახურიდან ხელფასის მიღების უფლებით.


დ ე ბ უ ფ ე ბ ა

ხაქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქეობისა. (ქვეშევრდომობისა).

I. ყოველი მკვიდრი, მცხოვრები ხაქართველოს რესპუბლიკის, არის ხაქართველოს მოქალაქე.

შენიშვნა: მკვიდრი ეწოდება იმას, ვინც მიწერილია რესპუბლიკის ფერიფერიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე I9I4 წლის ივლისის I9-მდე / ძვ. ხელ./.

2. ხაქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს მოქალაქედ სხვა ხახელმწიფოსი.

3. ხაქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ მისი მოქალაქენი არიან აღჭურვილნი პოლიტიკურის უფლებით. /აქტიური და პასიური უფლება პარლამენტისა და ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებისათვის და სხვა/.

შენიშვნა: მთავრობას უფლება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევაში დროებით, სანამ დაწესებულებათა გარდაქმნა დამთავრდებოდეს, მოიწვიოს თანამდებობაზე უცხო ქვეყნის მოქალაქე.

4. პირობა უცხო ხახელმწიფოს ქვეშევრდომის მიღებისა ხაქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ და აგრეთვე ხაქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისა განსაზღვრული იქნება ცალკე კანონით.

I6 ივლისი I9I8 წ.

ხაქართველოს ერისკაცი ხაბჭოს
თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

ხაქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟორდანია

დამფუძნებელ კრებაში სხვადასხვა დროს ფუნქციონირებდა 4-დან 8-მდე ფრაქცია. დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო საქმიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს ფორმირების პროცესში. კრების მიერ მიღებულ კანონებს შორის აღსანიშნავია კანონი

მოქალაქეობის შესახებ (1919 წლის 27 მაისი). კანონის მიხედვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქედ ითვლებოდა ის, ვინც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის 19 ივლისამდე (პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე).

დამფუძნებელმა კრებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მემარცხენე მიმართულების ეკონომიკური რეფორმების საკანონმდებლო პაკეტების მომზადებაში (აგრარული რეფორმა, წიაღისეულის ნაციონალიზაცია, შრომითი ხელშეკრულების კანონი). დამფუძნებელი კრების პრეროგატივა იყო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მომზადებული სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, სახელმწიფო ფულადი ნიშნის – ბონის ემისიის ოდენობის დადგენა. კრება განსაზღვრავდა სახელმწიფო დაწესებულებათა ბიუჯეტს, სტიპენდიებს უცხოეთში სასწავლებლად წასული საქართველოს მოქალაქეებისთვის. დამფუძნებელი კრება ადგენდა ოფიციალურ უქმე დღეებს. დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა და დაამტკიცა უზენაესი სასამართლოს – სენატის საქმიანობის დებულება. ასევე მიიღო კანონი სახელმწიფო ბანკის დაფუძნების, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნის შესახებ. დამფუძნებელი კრების პრეროგატივა იყო ამნისტიის გამოცხადება, რაც ორჯერ განხორციელდა 1920 და 1921 წლებში.

დამფუძნებელი კრება ახდენდა საქართველოს სახელმწიფოს მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციას (კერძოდ, რუსეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან დადებული). დამფუძნებელი კრების საგანგებო დეკრეტებით დაარსდა სამხატვრო გალერეა, ცენტრალური სამეცნიერო არქივი, ფიზიკური ობსერვატორია. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის უმნიშვნელოვანესი იყო 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც 17 თავის და 149 მუხლისგან შედგებოდა.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შედგენაზე ჯერ კიდევ ეროვნულ საბჭოში მსჯელობდნენ. დამფუძნებელი კრების მოწვევისა და საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შემდეგ კანონშემოქმედებითმა მუშაობამ გაცილებით ინტენსიური ხასიათი მიიღო. 1919 წლის ბოლოს უკვე არსებობდა კონსტიტუციის პროექტის ძირითადი მონახაზი, რომელსაც თან ჰქონდა დართული ვრცელი განმარტებითი ბარათი. ეს დოკუმენტი ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო კომისიაში ცხარე კამათი მიმდინარეობდა სახელმწიფოებრივი წყობილების პრობლემებზე. ჩანს, რომ ეროვნულ-დემოკრატები მოითხოვდნენ პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნას. მათი აზრით, უპრეზიდენტოდ აღმასრულებელი ხელისუფლება მოკლებული იქნებოდა სიმტკიცესა და ავტორიტეტს, თუნდაც იმიტომ, რომ მთავრობის კრიზისის დროს სახელმწიფოს არ ეყოლებოდა უმაღლესი წარმომადგენელი, როგორც სტაბილურობის გარანტი.

დიდი კამათი გაიმართა პარლამენტის სტრუქტურის თაობაზე. ოპოზიციის ერთი ნაწილი მოითხოვდა კონსტიტუციას დაეკანონებინა ორპალატიანი პარლამენტი.

იმედოვნებდა, რომ ზედა პალატის მეშვეობით მოხერხდებოდა სოციალ-დემოკრატიის ყოვლისშემძლეობის შეზღუდვა.

ოპოზიციის სხვა წარმომადგენელთა აზრით, ორპალატიან პარლამენტს გამართლება ჰქონდა მხოლოდ ფედერაციულ სახელმწიფოებში, უნიტარულ საქართველოს რესპუბლიკაში კი იგი ვერ შეიქმნებოდა და კიდეც რომ შექმნილიყო, ვერაფერს შეცვლიდა. ორივე პალატას უმრავლესობა გააკონტროლებდა, ქვედა პალატის მიერ მიღებულ კანონს ზედა პალატა თითქმის ავტომატურად დაამტკიცებდა.

საქართველოს პირველ კონსტიტუციაში, მისი ფუძემდებლების დემოკრატიული მაქსიმალიზმიდან გამომდინარე, უარყოფილი იყო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა აზრით, რადგანაც პარლამენტი ხალხის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა და ყველაზე დემოკრატიული ინსტიტუტი იყო, სრული ხელისუფლებაც მის ხელში უნდა ყოფილიყო თავმოყრილი. მხოლოდ პარლამენტი განიხილებოდა დემოკრატიული წყობილების დაცვის გარანტად. გარდა ამისა, „ხელმწიფების განაწილება“ – საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებათა დამოუკიდებლობა, 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით, დაარღვევდა „სახელმწიფოს ერთიანობას. ეს იქნებოდა მუდმივი ბრძოლა სხვადასხვა სახელმწიფო ხელისუფლებათა შორის“.



სამწუხაროდ, კონსტიტუციამ მხოლოდ 4 დღე იმუშავა და საქართველოს ანექსიის შემდეგ დიდი ხნით დავიწყებას მიეცა, თუმცა დარჩა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოდ. მან მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ქართული სახელმწიფოს განვითარებაზე. ის იქცა 1995 წლის კონსტიტუციის საფუძვლად.

დამფუძნებელი კრების (ეროვნული საბჭოს) რეგლამენტი



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ
ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲒᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ.

ᲛᲐᲣᲚᲘ I.

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲠᲠᲛᲬᲔᲕᲔᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲔᲛᲬᲘᲠᲔᲑᲐ:

§ I "ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ ᲐᲙᲐᲛᲮᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲛᲓᲔ ᲐᲙᲐᲛᲮᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲯᲐᲓᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ. ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ, ᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲣᲒᲔᲠ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲘᲡᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ᲬᲘᲗᲐᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲙᲕᲔᲕᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ, ᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲬᲔᲕᲠᲐ ᲛᲘᲠ ᲬᲐᲠᲛᲘᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲐ.

§ 2 ᲐᲙᲐᲛᲮᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲠᲬᲔᲑᲐ.

§ 3 ᲐᲙᲐᲛᲮᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲐᲘᲠᲩᲔᲕᲡ ᲡᲐᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ.

§ 4 ᲐᲙᲐᲛᲮᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲚᲕᲜᲔᲚᲐᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲬᲐᲠᲔᲓᲒᲔᲜᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲛ ᲛᲔᲛᲑᲔᲠᲗᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲪᲔᲚᲘᲡ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲔ-33 ᲛᲣᲮᲚᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲚᲘ ᲬᲔᲡᲘ.

§ 5 ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲠᲣᲑᲚᲝᲑᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲛᲓᲔ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲯᲔᲠᲘᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲛᲐᲣᲚᲘ 2.

ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘ.

§ 6 ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲐᲘᲠᲩᲔᲕᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲔᲓᲘᲐᲜ ᲐᲙᲐᲛᲮᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲐᲗᲘ. ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲡ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ.

§ 7 ᲬᲘᲜᲐ ᲛᲣᲮᲚᲘ /6/ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲦᲔᲑᲔᲜ ᲑᲐᲠᲐᲯᲔᲑᲘᲗ, ᲙᲔᲜᲭᲘ ᲔᲧᲠᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲘᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ.

1918 წლის 5 ივლისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ რეგლამენტი მიიღო, რომელშიც მხოლოდ ტექნიკური და ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებები 1919 წლის 25 აპრილს შევიდა და მას საქართველოს „დამფუძნებელი კრების რეგლამენტი“ ეწოდა. სტრუქტურა და შინაარსი უცვლელი დარჩა.

თავდაპირველად, 5 ივლისამდე, საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელმძღვანელო ნორმატიული დებულება იყო ამიერკავკასიის სეიმის რეგლამენტი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულ იქნა ეროვნული საბჭოს რეგლამენტის ახალი რედაქცია (1918). რეგლამენტი მოიცავდა 8 თავსა და 172 მუხლს. მასში განსაზღვრული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა: უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების) გახსნა და წევრთა მანდატების დადასტურება, თანამდებობის პირთა არჩევნები, კომისიები, საქმის განხილვის წესი, კენჭისყრის წესი, დეპუტატთა პირადი მდგომარეობა, პრეზიდიუმი და რეგლამენტის გადასინჯვის წესი.

პრეზიდიუმი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის საერთო კოორდინაციას უზრუნველყოფდა. მასში შედიოდნენ: თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, მდივანი და მდივნის მოადგილეები, რომლებიც, იმავდროულად, საკანონმდებლო ორგანოს თანამდებობის პირები იყვნენ.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობაში იქმნებოდა ორი კომისია – მუდმივი და დროებითი. რეგლამენტის მე-18 მუხლის თანახმად, გათვალისწინებული იყო 4 მუდმივმოქმედი კომისიის არსებობა, თუმცა საბჭოს და დამფუძნებელ კრებას შეეძლო სხვა მუდმივი კომისიები აერჩია. მაგალითად, ეროვნული საბჭოს რეგლამენტში არ იყო მოხსენიებული იურიდიული ან ადგილობრივი თვითმმართველობის კომისია, მაგრამ ისინი მუდმივმოქმედ კომისიებად ითვლებოდა.

სულ დამფუძნებელ კრებაში ფუნქციონირებდა 5 მუდმივი და 18 დროებითი კომისია.

საქმეთა შინაარსიდან გამომდინარე, რეგლამენტით გათვალისწინებული იყო საქმის განხილვის სამი სხვადასხვა წესი – საკანონმდებლო საქმეთა, შემოსავალ-გასავლისა

და იმ საქმეთა განხილვის წესი, რომელთაც საკანონმდებლო ხასიათი არ ჰქონდა. კანონპროექტის განხილვა და მისი მიღება საზოგადო კრების (თანამედროვე გაგებით, პლენარული სხდომის) პრეროგატივა იყო. ყველა კანონპროექტს განიხილავდნენ ორჯერ – საზოგადოდ (საზოგადო განხილვა) და მუხლობრივად (მუხლობრივი განხილვა).

რეგლამენტის დამატებად შეიძლება ჩაითვალოს 1920 წელს მიღებული წესი „კონსტიტუციის განხილვისა“, რომელიც საკონსტიტუციო კომისიის მიერ იყო შემუშავებული და კონსტიტუციის პროექტის განსაკუთრებული წესით, ხუთი მოსმენით განხილვას და მიღებას ითვალისწინებდა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მე-60 მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი თვითონ განსაზღვრავდა რეგლამენტს და თავისი მოქმედების წესს.

თავი V – საქართველო საბჭოთა პერიოდში (1921-1991წწ.)

დამოუკიდებლობის დაკარგვა და საქართველოს „გასაბჭოება“

1921 წლის 25 თებერვალს XI წითელი არმიის ნაწილები თბილისში შემოვიდნენ. მათ თან შემოჰყვა ახლად ჩამოყალიბებული რევკომი – რევოლუციური კომიტეტი (მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგეჭკორი და სხვ. მოგვიანებით მათ შეუერთდა ფ. მახარაძე). მალე ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა რკპ (ბ) [14] ცკ-ის კავბიუროს თავმჯდომარე გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე. საქართველოს კანონიერი მთავრობა თბილისს გაეცალა და დასავლეთ საქართველოში — ქუთაისში გადავიდა. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა განაგრძეს უკან დახევა.

2 მარტს ლენინმა [15] ორჯონიკიძეს და საქართველოს რევკომს მისცა გარკვეულ დათმობაზე წასვლის, სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან კომპრომისის გამონახვის დირექტივა. მაგრამ საქართველოს მთავრობასთან მხოლოდ ერთ საკითხზე მოხდა პოზიციების შეჯერება, ერთობლივად გაეწიათ წინააღმდეგობა საქართველოში შემოჭრილი ოსმალეთის ჯარებისთვის. როდესაც საქართველოს მთავრობის თანხმობით თურქეთმა რუსეთ-საქართველოს ომის პირობებში ჯარი შემოიყვანა აჭარაში, რუსეთთან ომში საქართველოს დასახმარებლად, მათ აჭარის კვლავ ხელში ჩაგდება გადაწყვიტეს. შეიქმნა ბათუმის ოლქის კვლავ თურქეთის შემადგენლობაში მოქცევის საფრთხე. ამიტომ ნ. ჟორდანიას მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკება რევკომთან. 18 მარტს ქუთაისში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ საომარი მოქმედების შეწყვეტისა და თურქთა შემოსევისაგან ბათუმის დაცვის მიზნით, რევკომის განკარგულებაში აჭარაში მყოფი ეროვნული ჯარების შესვლის შესახებ. საბჭოთა არმიის ნაწილების დახმარების გარეშე, 18-19 მარტის ბრძოლებში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით, ქართული არმიის შენაერთებმა ოსმალო ასკერები განდევნეს ქალაქიდან და ბათუმი გაანთავისუფლეს. თუმცა ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი – შავშეთი, კოლა-არტაანი, იმერხევი და სხვ. კვლავ თურქეთის ხელში დარჩა.

საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის შემოსვლა თბილისში

[14] რუსეთის კომუნისტური პარტია ბოლშევიკების, ცენტრალური კომიტეტი, კავკასიის ბიურო

[15] ლენინი (ულიანოვი) ვლადიმერ ილიას ძე – რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მეთაური, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს სასაზღვრო რაიონები სომხეთსა და აზერბაიჯანს გადაეცა, აფხაზეთი „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად გამოაცხადეს, ცხინვალის რეგიონში კი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ შექმნეს.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთმა, ქართველი კომუნისტების დახმარებით, მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და ძალდატანებით დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

საქართველოში არსებული მრავალპარტიული დემოკრატიის ნაცვლად – კომუნისტური პარტიის შეუზღუდავი ხელისუფლება დამყარდა.

საბჭოთა ხელისუფლება მიუღებელი იყო ქართველი ინტელიგენციის, სტუდენტების, მასწავლებლების, რიგითი მოქალაქეების დიდი უმრავლესობისათვის. ისინი მართავდნენ საპროტესტო მიტინგებს, აწყობდნენ გაფიცვებს, ავრცელებდნენ ანტისაბჭოთა შინაარსის მოწოდებებს.

შეურიგებელი პოზიცია დაიკავა რუსეთის ახალი ოკუპაციის მიმართ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: „ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე...“.

ხალხის წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა.

საქართველოს რევკომი სწრაფად შეუდგა პირველი დეკრეტების მიღებას, სახელმწიფო ორგანოების შექმნას. საბჭოური რეჟიმის პირველი თვეების ყველაზე მნიშვნელოვანი აქტი იყო საქართველოს რევკომის 1921 წლის 21 აპრილის დეკრეტი ხელისუფლების ორგანოების შესახებ. რევკომების სისტემა, რომელიც საქართველოში წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკური მმართველობის გარდამავალ ფორმას, ძალისმიერი მეთოდებით იკაფავდა გზას. მისი მოქმედების ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები ატარებდა ბრძანებების ხასიათს, რომელთა შესრულება სავალდებულო იყო როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის.



ბრძანება № 64

საქართ. ს. ს. რ. რევოლ. კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით, ამხ. ალექსი (საშა) **გეგეჭკორი** დანიშნულია ტფილისის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუც. კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ., ივნისის 13.
ქ. ტფილისი.,—სასახლე.

ПРИКАЗ № 64

Революцион. Комитета С. С. Р. Грузии.

Постановлением Революционного Комитета С. С. Р. Грузии, тов. Алексей (Саша) **Гегечкори** назначен Председателем Тифлисского городского Революционного Комитета.

Пред.Револ. Ком. С. С. Р. Грузии **Ф. Махарадзе.**

Секретарь Ревкома **Ш. Габричидзе.**

1921 г., июня 13.
Тифлис.—Дворец.

რევკომების პოლიტიკური მმართველობა ერთი წლის თავზე საბჭოების არჩევნების გზით უნდა გადასულიყო ლეგიტიმურ საბჭოთა ხელისუფლებაზე.

1922 წლის თებერვლის პირველ ნახევარში ჩატარდა პირველი საბჭოური არჩევნები – კომუნისტებისა და ჩეკისტების კონტროლით. საქართველოში აირჩიეს საბჭოები. 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის წლისთავზე კი გაიხსნა საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა, რომელშიც მონაწილეობდა 380 დეპუტატი, მათგან 272 კომუნისტი. ყრილობა გახსნა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ფილიპე მახარაძემ. ყრილობამ განიხილა საქართველოს საგარეო და საშინაო მდგომარეობის საკითხები.

საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია (მას საფუძვლად დაედო საბჭოთა რუსეთის 1918 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები), რომელმაც ქართული ენა გამოაცხადა სახელმწიფო ენად. აღსანიშნავია, რომ არცერთ სხვა საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციაში ასეთი პუნქტი არ არსებობდა.

მაგრამ კონსტიტუციის შემდგენლებმა მასში შეიტანეს მუხლი, რომელიც თავიდანვე საეჭვოდ ხდიდა საქართველოს სუვერენიტეტს: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აცხადებს თავის მტკიცე მზადყოფნას შევიდეს ერთიან საერთაშორისო სოციალისტურ რესპუბლიკაში, როგორც კი მომზადდება პირობები მისი შექმნისათვის“. ყრილობაზე არჩეულმა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) სესიამ შექმნა რესპუბლიკის პირველი საბჭოთა მთავრობა – სახალხო კომისართა საბჭო, რომელიც მხოლოდ ფორმალურად განასახიერებდა საქართველოს სუვერენიტეტის ატრიბუციას.

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის რუკა

ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის გასაბჭოების შემდეგ სასწრაფოდ დაიწყო მუშაობა ამიერკავკასიის ფედერაციის შესაქმნელად.

1922 წლის 10 დეკემბერს ბაქოში შეიკრიბა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობა, რომელმაც მოიწონა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შემდგომი სახელმწიფოებრივი დაახლოების იდეა და შექმნა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა.

ყრილობაზე, ასევე, მიიღეს „ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის“ კონსტიტუცია. ეს ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა 1922-1936 წლებში არსებობდა. მასში შედიოდნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. შემდეგ ეს სამი ქვეყანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ცალ-ცალკე შევიდა.

მანამდე, 1921 წლის 16 დეკემბერს, აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებმა, ხელი მოაწერეს საკავშირო ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, მოხდა აფხაზეთის გაერთიანება საქართველოს რესპუბლიკასთან, ფედერაციული პრინციპების საფუძველზე. ამის შემდეგ, 1922 წლის 13 დეკემბერს აფხაზეთი შევიდა ამიერკავკასიის ფედერაციაში.[16]

1922 წლის 30 დეკემბერს ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან, უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან ერთად, გაერთიანდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

ეს იყო ძალადობის აქტი, რომელიც ასევე ართმევდა უფლებას საქართველოს გამოსულიყო ამ ფედერაციული გაერთიანებიდან.

როგორც ცნობილი მოღვაწე გრიგოლ ლორთქიფანიძე ამბობს, „დაბრუნებულ რუსეთს ამიერკავკასიაში დახვდა სამი უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული ეროვნული რესპუბლიკა. და აი, რუსეთის იმპერიალიზმიც, გახელებული რუსული შოვინიზმით, ეკვეთა ინტერნაციონალიზმის ნიღბის ქვეშ ამ რესპუბლიკებს და კიდეც დაამხო ისინი“. გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრით, რუსეთისთვის ყველაზე საშიში საქართველო იყო: „საკმარისია საქართველოს სახელმწიფოებრივი გამოქანდაკება და ამიერკავკასიის ორი დანარჩენი ერიც თავისთავად დაკრისტალდება სომხურ და აზერბაიჯანულ სახელმწიფოებად. მოშალეთ, ააფეთქეთ და ათქვიფეთ საქართველო და მთელი კავკასიაც ეროვნულად აქოთებული და აჭრელებული იქნება.“

ამიერკავკასიის ფედერაციის დაარსებით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა ამიერკავკასიის რუსიფიკაციის გზაზე. რესპუბლიკებს შორის საურთიერთობო ენა რუსული იქნებოდა და სახელმწიფო მმართველობა თავისთავად რუსულ ენაზე განხორციელდებოდა. ფაქტობრივად, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანება.

[16] 1931 წელს აფხაზეთმა დაკარგა საკავშირო ხელშეკრულების ჩარჩოში მიღებული სტატუსი და შევიდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

„პროლეტარიატის დიქტატურის“ სახელმწიფო

საქართველოს 1922 წელს მიღებული პირველი საბჭოთა კონსტიტუციით, რომელიც რუსეთის ფედერაციის 1918 წლის საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით იყო დაწერილი, საქართველოში ცხადდებოდა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

მარქსიზმის თეორიის თანახმად, პროლეტარიატის დიქტატურა უნდა ყოფილიყო უმრავლესობის ბატონობა უმცირესობაზე – ბურჟუაზიაზე, რომლის დროსაც უნდა აშენებულიყო კომუნისტური საზოგადოება. კომუნიზმის დროს კი სახელმწიფო აღარ იარსებებდა. სინამდვილეში, პროლეტარიატის დიქტატურა გადაიქცა კომუნისტური პარტიისა და მისი მმართველი ჯგუფის – პოლიტბიუროს დიქტატურად.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ შექმნილმა მოსკოვის მარიონეტულმა ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ საქართველო თავისი ნებით უკავშირდება სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს და, ამავე დროს, არის „სუვერენული სახელმწიფო“. კონსტიტუციაში დაფიქსირებული იყო საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებაც, მაგრამ მისი რეალიზების არანაირი მექანიზმი არათუ არ არსებობდა, არამედ უბრალო განცხადებაც კი ამის შესახებ „ანტისაბჭოურ საქმიანობად“ ითვლებოდა და უმკაცრესად ისჯებოდა.

1936 წლის სსრკ კონსტიტუციის თანახმად, ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა და 1937 წლის 13 თებერვალს საქართველოში მიიღეს ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც ბრმად იმეორებდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის ყველა ძირითად თეორიულ თუ პრაქტიკულ დებულებას: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო: მთელი ძალაუფლება საქართველოს სსრ-ში ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით“ – ეწერა კონსტიტუციაში.

ამ კონსტიტუციის თანახმად, საქართველო კვლავ „პროლეტარიატის დიქტატურის“ სახელმწიფოდ რჩებოდა, მაგრამ ახლა ცხადდებოდა, რომ, ძირითადად, აშენდა ახალი საზოგადოების პირველი ფაზა – სოციალიზმი.

აღსანიშნავია, რომ კომუნისტური პარტიის მონოპოლიური მმართველობის პირობებში არჩევნები ყოველთვის ფიქცია იყო. ასევე, კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის სტალინური პრინციპი არ გულისხმობდა ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) სისტემების გაყოფას. აღმასრულებელი ხელისუფლება წარმოდგენილი იყო საკანონმდებლო სისტემაში, კონტროლის მექანიზმი კი მთლიანად პარტიის მიერ იყო უზურპირებული. მართალია, არჩევნების დროს დეპუტატობის კანდიდატები მოწინავე მუშები და გლეხები, თვალსაჩინო და ღირსეული მეცნიერები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ პოლიტიკურ ამინდს სესიებზე მუდამ პარტიული ნომენკლატურა ქმნიდა.

ახალი საარჩევნო დებულების თანახმად, საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა 1938 წლის 12 ივნისს.

მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,2%-მა. საქართველოს უზენაეს საბჭოში 237 დეპუტატი იყო არჩეული. მათ შორის: კომუნისტი – 75,5%, უპარტიო – 24,5%, მუშები – 33%, გლეხები – 23%, ქალი – 24,9%. ეროვნული შემადგენლობა ასეთი იყო: ქართველი – 191, რუსი – 7, სომეხი – 13, აზერბაიჯანელი – 7, ოსი – 7, აფხაზი – 5, იტალიელი – 1, ებრაელი – 3, ბერძენი – 2.

პირველი მოწვევის პირველ სესიაზე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ფილიპე მახარაძე. ჩამოყალიბდა საქართველოს საბჭოთა მთავრობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვალერიან ბაქრაძე.

საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციით, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავზე მიიღეს, გამოცხადდა, რომ საბჭოთა კავშირში აშენდა „განვითარებული სოციალისტური საზოგადოება“, როდესაც აღარ არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა და მის ნაცვლად შეიქმნა „საერთო სახალხო სახელმწიფო“.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტიდან „სტალინური“ კონსტიტუციისგან განსხვავებით, ამოიღეს მშობლიური ენის სახელმწიფო სტატუსი. ამ ფაქტმა უკიდურესად ააღელვა ქართველი მოწინავე ინტელიგენცია: უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში საქ. კპ ცკ წარმომადგენლებს განუმარტავდნენ ასეთი გადაწყვეტილების მავნე ხასიათს. შეიქმნა საფრთხე, რომ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს კონსტიტუციიდან ამოიღებდნენ. 1978 წლის 14 აპრილს ინტელიგენცია და სტუდენტობა თბილისის ქუჩაში გამოვიდა. ქართველი ახალგაზრდები მოითხოვდნენ ეროვნული ენის უფლებების დაცვას. ყოველ წუთს შეიძლება ვითარება უმართავი გამხდარიყო.

საქართველოს კპ ცკ პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ ლეონიდ ბრეჟნევს[17] აცნობა თბილისში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მოსკოვი იძულებული გახდა უკან დაეხია. ქართველი ახალგაზრდობის გმირობამ ქართულ ენას კვლავ დაუმკვიდრა სახელმწიფო სტატუსი კონსტიტუციაში. 1978 წლის 15 აპრილს IX

[17] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII საგანგებო სესიამ მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელმაც კვლავ დააკანონა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი.

„გარდაქმნა“

1985 წლის 23 აპრილს შედგა სკკპ ცკ [18] პლენუმი, რომელზეც საბჭოთა კავშირის კპ ცკ გენერალურ მდივნად აირჩიეს მიხეილ გორბაჩოვი, შედარებით ახალგაზრდა, საზღვარგარეთ გარკვეული ავტორიტეტის მქონე პოლიტიკური მოღვაწე.

მიხეილ გორბაჩოვი და რონალდ რეიგანი, 1985 წელი

კომპარტიის ახალმა ხელმძღვანელობამ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას შესთავაზა „გარდაქმნა“ – პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც საბჭოთა კავშირის იერსახე მოკლე დროში რადიკალურად უნდა შეეცვალა. თუმცა, შესამჩნევ შედეგს ვერ მიაღწიეს და ეკონომიკა სტაგნაციიდან ვერ გამოვიდა.

ასეთ ვითარებაში, საქართველოში ანტისაბჭოთა ტენდენციები გაძლიერდა. 1987 წლის 11 დეკემბერს, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებში, შეიქმნა არაფორმალური გაერთიანება „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“. ეს იყო პირველი ლეგალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია საქართველოში. უკვე მასობრივად იქმნებოდა სხვადასხვა არაფორმალური ორგანიზაცია და პარტია.

საპროტესტო აქცია მთავრობის სახლთან, 1988 წელი

მოსკოვი ცდილობდა შეენარჩუნებინა საბჭოთა სახელმწიფოს ერთიანობა. საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ სცადა კონსტიტუციიდან ამოეღო ის პუნქტი, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკას კავშირიდან თავისუფლად გასვლის შესაძლებლობას აძლევდა.

[18] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის გამოქვეყნებისთანავე, საქართველოში საპროტესტო მოძრაობა დაიწყო. 1988 წლის 12 ნოემბერს არაფორმალური ორგანიზაციების მიერ თბილისში მოეწყო არნახული საპროტესტო აქცია, რომელშიც 100 ათასი კაცი მონაწილეობდა. მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმული იყო აუცილებელი მოთხოვნა: დემონსტრაციებისა და ქუჩაში მსვლელობების თავისუფლება, საკონსტიტუციო ცვლილებების დაუშვებლობა და ა. შ.

1989 წლის 9 აპრილი

საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან ერთად, ავტონომიურ რეგიონებში გამოცოცხლდნენ სეპარატისტული ძალებიც, რომლებსაც რუსეთი უჭერდა მხარს. მათ ჩინებულად ისარგებლეს მოსკოვის მასმედიაში, რუსეთის ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში შექმნილი ანტიქართული განწყობილებით და დაიწყეს ქართველების კრიტიკა, საბჭოთა ხელისუფლების ყველა ცოდვა და დანაშაული ქართველ ერსა და საქართველოს მიაწერეს.

ყველაზე მეტად ეს სეპარატისტული განწყობილება გამოვლინდა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში აფხაზეთის ნაციონალისტების თავყრილობაზე, 1989 წლის 18 მარტს, სადაც 30 000 აფხაზი შეიკრიბა. მიიღეს ე.წ. „ლიხნის მიმართვა“, რომელშიც ითხოვდნენ საკავშირო მთავრობის დახმარებას, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას და ა.შ. ეს წერილი დაეგზავნა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობას, დაიბეჭდა აფხაზურ პრესაში.

ლიხნის შეკრება, 1989 წლის 18 მარტი

ამასთან დაკავშირებით, 25 მარტს თბილისში, ვაკის პარკში შედგა თბილისის საზოგადოებრიობის დიდი მიტინგი, რომელზეც განიხილეს აფხაზეთის სეპარატისტების მოთხოვნა. მიტინგის მონაწილეებმა საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვეს გადამწყვეტი ზომების მიღება სეპარატისტების უკანონო მოქმედებების აღსაკვეთად.

საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა პრობლემის მოწესრიგებას. ამ მიზნით, კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი თბილისში შეხვდა არაფორმალურ ლიდერებს: ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას და სთხოვა მათ, მიეცათ შესაძლებლობა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობისათვის პრობლემა მოეგვარებინა, არ გაემწვავებინათ დედაქალაქში პოლიტიკური სიტუაცია.

თუმცა, 4 აპრილს საღამოს 7 საათზე თბილისის უნივერსიტეტში შედგა წინასწარ დაუგეგმავი მიტინგი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია აფხაზეთის ასსრ პრობლემასთან დაკავშირებით.

მთავრობაზე ზემოქმედების მიზნით, გადაწყდა მთავრობის სახლის წინ ხალხმრავალი მიტინგის მოწყობა.

6 აპრილს მიტინგზე ინიციატივა უფრო რადიკალების ხელში გადავიდა. აფხაზეთის პრობლემატიკა, რა თქმა უნდა, მიტინგის დღის წესრიგში დარჩა, მაგრამ ის დაჩრდილა მომიტინგეების ულტრარადიკალურმა გამოსვლებმა და გამონათქვამებმა. მიტინგზე გამოჩნდა ლოზუნგები და ტრანსპარანტები, რომლითაც მოითხოვდნენ: „რუსეთის იმპერიის დაშლას“, „საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას“, „საქართველოს გამოსვლას საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან“, „საქართველოში გაეროს ჯარების შემოყვანას“ და ა. შ.

საქართველოს ოფიციალურმა ხელისუფლებამ მომიტინგეებს ვითარების მშვიდობიანი განმუხტვა შესთავაზა, მაგრამ წარუმატებლად.

ამის შემდეგ, საკავშირო ხელმძღვანელობამ თბილისში შემოიყვანა სპეციალური სადესანტო ნაწილები და 9 აპრილს დილის 4 საათზე დაიწყეს მიტინგის დაშლა.

ამ დროისთვის მიტინგზე იმყოფებოდა 8-10 ათასი ადამიანი, მათ შორის ქალები და მოზარდები. მიტინგის დაშლის დროს ადგილზე დაიღუპა 16 ადამიანი.

თბილისი, 1989 წლის 9 აპრილი (იური როსტის ფოტო)

თბილისში საგანგებო წესები და კომენდანტის საათი შემოიღეს. 9 აპრილს დღისით დაძაბულობა გრძელდებოდა მთელ თბილისში. ორშაბათს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა არ იყო, ბევრი საწარმო გაიფიცა. თბილისში გლოვა დაიწყო.

9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობა საქართველოს უახლეს ისტორიაში უაღრესად დიდია. მან გამოააშკარავა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის კრახი და განაპირობა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის პროცესის მოახლოება.

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო[19] კომუნისტური რეჟიმის დასუსტების, ეროვნული მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენის პირობებში იძულებული გახდა 1990 წლის 9 მარტსა და 20 ივნისს მიეღო

[19] 1989 წლის ნოემბრიდან საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს ეწოდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო.

დადგენილებები, რომლითაც, ფაქტობრივად, უკანონოდ აცხადებდა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში.

9 მარტს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე მიღებულ იქნა დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“, რომლითაც აღიარებულ იქნა, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება, სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენდა ინტერვენციასა და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო, პოლიტიკური თვალსაზრისით — ანექსიას. ხაზი გაესვა, რომ უზენაესი საბჭო გმობს ამ ოკუპაციასა და ფაქტობრივ ანექსიას, როგორც საერთაშორისო დანაშაულს და ესწრაფვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებასა და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული უფლებების აღდგენას. უზენაესმა საბჭომ უკანონოდ და ბათილად გამოაცხადა 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის.

გივი გუმბარიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი/უზენაესი საბჭოს ბოლო თავმჯდომარე

1990 წლის 20 ივნისს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გაუქმებულად გამოაცხადა საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად შექმნილი ხელისუფლების ორგანოები – რევოლუციური კომიტეტები და საბჭოები, რადგან ისინი არ გამოხატავდნენ ქართველი ხალხის ჭეშმარიტ, თავისუფალ ნება-სურვილს. უკანონოდ და ბათილად გამოაცხადა ყველა აქტი, რომელიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ინსტიტუტებს.

საქართველოს სსრ-ის უზენაესმა საბჭომ აღიარა მრავალპარტიული არჩევნები და მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა დაკანონებული იქნებოდა არა როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფორმალური გამგრძელებელი, არამედ როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე. არჩევნები დაინიშნა 1990 წლის 28 ოქტომბერს.

ეროვნული ძალების ზეწოლის შედეგად, არჩევნებს ეწოდა „საქართველოს უზენაესი საბჭოს“ არჩევნები, ნაცვლად „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებისა“.

თავი VI – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და პირველი მოწვევის პარლამენტი

1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევიდან სამოცდაათი წლის შემდეგ, შესაძლებელი გახდა დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. არჩევნებში 14 პოლიტიკური პარტია დარეგისტრირდა, მაგრამ საბოლოოდ 11-მა პოლიტიკურმა ძალამ მიიღო მონაწილეობა. არჩევნები ჩატარდა შერეული სისტემით.

საბჭოთა კანონით, ყველა პარტია თუ ორგანიზაცია რეგისტრაციას გადიოდა იუსტიციის სამინისტროში, მაგრამ, იმის გამო, რომ არც საბჭოთა კავშირის კანონმდებლობა და, მით უმეტეს, არც საქართველოს სსრ კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მრავალპარტიულობას, ყველა პარტია დარეგისტრირდა მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ესეც ეროვნული ძალების ზეწოლის შედეგად მოხერხდა). ეროვნული მოძრაობის მოთხოვნით, საარჩევნო კომისიებში დამატებულ იქნენ წევრები ეროვნული მოძრაობიდან და დამოუკიდებელი ორგანიზაციებიდან.

საარჩევნო უბანი, 1990 წლის 28 ოქტომბერი

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3444002 იყო, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 67%-მა.

საქართველოს ტერიტორია დაიყო 125 საარჩევნო ოლქად, შეიქმნა 3000-მდე საარჩევნო უბანი. არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფდნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების საარჩევნო კომისიები.

დეპუტატთა არჩევნების ჩატარების წესებს განსაზღვრავდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, რომელიც მიიღო საქართველოს სსრ-ის მეთერთმეტე მოწვევის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 18 აგვისტოს.

არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ:

N1 საარჩევნო ბლოკი „თავისუფლება“;

N2 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია;

N3 საქართველოს კომუნისტური პარტია;

N5 საარჩევნო ბლოკი „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“;

N6 საქართველოს სახალხო პარტია;

N7 სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება;

N10 სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი;

N11 საარჩევნო ბლოკი „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“;

N12 საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“;

N13 საქართველოს სახალხო ფრონტი;

N14 საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული საქართველო“.



4%-იანი ბარიერი გადალახა და პროპორციული სისტემით მანდატების მფლობელი მხოლოდ ორი პარტია გახდა:

1. N12 „მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველო“ – 81
2. N3 საქართველოს კომუნისტური პარტია – 44

მაჟორიტარული წესით კი მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. N12 „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ -–74
2. N3 საქართველოს კომუნისტური პარტია – 20
3. N13 სახალხო ფრონტი – 12
4. N14 „დემოკრატიული საქართველო“ – 4
5. N7 სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება – 1
6. N11 ბლოკი „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“ – 1
7. დამოუკიდებელი კანდიდატი – 9

არჩეულ იქნა უზენაესი საბჭოს 250 (125 პროპორციული და 125 მაჟორიტარული სისტემით) დეპუტატი 5 წლის ვადით.

უზენაეს საბჭოში წარმოდგენილი იყო 6 პარტია.

მაჟორიტარული სისტემით 28 ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებში დეპუტატების მანდატის მფლობელი გამოვლინდა 57 ოლქში, ხელახალი ხმის მიცემა დაინიშნა 59 ოლქში, არჩევნების მეორე ტური კი – 7 ოლქში.

11 ნოემბერს 59 ოლქში ჩატარდა ხელახალი კენჭისყრა და ყველგან გამოვლინდა გამარჯვებული. არჩევნების მეორე ტური ჩატარდა 7 ოლქში, გამარჯვებული გამოვლინდა 5 ოლქში, ხოლო 2-ში საჭირო გახდა განმეორებითი არჩევნების ჩატარება. ტყვარჩელისა და გუდაუთის საარჩევნო უბნებში არ გამოცხადდა არცერთი ამომრჩეველი და არჩევნები ჩაიშალა. კანონის თანახმად, არჩევნები ამ ორ ოლქში ორი თვის შემდეგ უნდა გამართულიყო, რაც ვეღარ განხორციელდა[20]. ამრიგად, საქართველოს უზენაეს საბჭოში არსებული 250 სადეპუტატო ადგილიდან შეივსო 246.

არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“.

საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება არჩევნების გზით დაემხო.

ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია 1990 წლის 14 ნოემბერს თბილისში გაიხსნა. სესიამ მიიღო საქართველოს უზენაესი საბჭოს მიმართვები: „მსოფლიოს ხალხებს“, „სრულიად საქართველოს“, „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციას“. ამ მიმართვებში საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო აუწყებდა მსოფლიო თანამეგობრობას, ქართველ ხალხს, რომ საქართველომ „მოიპოვა შესაძლებლობა აერჩია ის გზა, რომელმაც იგი ევროპის ხალხების ოჯახში უნდა დააბრუნოს“.

სესიაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდია აირჩიეს. პირველ მოადგილედ – აკაკი ასათიანი, მოადგილედ – ნემო ბურჭულაძე. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებული გამსახურდიას ბლოკის მიზანი საქართველოს სრული დამოუკიდებლობა იყო, ახალ

[20] აფხაზეთში ანტიქართული პროცესების განვითარების გამო.

ხელისუფლებას მაშინვე არ გამოუცხადებია ქვეყნის დამოუკიდებლობა. პირიქით, ახალმა ხელისუფლებამ მიიღო კანონი ე. წ. „გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“. კანონი ითვალისწინებდა, რომ გარდამავალი პერიოდი უნდა გაგრძელებულიყო 2-3 წელიწადი და ამ პერიოდში ხელისუფლებას უნდა მოემზადებინა პოლიტიკური, ეკონომიკური, საგარეო და საშინაო პირობები – დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ეს იყო უმნიშვნელოვანესი და გონივრული ნაბიჯი, რომელიც საჭიროდ მიიჩნევდა, რომ დამოუკიდებლობისათვის საზოგადოება და ხელისუფლება სერიოზულად მომზადებულიყო. ქვეყანა უნდა გამოსულიყო საერთაშორისო იზოლაციიდან, ხელისუფლებას მოეპოვებინა წამყვანი სახელმწიფოების მხარდაჭერა და ა.შ.

„საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“ კანონში აღნიშნული იყო, რომ: „საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით (განსაკუთრებით 1924,1936-38, 1949-51, 1956წწ.), რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ამ მოვლენამ თვისობრივად ახალ ეტაპზე აიყვანა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

უზენაესი საბჭოს პირველი სესია, 1990 წლის 14 ნოემბერი

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. ამით დაიწყო ახალი ხანა, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით.

ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი.

გარდამავალი პერიოდი არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები.“

უზენაესი საბჭოს პირველივე სხდომაზე მიღებულ იქნა კანონები: „სახელმწიფო გერბის შესახებ“, „სახელმწიფო დროშის შესახებ“, „სახელმწიფო ჰიმნის შესახებ“, „საქართველოს სსრ სახელწოდების შეცვლის შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“.

ამ კანონების თანახმად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შეეცვალა სახელწოდება – მას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“. აღდგა სახელმწიფო სიმბოლიკაც – გერბი (შვიდქიმიანი ვარსკვლავი თეთრი გიორგის გამოსახულებით), დროშა – წითელის ნაცვლად სამფეროვანი გახდა (ზედა ნაწილში თეთრი და შავი ზოლი შინდისფერ ფონზე) და ჰიმნი (კ. ფოცხვერაშვილის „დიდება“).

1990 წლის 15 ნოემბერს უზენაეს საბჭოში შეიქმნა 9 მუდმივმოქმედი საპარლამენტო კომისია:

- ✓ კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის;
- ✓ საფინანსო-საბიუჯეტო;
- ✓ ეკონომიკური რეფორმების;
- ✓ ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა;
- ✓ მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის;
- ✓ სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის;
- ✓ საგარეო ურთიერთობათა;
- ✓ თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის;
- ✓ კულტურის, განათლებისა და მეცნიერების.

მდგომარეობა საქართველოში უზენაესი საბჭოს არჩევნების შემდეგ

საქართველოს უზენაესი საბჭო, როგორც ქართველი ხალხის ნების გამომხატველი ლეგიტიმური უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, უფრო მიზანმიმართულად შეუდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

სსრ კავშირის პრეზიდენტად არჩეულ მიხეილ გორბაჩოვს არ დაუმალავს, რომ თუ საქართველო შეეცდებოდა „ძმური კავშირიდან“ გამოყოფას, მას პრობლემები შეექმნებოდა საკუთარ ტერიტორიაზე არსებულ ავტონომიურ ერთეულებში. მოსკოვის ფარული თუ აშკარა მხარდაჭერით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მართლაც იმძლავრა ანტიქართულმა განწყობამ. აფხაზეთის სეპარატისტული ორგანიზაცია „აიდგილარა“ აფხაზეთის ცალკე რესპუბლიკად გარდაქმნას და საქართველოდან ჩამოშორებას, ოს სეპარატისტთა გაერთიანება „ადამონ ნიხასი“ კი სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას მოითხოვდა. როგორც ერთი, ისე მეორე დაჯგუფება, კრემლისავე ხელშეწყობით იარაღს იმარაგებდა და სამხედრო კონფრონტაციისთვის ემზადებოდა.

საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. პოლიტიკური პრობლემების გარდა, თავი იჩინა ეკონომიკური, სოციალური და სხვა ხასიათის სირთულეებმა, რომლებიც ცენტრთან დაპირისპირების პარალელურად, კიდევ უფრო მწვავდებოდა.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრიორიტეტულ ამოცანებს საბჭოთა ინსტიტუტების გაუქმება და სანაცვლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, დემოკრატიული სტრუქტურების ფორმირება წარმოადგენდა. შეწყდა საბჭოების უფლებამოსილება, დაიწყო კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების დაშლა, წვრილი საწარმოებისა და ობიექტების პრივატიზაცია, ჩაისახა თავისუფალი მეწარმეობა, გაჩნდა კერძო ბანკები, მომრავლდა დამოუკიდებელი ჟურნალ-გაზეთები, გამოიკვეთა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პირველი ნიშნები. უზენაესმა საბჭომ ქვეყნის ტერიტორიაზე შეაჩერა სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და ინტერესებს. შეიცვალა ახალგაზრდების სამხედრო სამსახურში გაწვევის წესი. შეიქმნა შინაგანი ჯარი – ეროვნული გვარდია. 1991 წლის მარტში ჩატარდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების – საკრებულოების დეპუტატთა არჩევნები.

ქვეყანაში შეიქმნა და დაკანონდა მრავალპარტიული სისტემა, რომელიც ეყრდნობოდა კანონს პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ. პოლიტიკურ პარტიებს მიეცათ შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და სახელმწიფოს მართვაში, საკანონმდებლო ორგანოში და ამდენად, კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო წყობილების შესახებ“, რომელიც არეგულირებდა სასამართლოს განთავისუფლებას სახელმწიფოს ზეწოლისაგან.

ასეთ ვითარებაში, საბჭოთა კავშირის შესანარჩუნებლად კრემლში გადაწყვიტეს ახალი სამოკავშირეო სახელმწიფოთა გაერთიანების შექმნა, რომელშიც თითქოს უნდა შესულიყვნენ „სუვერენული“ რესპუბლიკები. ამ მიზნით უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

რეფერენდუმი ერთადერთ კითხვაზე პასუხის გაცემას ითხოვდა: „თვლით თუ არა თქვენ საჭიროდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, როგორც თანასწორუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკების განახლებული ფედერაციის შენარჩუნებას, რომელშიც მთელი სისრულით იქნება გარანტირებული ნებისმიერი ეროვნების ადამიანთა უფლებები და მოვალეობები“. ფაქტობრივად საუბარი იყო არსებული საბჭოთა კავშირის მოდერნიზაციაზე და არა ახალი სახელმწიფოს შექმნაზე.


БЮЛЛЕТЕНЬ

для голосования на референдуме СССР

17 марта 1991 года

Считаете ли Вы необходимым сохранение Союза Советских Социалистических Республик как обновленной федерации равноправных суверенных республик, в которой будут в полной мере гарантироваться права и свободы человека любой национальности.

Оставьте один из указанных ответов, другой вычеркните

ДА НЕТ

რეფერენდუმი 1991 წლის 17 მარტისთვის დაინიშნა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ქვეყნის ტერიტორიაზე აკრძალა საკავშირო რეფერენდუმი და მის საპირისპიროდ ეროვნული რეფერენდუმის ჩატარების დადგენილება მიიღო.

რეფერენდუმი და დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღება

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მასშტაბით მოეწყო მოსახლეობის საერთო-სახალხო გამოკითხვა. მის მონაწილეებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: „თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 3 მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა. გამოკითხულთა 98%-მა შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა. საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას მხარი დაუჭირა რესპუბლიკის არაქართველი მოსახლეობის უმეტესობამაც.


1991 წლის 31 მარტი

სარეფერენდუმო ბიულეტენი

თანახმა ხართ თუ არა,
აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა
1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?

დიახ

არა

რეფერენდუმის შედეგებმა ქვეყნის ხელისუფლებას მეტი საფუძველი მისცა საქართველოს პოლიტიკური ბედის გადასაწყვეტად. 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატული რესპუბლიკის მოსახლეობის ერთსულოვან

ნებაზე დაყრდნობით, უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

აქტში ეწერა, რომ: „1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, აღადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანია და განუყოფელი. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.“



იმავე დღეს, უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების შესახებ“. კანონში ეწერა, რომ ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, ქვეყანაში იმოქმედებდა 1990 წლის 14 ნოემბერს მიღებული კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“. ასევე, ახალ კანონში იყო ჩანაწერი, რომ საკონსტიტუციო კომისიას დაეჩქარებინა მუშაობა ახალ კონსტიტუციაზე, რომელიც 1921 წლის კონსტიტუციის დებულებათა საფუძველზე შემუშავდებოდა.

1991 წლის 14 აპრილს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად და იმავე დღეს მიიღო დადგენილება, საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის თაობაზე 1991 წლის 26 მაისს.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს აკაკი ასათიანი.

ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა პრეზიდენტად იმავე წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

როგორც ზემოთ ვთქვით, გამსახურდიას მმართველობის ხანმოკლე პერიოდში ისეთმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა იჩინა თავი, რომლებმაც შეუძლებელი გახადა თანმიმდევრული სახელმწიფოებრივი და დემოკრატიული რეფორმების გატარება. ამის მიუხედავად, მაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყნის სახელმწიფოებრივი და დემოკრატიული სტრუქტურების შექმნის გზაზე.

1991-1992 წლის სახელმწიფო გადატრიალება

1991 წლის 22 დეკემბერს, რუსთაველის გამზირზე ხელისუფლებისა და მისი მოწინააღმდეგეების მხარდამჭერი შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირებით დაიწყო ე.წ. „თბილისის ომი“, რომელმაც 15 დღე გასტანა და ოფიციალური მონაცემებით 113 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

შეიარაღებული კონფლიქტი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიის მომხრეებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის 1991 წლის 22 დეკემბერს დილის რვის ნახევარზე დაიწყო, თუმცა ხელისუფლება და ოპოზიცია შეიარაღებული დაპირისპირებისკენ დიდი ხნის განმავლობაში მიდიოდნენ.

ჯერ კიდევ 1990 წლის მარტში, მოხდა განხეთქილება საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. 11-13 მარტს თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა კონფერენცია, რომელზეც მიწვეული იყო იმ დროს ეროვნულ მოძრაობაში ჩართული ყველა არაფორმალური გაერთიანება. კონფერენციაზე გამოიკვეთა ორი მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკური პოზიცია და ჩამოყალიბდა ორი ძირითადი პოლიტიკური ალიანსი:

ერთი მხრივ, „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, ზვიად გამსახურდია და მის მომხრე პოლიტიკური პარტიები და მეორე მხრივ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (გიორგი ჭანტურია), ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (ირაკლი წერეთელი), კონსერვატორული პარტია (თემურ ჟორჟოლიანი) და მხედრიონი (ჯაბა იოსელიანი). გამსახურდიას და მის მომხრეებ საჭიროდ მიაჩნდათ საბჭოთა კავშირის კანონებით არჩევნების ჩატარება, არჩევნების მოგება და ამ გზით მოპოვებული ხელისუფლების გამოყენება საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან კანონიერი, ლეგიტიმური გასვლისათვის. ამ გზას მაშინ „ლიტვის გზას“ უწოდებდნენ, რამდენადაც ლიტვამ 1990 წლის 11 მარტს სწორედ ასე დაიწყო სსრ კავშირიდან გასვლა.

ჭანტურია-წერეთელი-იოსელიანის მომხრეები კი, არჩევნებში გამარჯვების გზით დამოუკიდებლობის მოპოვებას შეუძლებლად თვლიდნენ და მიაჩნდათ, რომ პირველ რიგში აუცილებელი იყო საბჭოთა არმიის გაყვანა საქართველოდან. ამისთვის უნდა არჩეულიყო ალტერნატიული ორგანო, „ეროვნული კონგრესი“, რომელიც იქნებოდა საქართველოს მოსახლეობის ნების გამომხატველი ერთადერთი ორგანო და საბოლოოდ, მას უნდა დაესვა საქართველოს დეოკუპაციისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი. მათი ლოზუნგი იყო: „ჯერ – თავისუფლება, შემდეგ – დამოუკიდებლობა“.

ზვიად გამსახურდიამ ეროვნულ კონგრესს „ანტიეროვნული მოძრაობა“ უწოდა. კონგრესის მომხრეებმა 1990 წლის 23–26 მაისს სპორტის სასახლეში ჩაატარეს „ეროვნული ყრილობა“, სადაც გადაწყვიტეს არ მიეღოთ უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა, რაც შეასრულეს კიდეც.

ოპოზიციის მიტინგი ტელევიზიასთან, 1991 წელი

ეროვნული კონგრესი ოპოზიციაში ჩაუდგა ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო არჩევნებზე გამარჯვების შემდეგ. კონგრესმა მოახერხა მოსახლეობის იმ ნაწილის თავის მხარეს გადმობირება, რომელიც უკმაყოფილო იყო ახალი ხელისუფლების მიერ არჩეული პოლიტიკური და ეკონომიკური კურსით.

ვითარება დაიძაბა ე.წ. „გეკაჩეპეს“ [21] პუტჩის დროს (1991 წლის 18–21 აგვისტო), თბილისში ზვიად გამსახურდიასთან საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილის და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის შეხვედრის შემდეგ. მათ გამსახურდიას ეროვნული გვარდიის დაშლა მოთხოვეს, რასაც გამსახურდია იძულებული იყო დათანხმებოდა. ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შემდეგ, ეროვნული გვარდია გახდა მილიციის სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფი, გვარდიის სარდლის თანამდებობა გაუქმდა და მისი ფუნქციები შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს დაეკისრა.

ამ გადაწყვეტილებამ გვარდიის რიგებში განხეთქილება გამოიწვია. ეროვნული გვარდია ითვლებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოდ, ამიტომაც პრეზიდენტის მიერ მისი სტატუსის დაქვეითება შეფასდა როგორც დამოუკიდებლობაზე უარის თქმა. ეროვნული გვარდიის სარდალმა თენგიზ კიტოვანმა გამსახურდია პუტჩისტებთან გარიგებაში და ქვეყნის ღალატში დაადანაშაულა. გვარდიის ნაწილი, თბილისის ზღვის მახლობლად დაბანაკდა და პრეზიდენტს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა.

1991 წლის 8 დეკემბერს რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის ხელმძღვანელთა მიერ ე.წ. ბელოვეჟის ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად საბჭოთა კავშირმა, როგორც სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა.

[21] საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი - Государственный комитет по чрезвычайному положению в СССР (ГКЧП)

იმავე წლის 21 დეკემბერს ალმა-ატაში შედგა 8 საბჭოთა რესპუბლიკის მეთაურთა შეხვედრა, რომლებმაც ხელი მოაწერეს დეკლარაციას, საბჭოთა კავშირის არსებობის შეწყვეტისა და „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ (დსთ) შექმნის შესახებ.

ეროვნულმა ხელისუფლებამ უარი განაცხადა ახალი გაერთიანების შემადგენლობაში შესვლაზე.

ამან საქართველოს იზოლაცია გამოიწვია როგორც დსთ-ს მხრიდან, ასევე – დასავლეთის.

შედეგად, სიტუაცია ქვეყნის შიგნით უფრო დაიძაბა. ოპოზიცია მოითხოვდა პრეზიდენტის გადადგომას და ვადამდელი არჩევნების დანიშვნას. ხელისუფლება ოპოზიციისგან მოითხოვდა მორჩილებას და განიარაღებას. დაძაბულობამ დედაქალაქში კულმინაციას 21 დეკემბერს მიაღწია, როდესაც თბილისის ცენტრში შემოვიდნენ ეროვნული გვარდიის დაუმორჩილებელი ნაწილი და „მხედრიონის“ წევრები. მოხდა სისხლიანი შეტაკება. თბილისის ცენტრი საომარი მოქმედების ასპარეზად გადაიქცა.

ოპოზიციამ შეძლო პრეზიდენტის მომხრეთა ბლოკირება მთავრობის სასახლის ქვედა სართულში. მთავრობის ცდა ჩაეხშო ამბოხება მარცხით დამთავრდა.

სამოქალაქო დაპირისპირების შედეგად გადამწვარი თბილისის ცენტრი, 1992 წელი

ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო საბჭომ (თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ სიგუა). 1992 წლის 6 იანვარს ღამით, იზოლაციაში მოქცეული ზვიად გამსახურდია თბილისს გაეცალა.

სამხედრო საბჭომ მოგვიანებით თავი „სახელმწიფო საბჭოდ“ გამოაცხადა და ხელმძღვანელად ედუარდ შევარდნაძე მოიწვია 1992 წლის მარტში.

1992 წლის შემოდგომის არჩევნებზე შევარდნაძე პრეზიდენტად აირჩიეს. მანამდე ის დე ფაქტო პრეზიდენტი იყო.

1991-1992 წლის მოვლენები დაგმო საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით.

თავი VII – 1992 წლის 11 ოქტომბრის, 1995 წლის 5 ნოემბრის და 1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები (შევარდნაძის მმართველობის პერიოდი)

1992 წლის 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

1992 წლის 11 ოქტომბერს გაიმართა მეორე მოწვევის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც შერეული სისტემით ჩატარდა. არჩევნები ჩატარდა ე.წ. ბუნებრივი ბარიერით, რის გამოც არჩეული პარლამენტი ყველაზე მრავალფეროვანი აღმოჩნდა პარლამენტის არსებობის მანძილზე.

1992 წლის 4 აგვისტოს გამოქვეყნებული „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დებულების“ ახალი რედაქციით, პარლამენტში 234 დეპუტატი აირჩეოდა 3 წლის ვადით. 150 დეპუტატი აირჩეოდა პარტიული სიებით მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე; 84 დეპუტატი – ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

პარლამენტის არჩევნებისთვის შეიქმნა 10 მრავალმანდატიანი და 84 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით.

საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდა პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფო მეთაურის არჩევნები. არჩევნების შედეგად საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ედუარდ შევარდნაძე.

საოლქო კომისიები ვერ შეიქმნა ცხინვალის, ტყვარჩელის, ჯავისა და გუდაუთის რაიონებში. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა დაახლოებით 96%-მა.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩიეს 75 დეპუტატი (მაჟორიტარული სისტემით არჩევნები ჩატარდა 84 მაჟორიტარული ოლქიდან 75-ში. არჩევნები გადატანილ იქნა შემდეგ საარჩევნო ოლქებში: ჯავა, ცხინვალი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, გაგრა, გალი, გუდაუთა და ტყვარჩელი).

1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნების დროს მაჟორიტარული და პროპორციული არჩევნებისათვის სხვადასხვა ოლქები იყო გამოყოფილი. პროპორციული არჩევნებისათვის შეიქმნა 10 მსხვილი მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი.

პროპორციულ სისტემაში კენჭისყრა ხდებოდა სამ ბალიანი სისტემით (თითოეულ ამომრჩეველს ჰქონდა 3 ხმა). კვოტების დადგენა და ხმების დათვლა ხდებოდა მრავალმანდატიანი ოლქების დონეზე, დარჩენილი ხმები პრეფერენციის წესით ნაწილდებოდა საერთო ეროვნულ დონეზე.

არჩევნებში მონაწილეობდა 36 პოლიტიკური პარტია და საარჩევნო ბლოკი. ბუნებრივი ბარიერი გადალახა 24-მა პარტიამ.

პარტიის/ბლოკის დასახელება	მანდატების რაოდენობა	ქვეყნის მასშტაბით აღებული ამომრჩეველთა %
ბლოკი „მშვიდობა“	29 (6 საკომპენსაციო სიით)	22.96
ბლოკი „11ოქტომბერი“	18 (3 საკომპენსაციო სიით)	12.06
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	12 (4 საკომპენსაციო სიით)	9.21
ბლოკი „ერთობა“	14 (7 საკომპენსაციო სიით)	8.30
დემოკრატიული პარტია	10 (7 საკომპენსაციო სიით)	7.04
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი	7 (6 საკომპენსაციო სიით)	5.56
საქართველოს მწვანეთა პარტია	11 (5 საკომპენსაციო სიით)	4.91
„ქარტია 91“	9 (4 საკომპენსაციო სიით)	4.83
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება	7 (6 საკომპენსაციო სიით)	3.01
სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება	5 (საკომპენსაციო სიით)	2.84
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია	4 (საკომპენსაციო სიით)	2.70
საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია	4 (საკომპენსაციო სიით)	2.36
საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი	4 (აქედან 3 საკომპენსაციო სიით)	2.16
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია	2 (საკომპენსაციო სიით)	1.04
ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია	2 (საკომპენსაციო სიით)	1.02
საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი	2 (საკომპენსაციო სიით)	0.96
საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი	2 (საკომპენსაციო სიით)	0.86
საქართველოს მთიელთა კავშირი	1 (საკომპენსაციო სიით)	0.86
სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი	2 (საკომპენსაციო სიით)	0.85
საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული კავშირი	1 (საკომპენსაციო სიით)	0.83
ბლოკი „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა პოლიტიკური კავშირი“	1 (საკომპენსაციო სიით)	0.70
მამულის აღორძინების საზოგადოება	1 (საკომპენსაციო სიით)	0.69
საქართველოს რადიკალურ-მონარქისტული კავშირი	1 (საკომპენსაციო სიით)	0.69
საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია	1 (საკომპენსაციო სიით)	0.47

ეს იყო დამოუკიდებლობის ისტორიაში ყველაზე მრავალპარტიული პარლამენტი. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3471866 ადამიანი, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2575197 ადამიანმა.

საქართველოს პარლამენტის პირველ სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რითიც პარლამენტმა დაადგინა, რომ ცნობენ 1992 წლის 11 და 25 ოქტომბერს არჩეული საქართველოს პარლამენტის 222 დეპუტატის უფლებამოსილებას. იქვე ცნობად მიიღეს სამანდატო კომისიის განცხადება იმის თაობაზე, რომ მასალები 3 დეპუტატის უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით განხილული იქნება უახლოეს დღეებში.
ასევე დაადგინა პარლამენტმა, რომ ცნობილ იქნეს 1992 წლის 11 ოქტომბერს არჩეული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის უფლებამოსილება.

ვახტანგ რჩეულიშვილი, ვახტანგ გოგუაძე, ედუარდ შევარდნაძე და რუსუდან ბერიძე

პარლამენტის სპიკერი – თავმჯდომარის მოადგილე გახდა ვახტანგ გოგუაძე.

სპიკერის მოადგილეებად აირჩიეს:

- ✓ რუსუდან ბერიძე
- ✓ ვახტანგ რჩეულიშვილი

პარლამენტში შეიქმნა 17 მუდმივმოქმედი საპარლამენტო კომისია.

1. სამანდატო, დეპუტატის ეთიკისა და პრივილეგიების;
2. საგარეო საქმეთა;
3. თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების;
4. იურიდიული;
5. ეკონომიკურ საკითხთა;
6. საფინანსო-საბიუჯეტო;
7. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების;
8. ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოთა რეფორმების;
9. განათლების და მეცნიერების;
10. კულტურის;
11. ჯანმრთელობის დაცვის;
12. აგრარული;

13. მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის;
14. ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნული უმცირესობათა საქმეების;
15. სოციალურ საკითხთა;
16. მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის;
17. სპორტისა და ტურიზმის.

1992 წლის ოქტომბერში მიღებული „პარლამენტის დროებითი რეგლამენტის თანახმად“, ფრაქციის ჩამოყალიბება შეეძლო დეპუტატთა სულ მცირე 10 წევრიან ჯგუფს.

1992 წლის 28 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს პარლამენტში რეგისტრირებული იყო 6 ფრაქცია: „რესპუბლიკელები“, „ეროვნულ-დემოკრატი“, „აღორძინება“, „კონსერვატორები“, „მშვიდობა“ და „ლიბერალები“.



ედუარდ შევარდნაძე და მეორე მოწვევის პარლამენტის წევრები ე.წ. „იმელის“ სხდომათა დარბაზში

1992 წლის 6 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რომელიც იმ პერიოდში კონსტიტუციის მაგივრობას სწევდა. ამ კანონის თანახმად, საქართველოში უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა პარლამენტი. უმაღლეს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ხელისუფლებას ახორციელებდნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი. სასამართლო ხელისუფლებას – სასამართლო.

„სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლში იყო ჩანაწერი, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მეთაურად პარლამენტის მიერ მისი სიითი შემადგენლობის ორი მესამედი უმრავლესობით აირჩევა პარლამენტის თავმჯდომარე, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება პარლამენტის უფლებამოსილების ვადით“. მიუხედავად იმისა, რომ ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფოს მეთაურად აირჩიეს პირდაპირი წესით საყოველთაო არჩევნებზე.

სახელმწიფოს მეთაურის – პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილება იყო როგორც პარლამენტის საქმიანობის მართვა (პარლამენტის მორიგი სესიის მოწვევა, სხდომის თავმჯდომარეობა, კანონებზე ხელმოწერა და ა.შ.), ასევე „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის მეთაურობა“

(პრემიერ-მინისტრის მოადგილეების, სახელმწიფო რწმუნებულების, უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირების და ა.შ. დანიშვნა-გათავისუფლება).

1992 წლის 6 ნოემბრის კანონში ხელისუფლების დანაწილება უცნაურად იყო გადაწყვეტილი, რომელსაც ანალოგი მსოფლიოში არ მოეძებნება. პარლამენტის თავმჯდომარე, იმავდროულად სახელმწიფოს მეთაურიც იყო.

„პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირება ხდება საომარ და სამობილიზაციო პირობებში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლების ეფექტიანობას, მთელი ძალების კონცენტრაციას იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც ქვეყანას და ხალხს გადაარჩენს“ – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტის პირველ სხდომაზე.

ამ პერიოდში, საომარი ვითარება იყო აფხაზეთში. საბრძოლო მოქმედებები 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო.

1992 წლის სექტემბერში პარლამენტმა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში იქმნებოდა 85 ერთმანდატიანი ოლქი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით (ქალაქ თბილისში 10 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი).

კანონის თანახმად, პროპორციულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა რეგისტრირებულ პარტიას, რომლის ინიციატივაც დადასტურებული იქნებოდა 50 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერით ან რომელსაც ეყოლებოდა წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისთვის. მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში კი – წარდგენის უფლების მქონე პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ კანდიდატს, აგრეთვე პირს, რომლის წარდგენის ინიციატივა დადასტურებული იქნებოდა 1000 ხელმოწერით მაინც ან რომელიც ბოლო არჩევნებში არჩეული იყო პარლამენტის წევრად.

1992 წლის 6 ნოემბერს, პარლამენტმა ასევე დაამტკიცა საქართველოს პარლამენტის დროებითი რეგლამენტი. ამ რეგლამენტის თანახმად, პარლამენტში საპარლამენტო ფრაქციად ჩამოყალიბების უფლება ჰქონდა სულ მცირე 10 დეპუტატს.

ასევე ამ რეგლამენტით, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, გენერალურ პროკურორს, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსს, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავდა პარლამენტი ფარული კენჭისყრით, დეპუტატთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

1992 წლის მოწვევის პარლამენტმა 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

კონსტიტუციით საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდება გახდა „საქართველო“, ნაცვლად „საქართველოს რესპუბლიკისა“.

კონსტიტუციის მიღება

კონსტიტუციით განისაზღვრა პარლამენტის წევრთა რაოდენობაც: 150 პროპორციული სისტემით და 85 მაჟორიტარული სისტემით. ასევე, პარლამენტის გამართულად მუშაობის მიზნით შეიქმნა პარლამენტის ბიურო.

ამ მოწვევის პარლამენტმა 1995 წლის 9 სექტემბერს მიიღო კანონი „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“, სადაც გაიწერა კონსტიტუციით დადგენილი ნორმები არჩევნებთან დაკავშირებით. დადგინდა 5%-იანი საარჩევნო ზღურბლი პროპორციული სისტემისთვის.

კონსტიტუციის მიღებიდან 5 დღეში, 29 აგვისტოს, განხორციელდა ტერორისტული აქტი პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფოს მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ. პარლამენტის შენობასთან (ე.წ. „იმელთან“) მდგარ მანქანასთან ნაღმი აფეთქდა. დაშავდა სახელმწიფოს მეთაური, პარლამენტის წევრები და სახელმწიფოს მეთაურის აპარატის თანამშრომლები.

1995 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც იმავე წლის 5 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები.

საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით. არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა იმ პარტიასა და პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც წარმოადგენდა 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერას, ან რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში. პარლამენტის 235 მანდატიდან 150 მანდატი მიღებული ხმების პროპორციულად განაწილდა იმ პარტიებზე, რომლებმაც მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 5%-ზე მეტი. 85 მანდატი გადანაწილდა მაჟორიტარ დეპუტატებზე. რადგან აფხაზეთში კვლავ ვერ მოხერხდა არჩევნების ჩატარება, არჩეულ 12 დეპუტატს გაუგრძელდა უფლებამოსილების ვადა (4 პროპორციული სისტემით და 8 მაჟორიტარული სისტემით). 73 დეპუტატი კი აირჩა დანარჩენი მაჟორიტარული ოლქებიდან.

არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 53 პოლიტიკური პარტია. ამათგან პროპორციული სისტემით 5 პროცენტიანი ბარიერი გადალახა სამმა პარტიამ:

1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – 90 მანდატი;
2. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 31 მანდატი;

3. საქართველოს აღორძინების კავშირი – 25 მანდატი;

მაჟორიტარული წესით მანდატების რაოდენობა ასე გადანაწილდა:

1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – 18 მანდატი;
2. სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი – 6 მანდატი;
3. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 3 მანდატი;
4. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი – 3 მანდატი;
5. საქართველოს სოციალისტური პარტია – 4 მანდატი;
6. საქართველოს რეფორმატორთა კავშირი „ეროვნული თანხმობა“ – 2 მანდატი;
7. ბლოკი „თანადგომა“ – 3 მანდატი;
8. საქართველოს რესპუბლიკური პარტია – 1 მანდატი;
9. სახელმწიფოებრივ - სამართლებრივი გაერთიანება – 1 მანდატი;
10. ბლოკი „პროგრესი“ – 4 მანდატი;
11. სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“ – 1 მანდატი;
12. აფხაზეთის წარმომადგენლობა – 8 მანდატი;
13. დამოუკიდებელი კანდიდატი – 29 მანდატი;

მესამე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს ზურაბ ჟვანია.

ელდარ შენგელაია, ზურაბ ჟვანია, ედვარდ სურმანიძე, ვახტანგ ყოლბაია.

მოადგილეებად აირჩიეს: ელდარ შენგელაია, ედვარდ სურმანიძე და ვახტანგ ყოლბაია.

პარლამენტში შეიქმნა 9 ფრაქცია და 14 კომიტეტი.

ფრაქციები:

1. „ მოქალაქეთა კავშირი“;
2. „აღორძინება“;
3. „სახალხო“;
4. „ლეიბორისტი“;
5. „ედპ“ ;
6. „იმედი“;
7. „მაჟორიტარი-სოციალისტი“;
8. „მამული“;
9. „აფხაზეთი“.

შეიქმნა საპარლამენტო უმრავლესობა, რომელშიც გაერთიანდა ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“, ფრაქცია „იმედი“ და ფრაქცია „მამული“. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გახდა ლანა ღოღობერიძე.

ასევე შეიქმნა კოალიცია „ერთიანი საქართველო“. მასში გაერთიანდა ფრაქცია „აღორძინება“ და ფრაქცია „ლეიბორისტი“. კოალიციის თავმჯდომარედ აირჩიეს შალვა ნათელაშვილი.

პარლამენტში შეიქმნა 14 კომიტეტი:

1. აგრარულ საკითხთა;
2. ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების;
3. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის;
4. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების;
5. დარგობრივი ეკონომიკის;
6. ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების;
7. თავდაცვისა და უშიშროების;
8. თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის;
9. მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების;
10. საგარეო ურთიერთობათა;
11. საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების;
12. საპროცედურო საკითხთა და წესების;
13. საფინანსო-საბიუჯეტო;
14. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა.

ამ მოწვევის პარლამენტმა მიიღო ბევრი მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც დღესაც ძალაშია.

მაგალითად: „გარემოს დაცვის შესახებ“, „საჰაერო კოდექსი“, „საქართველოს სახალხო დამცველი შესახებ“, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ და სხვ.

მესამე მოწვევის პარლამენტმა, 1999 წლის ივლისში, განახორციელა ცვლილება „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ კანონში და საარჩევნო ბარიერი 5%-იდან 7%-ზე აწია.

1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

1999 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა მორიგი საპარლამენტო არჩევნები, იმავე წესებით, როგორც წინა მოწვევის პარლამენტი, გაზრდილი საარჩევნო ბარიერით. აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის გამო ისევ არ დანიშნულა არჩევნები, ამიტომ აფხაზეთის დეპუტაციის 12 წევრს უფლებამოსილება ისევ გაუგრძელდა.

პარლამენტის წევრთა შემადგენლობა განსაზღვრული იყო 235 წევრით. 150 აირჩეოდა პროპორციული, 85 კი – მაჟორიტარული წესით. არჩევნებში მონაწილეობდა 45 პარტია.

პროპორციული სისტემით 7%-იანი ბარიერი გადალახა სამმა პარტიამ:

1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი 42.07% (85 მანდატი);
2. ბლოკი „საქართველოს აღორძინება“ 25.41% (51 მანდატი);
3. ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ 7.13% (14 მანდატი).

მაჟორიტარული წესით მანდატები მოიპოვეს შემდეგმა პარტიებმა:

1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – 46 მანდატი;
2. ბლოკი „საქართველოს აღორძინება“ – 7 მანდატი;
3. ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 1 მანდატი;
4. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია – 2 მანდატი;
5. დამოუკიდებელი კანდიდატი – 17 მანდატი.



პარლამენტის თავმჯდომარედ კვლავ ზურაბ ჟვანია აირჩიეს. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩიეს ელდარ შენგელაია, გიორგი წერეთელი, ვახტანგ ყოლბაია, როსტომ

ჯაფარიძე, ვახტანგ რჩეულიშვილი.

შეიქმნა 16 მუდმივმოქმედი საპარლამენტო კომიტეტი:

1. აგრარულ საკითხთა;
2. ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის;
3. გადასახადებისა და შემოსავლების;
4. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის;
5. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების;
6. დარგობრივი ეკონომიკის;
7. ეკონომიკური პოლიტიკის;
8. სამოქალაქო ინტეგრაციის;
9. თავდაცვისა და უშიშროების;
10. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის;
11. იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების;
12. მთიანი რეგიონებისა და განსახლების;
13. საგარეო ურთიერთობათა;
14. საპროცედურო საკითხთა და წესების;
15. საფინანსო-საბიუჯეტო;
16. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა.

თავდაპირველად პარლამენტში შეიქმნა 10 ფრაქცია:

1. „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“;
2. „საქართველოს რეგიონები - მაჟორიტარები“;
3. „მრეწველები“;
4. „აფხაზეთი“;
5. „აღორძინება“;
6. „ტრადიციონალისტი“;
7. „სოციალისტი“;
8. „XXI საუკუნე“;
9. „ერთიანი საქართველო“;
10. „ახალი ფრაქცია“.

თუმცა, შემდგომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების გამო, პარლამენტში ვითარება შეცვალა. 2001 წლის ოქტომბერში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში გამეფებული კორუფციისა და სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ განხორციელებული თავდასხმების გამო, ზურაბ ჟვანია

გადადგა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან და გაემიჯნა სახელისუფლებო გუნდს. 2002 წლის დასაწყისში, თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა პარტია „გაერთიანებული დემოკრატები“ და შესაბამისი ფრაქცია შეიქმნა პარლამენტში.

2001 წლის ოქტომბერში მიხეილ სააკაშვილმა, იუსტიციის მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ, დააფუძნა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და პარტიაში გაერთიანებული წევრებისგან შეიქმნა საპარლამენტო ფრაქციაც.

2001 წლის 9 ნოემბერს ასევე შეიცვალა პარლამენტის თავმჯდომარეც. ზურაბ ჟვანიას გადადგომის შემდეგ, ჩატარდა თავმჯდომარის არჩევნები, სადაც ნინო ბურჯანაძე, ე.წ. რეფორმატორების წარმომადგენელი და ვაჟა ლორთქიფანიძე, შევარდნაძის მხარდამჭერთა წარმომადგენელი დაუპირისპირდა ერთმანეთს. არჩევნებში ნინო ბურჯანაძემ გაიმარჯვა. პოლიტიკურ ძალთა გადანაცვლების შედეგად, ასევე შეიცვალა კომიტეტების თავმჯდომარეებიც.

ნინო ბურჯანაძე

საბოლოოდ, მე-5 მოწვევის პარლამენტში, სადაც ყველაზე დიდ ფრაქციას „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ წარმოადგენდა, სიტუაცია ისე შეიცვალა, რომ ბოლოს ფრაქციამ არსებობა შეწყვიტა.

მოწვევის ბოლოს პარლამენტში იყო 12 ფრაქცია:

- ✓ „გაერთიანებული დემოკრატები“ – 30 წევრი;
- ✓ „საქართველოს რეგიონები-მაჟორიტარები“ – 14 წევრი;
- ✓ „მრეწველები“ – 13 წევრი;
- ✓ „ახალი მემარჯვენეები (ახლები)“ – 12 წევრი;
- ✓ „აღორძინება“ – 12 წევრი;
- ✓ „ნაციონალური მოძრაობა“ – 12 წევრი;
- ✓ „ახალი აფხაზეთი და ქრისტიან დემოკრატები“ – 10 წევრი;
- ✓ „თანადგომა“ – 11 წევრი;
- ✓ „აფხაზეთი“ – 10 წევრი;
- ✓ „თავისუფლება“ – 10 წევრი;
- ✓ „სოციალისტი“ – 10 წევრი.

ამ მოწვევის პარლამენტმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონი და დადგენილება მიიღო, რომელიც ამჟამად ძალაშია. აღსანიშნავია: „კანონი ამნისტიის შესახებ“, „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“, „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, „საქართველოს სარკინიგზო კოდექსი“ და სხვ.

თავი VIII – 2003 წლის 2 ნოემბრის – 2004 წლის 28 მარტის და 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნები (სააკაშვილის მმართველობის პერიოდი)

2003-2004 წლების საპარლამენტო არჩევნები

2003 წლის 2 ნოემბერს გაიმართა საპარლამენტო არჩევნები. პარლამენტის წევრთა შემადგენლობა განსაზღვრული იყო 235 წევრით. 150 აირჩეოდა პროპორციული, 85 კი – მაჟორიტარული წესით. დაწესებული იყო 7%-იანი საარჩევნო ბარიერი.



გამოქვეყნების წყარო, თარიღი	სსმ, 98, 05/09/2003
სარეგისტრაციო კოდი	010.180.000.05.002.002.

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №428

2003 წლის 2 სექტემბერი

ქ. თბილისი

რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის, „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10, მე-13, და მე-14 მუხლების შესაბამისად:

1. დანიშნოს რეფერენდუმი 2003 წლის 2 ნოემბერს.
2. სარეფერენდუმოდ გამოტანილი იქნეს საკითხი „თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა შემცირდეს და განისაზღვროს არა უმეტეს 150 დეპუტატით“.
3. რეფერენდუმის მომზადება და ჩატარება უზრუნველყოს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ.
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (მ. გოგიაშვილი) გამოყოს რეფერენდუმის ჩატარებისათვის საჭირო სახსრები საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.
5. საქართველოს სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებმა, სამხარეო ადმინისტრაციებმა, ქალაქების მერიებმა და რაიონების გამგეობებმა განახორციელონ ღონისძიებანი რეფერენდუმის ორგანიზებულად და კანონის მოთხოვნათა ზუსტი დაცვით ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.
6. ბრძანებულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

ე. შევარდნაძე

ამავე დღეს გაიმართა რეფერენდუმი, რომლის კითხვა იყო „სურდათ თუ არა საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს პარლამენტის წევრების რაოდენობის შემცირება 235-დან 150-მდე“. რეფერენდუმის მონაწილეთა უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა შეკითხვას. შემცირებული რაოდენობით არჩევნების თარიღი იყო 2008 წელი.

არჩევნებში მონაწილეობდა 18 პარტია. პროპორციული სისტემით საპარლამენტო არჩევნებში 7%-იანი ბარიერი გადალახა:

1. ბლოკმა „ახალი საქართველოსათვის“ – 21.32% (38 მანდატი);
2. დემოკრატიული აღორძინების კავშირმა – 18.84% (33 მანდატი);
3. ბლოკმა „სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა“ – 18.08% (32 მანდატი);
4. საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ – 12.04% (20 მანდატი);
5. ბლოკმა „ბურჯანაძე-დემოკრატები“ – 8.79% (15 მანდატი);
6. ბლოკმა „ახალი მემარჯვენეები (ახლები)“ – 7.35% (12 მანდატი).

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგები გაუქმდა მხოლოდ სამ ოლქში (#63 აბაშა, #56 ჭიათურა, #23 ბოლნისი).

არჩევნების შედეგები მოსახლეობის დიდმა ნაწილმა გაყალბებულად ჩათვალა, რის გამოც გაიმართა საპროტესტო გამოსვლები და 2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოში მოხდა ე.წ. „ვარდების რევოლუცია“. არჩევნების შედეგები გაუქმდა, მაჟორიტარული წესით ჩატარებულის გარდა და დაინიშნა ხელახალი არჩევნები.

მაჟორიტარული წესით აირჩა 85 მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულებიდან. მათგან 12 მაჟორიტარ დეპუტატს ავტომატურად მიენიჭა უფლებამოსილება, როგორც აფხაზეთის რაიონების მაჟორიტარ დეპუტატებს, ხოლო დანარჩენ 73 მაჟორიტარულ ოლქში არჩევნები ჩატარდა ჩვეულებისამებრ (2004 წლის აგვისტოში, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აფხაზეთის დეპუტაციას უფლებამოსილება შეუწყდა).

მაჟორიტარული მანდატები ასე გადანაწილდა :

- ✓ ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“ – 19 მანდატი;
- ✓ ბლოკი „სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა“ – 10 მანდატი;
- ✓ ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატები“ – 7 მანდატი;
- ✓ დემოკრატიული აღორძინების კავშირი – 6 მანდატი;
- ✓ ლეიბორისტული პარტია – 3 მანდატი;
- ✓ ბლოკი „ახალი მემარჯვენეები“ – 4 მანდატი;
- ✓ ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 4 მანდატი;
- ✓ დამოუკიდებელი კანდიდატები (წარდგენილი საინიციატივო ჯგუფების მიერ) – 20 მანდატი;
- ✓ აფხაზეთის დეპუტაცია – 12 მანდატი.

2004 წლის 28 მარტს ჩატარდა მეექვსე მოწვევის ხელახალი პროპორციული საპარლამენტო არჩევნები.

არჩევნებში 7%-იანი ბარიერი გადალახა ახლად შექმნილმა ბლოკმა „ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები“ (66,24% – 135 მანდატი) და „მემარჯვენე ოპოზიციამ - მრეწველები, ახლები“ (7,56% – 15 მანდატი).

მიხეილ მაჭავარიანი და ნინო ბურჯანაძე

პარლამენტის წევრთა რაოდენობა საარჩევნო კოდექსის თანახმად იყო 235.

პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს ნინო ბურჯანაძე. მოადგილედ – მიხეილ მაჭავარიანი.

პარლამენტში შეიქმნა 4 ფრაქცია:

1. „ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები“;
2. „მაჟორიტარები“;
3. „დამოუკიდებელი მაჟორიტარები“;
4. „მემარჯვენე ოპოზიცია“.

ასევე შეიქმნა დამოუკიდებელ პარლამენტის წევრთა საკოორდინაციო საბჭო.

წინა მოწვევის პარლამენტისგან განსხვავებით, შემცირდა კომიტეტების რაოდენობა. სულ შეიქმნა 13 კომიტეტი:

1. აგრარულ საკითხთა;
2. ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის;
3. საფინანსო-საბიუჯეტო;
4. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის;
5. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების;
6. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის;
7. ევროპასთან ინტეგრაციის;
8. თავდაცვისა და უშიშროების;
9. რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების;
10. იურიდიულ საკითხთა;
11. საგარეო ურთიერთობათა;
12. საპროცედურო საკითხთა და წესების;
13. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა.



დოკუმენტის ტიპი	საქართველოს პარლამენტის დადგენილება
გამოქვეყნების წყარო, თარიღი	სსმ, 46, 30/04/2004
სარეგისტრაციო კოდი	000000000.00(0).000.000000

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის კომიტეტების შემადგენლობის განსაზღვრისა და პარლამენტის კომიტეტებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს VI მოწვევის პარლამენტის კომიტეტების შემადგენლობის განსაზღვრისა და პარლამენტის კომიტეტებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების მიზნით:

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 30-ე და 31-ე მუხლების შესაბამისად შეიქმნას კომიტეტები და განისაზღვროს პარლამენტის კომიტეტების შემადგენლობა:

ა) აგრარულ საკითხთა – 20 წევრი;
ბ) ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის – 15 წევრი;
გ) საფინანსო-საბიუჯეტო – 21 წევრი;
დ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის – 25 წევრი;
ე) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების – 15 წევრი;
ვ) დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის – 25 წევრი;
ზ) ევროპასთან ინტეგრაციის – 21 წევრი;
თ) თავდაცვისა და უშიშროების – 25 წევრი;
ი) რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების – 25 წევრი;
კ) იურიდიულ საკითხთა – 21 წევრი;
ლ) საგარეო ურთიერთობათა – 21 წევრი;
მ) საპროცედურო საკითხთა და წესების – 15 წევრი;
ნ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა – 20 წევრი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 125-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს პარლამენტის კომიტეტებში

ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წლის 6 თებერვალს, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებიდან უმთავრესი იყო პრემიერ-მინისტრის თანამდებობისა და მინისტრთა კაბინეტის შემოღება. ამ ცვლილებების შედეგად საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკად გადაიქცა, თუმცა პრეზიდენტის უფლებამოსილება ამ შემთხვევაში საპრეზიდენტო რესპუბლიკისას არ ჩამოუვარდებოდა. ქვეყანაში დარჩა ძლიერი პრეზიდენტი, რომელიც აკონტროლებდა მთავრობას და მისი დათხოვნა შეეძლო.

პრეზიდენტმა ასევე მიიღო პარლამენტის დათხოვნის უფლება. ამის გაკეთება მას შეეძლო, თუკი პარლამენტი ბიუჯეტს არ დაამტკიცებდა, ანდა მთავრობის გადაყენებას მოითხოვდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტი ერთპალატიანია და პრეზიდენტისთვის მისი დათხოვნის უფლების მინიჭებით მკვეთრად დასუსტდა პარლამენტი.

ვენეციის კომისიამ საქართველოს ხელისუფლებას მიუთითა, რომ განხორციელებული ცვლილებები არ შეესაბამებოდა ევროპულ სტანდარტებს და საჭირო იყო შესწორებების შეტანა, თუკი საქართველოს დასავლეთთან დაახლოება

სურდა. ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რაზეც შენიშვნა გამოთქვა ვენეციის კომისიამ, ეხებოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ვენეციის კომისია მიიჩნევდა, რომ პრეზიდენტს გადამეტებული უფლებები ეძლეოდა და ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ვენეციის კომისიამ ისიც აღნიშნა, რომ ძლიერი პარლამენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალი დემოკრატიის ქვეყნებისათვის.

ამ მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული კანონებიდან, აღსანიშნავია: „კანონი მაუწყებლობის შესახებ“, „კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, „კანონი საპარლამენტო მდივნის შესახებ“, „კანონი სიტყვისა და თავისუფლების გამოხატვის შესახებ“, „კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, „კანონი სოციალური დახმარების შესახებ“ და სხვ.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნები (მე-7 მოწვევა)

2008 წლის 21 მაისს ჩატარდა მეშვიდე მოწვევის საპარლამენტო არჩევნები. ევროსაბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად, 7 პროცენტიანი საარჩევნო ზღვარი 5 პროცენტამდე შემცირდა. საპარლამენტო მანდატების რაოდენობა 2003 წლის 2 ნოემბერს გამართული რეფერენდუმის თანახმად 150 იყო. საქართველოს პარლამენტის 75 წევრი პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩა, ხოლო 75 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

არჩევნებში მონაწილეობდა 12 პარტია და 5%-იანი ბარიერი პროპორციული სისტემით გადალახა შემდეგმა პარტიამ (ბლოკმა):

1. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გამარჯვებული საქართველოსთვის“ – 59.18% (48 მანდატი);
2. გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები) – 17.73% (15 მანდატი);
3. გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები – 8.66% (6 მანდატი);
4. „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ – 7.44% (6 მანდატი).

მაჟორიტარული მანდატები ასე განაწილდა:

1. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 71 მანდატი;
2. რესპუბლიკური პარტია – 2 მანდატი;
3. ქრისტიან დემოკრატები – 1 მანდატი;
4. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 მანდატი.

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3465736. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა კი – 1850407.

ჩატარებული არჩევნების მიმართ უნდობლობის გამო, არჩევნებში გამარჯვებულმა გაერთიანებული ოპოზიციის ნაწილმა საპარლამენტო მანდატზე უარი თქვა და არ შევიდა პარლამენტში.

ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოიპოვეს საპარლამენტო მანდატი, მასზე უარი არ თქვეს. თუმცა, პოლიტიკური მოტივით 4 წლის განმავლობაში, არცერთ პლენარულ სხდომას არ დასწრებიან.

პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დავით ბაქრაძე.

თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩიეს:

- ✓ მიხეილ მაჭავარიანი (პირველი მოადგილე);
- ✓ გიორგი წერეთელი;
- ✓ რუსუდან კერვალიშვილი;
- ✓ ფრიდონ თოდუა;
- ✓ ლევან ვეფხვაძე;
- ✓ ანზორ ბოლქვაძე;
- ✓ პაატა დავითაია.

მარცხნივ დავით ბაქრაძე

პარლამენტში შეიქმნა 5 ფრაქცია:

1. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 98 წევრი ;
2. „საქართველოს რეგიონები - მაჟორიტარები“ – 14 წევრი;
3. „ქრისტიან - დემოკრატები“ – 7 წევრი;
4. „ძლიერი საქართველო“ – 6 წევრი;
5. „ერთობა სამართლიანობისათვის“ – 7 წევრი.

ფრაქციის გარეშე დარჩა პარლამენტის 5 წევრი.

საპარლამენტო უმრავლესობაში გაერთიანდა 2 ფრაქცია: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „საქართველოს რეგიონები – მაჟორიტარები”.
საპარლამენტო უმცირესობაში გაერთიანდა „ქრისტიან-დემოკრატები“ და „ძლიერი საქართველო“.
დამოუკიდებელ ფრაქციად ჩამოყალიბდა „ერთობა სამართლიანობისათვის“.

2008 წლის მეშვიდე მოწვევის პარლამენტში, კომიტეტების რაოდენობა ისევ გაიზარდა და გახდა 15:

1. აგრარულ საკითხთა;
2. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის;
3. განათლების, მეცნიერების და კულტურის;
4. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების;
5. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის;
6. ევროპასთან ინტეგრაციის;
7. თავდაცვისა და უშიშროების;
8. იურიდიულ საკითხთა;
9. რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების;
10. საგარეო ურთიერთობათა;
11. საპროცედურო საკითხთა და წესების;
12. საფინანსო - საბიუჯეტო;
13. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა;
14. დიასპორისა და კავკასიის საკითხთა;
15. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა.

2008 წლის მოწვევის პარლამენტში, 2009 წელს დაწყებული საკონსტიტუციო რეფორმის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად გამოცხადდა „ევროპული ტიპის კონსტიტუციის“ მიღება და ხელისუფლების შტოების დაბალანსება.

პრეზიდენტის ადრინდელი უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა პრემიერ-მინისტრზე, რომლის პოსტზე კანდიდატურას საპარლამენტო უმრავლესობა წარადგენდა. თავის მხრივ, ეს უმრავლესობა შეიძლება არჩევნებში გამარჯვებული ერთი პარტია ყოფილიყო, ანდა რამდენიმე პარტიის კოალიცია.

საკონსტიტუციო ცვლილებების ოპონენტები აღნიშნავდნენ, რომ საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკად კი არა, „პრემიერ-მინისტრის რესპუბლიკად“ გადაიქცა, რადგანაც უფლებამოსილება პრეზიდენტისგან პარლამენტს კი არა, სწორედ პრემიერ-მინისტრს გადაეცა, რომელსაც პარლამენტი, ერთხელ არჩევის შემდეგ, ადვილად ვეღარ გადააყენებდა.

ამ მოწვევის პარლამენტმა მიიღო „კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, „კანონი საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“ და სხვ.

თავი IX – 2012 წლის 1 ოქტომბრის და 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

2012 წლის არჩევნები

საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის არჩევნები ჩატარდა 2012 წლის 1 ოქტომბერს. ეს იყო პირველი არჩევნები დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომელშიც მმართველი პარტია დამარცხდა და ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა. არჩევნებზე ცესკომ რეგისტრაციაში 18 სუბიექტი გაატარა, აქედან მხოლოდ ორი საარჩევნო ბლოკი. საარჩევნო ბლოკად დარეგისტრირდა კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“, რომელიც ექვს პარტიას აერთიანებდა.

აგრეთვე ბლოკად დარეგისტრირდა „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“, რომელშიც შევიდნენ მოქმედ პარლამენტში წარმოდგენილი ორი პარტია.

სხვა პარტიებმა არჩევნებში მონაწილეობა დამოუკიდებლად მიიღეს.

„პარლამენტის რეგლამენტის“ 2012 წლის ივლისის მდგომარეობის თანახმად, არჩევნები შერეული სისტემით ჩატარდა. 150 პარლამენტის წევრი უნდა არჩეულიყო 77 პროპორციული და 73 მაჟორიტარული სისტემით.

2011 წელს საკონსტიტუციო ცვლილების შედეგად, პარლამენტის ადგილსამყოფელად განისაზღვრა ქალაქი ქუთაისი და 2012 წლის 21 ოქტომბერს, ახალარჩეული პარლამენტი შეიკრიბა ქუთაისის პარლამენტის სასახლეში.

პარტიებს 73 მაჟორიტარულ ოლქში ჰყავდათ წარდგენილი კანდიდატები. თითოეულ ოლქში 2-დან 10 კანდიდატამდე მონაწილეობდა. მხოლოდ ორი სუბიექტი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ და „ბიძინა ივანიშვილი – ქართული

ოცნება“ იყო ყველა მაჟორიტარულ ოლქში წარმოდგენილი საკუთარი კანდიდატურებით.

უმეტესობა მაჟორიტარულ ოლქებში საკუთარი კანდიდატები ჰყავდათ წარდგენილი „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებას“, „მემარჯვენეებსა“ და „ლეიბორისტებს“.

არჩევნებში მონაწილეობა 2215661-მა ამომრჩეველმა მიიღო. პარლამენტში მანდატების მოპოვებისათვის აუცილებელი 5% ბარიერი მხოლოდ ორმა პოლიტიკურმა ძალამ გადალახა და ასევე მათ მოიგეს მაჟორიტარული ოლქები. პირველ ადგილზე გასულმა „ბიძინა ივანიშვილი – ქართულმა ოცნებამ“ 44 მანდატი მიიღო პარტიული სიით. კოალიციამ 41 მაჟორიტარული მანდატი მიიღო: მოიგო ყველა ოლქი თბილისში, გურიაში, მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში, ასევე მოიგო კახეთისა და იმერეთის ოლქების უმრავლესობა. მეორე ადგილზე გასულმა ბლოკმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ 33 მანდატი მოიპოვა პროპორციული წესით და მოიგო ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელოს მაჟორიტარული ოლქების უმეტესობა.

„ქართულმა ოცნებამ“ ჯამში 85 მანდატი მიიღო, რაც საკმარისი აღმოჩნდა მთავრობის ფორმირებისთვის, მაგრამ არა კონსტიტუციის ცვლილებისთვის. ახალარჩეულმა პარლამენტმა ქუთაისში დაიწყო ფუნქციონირება.

არჩევნების შედეგები აღიარა ყველა მონაწილე მხარემ. საპარლამენტო არჩევნებს პირველი შეფასება მისცა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელმაც განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური გუნდი დამარცხდა არჩევნებში და გადადის ოპოზიციაში. მოგვიანებით ასეთივე განცხადება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“-ის ლიდერმა დავით ბაქრაძემაც გააკეთა.

„ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების შედეგები სადავო გახდა რამდენიმე ოლქში, მათ შორის ზუგდიდში, სადაც კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ კონკურენტი როლანდ ახალია გაყალბებაში დაადანაშაულა და ხაშურში, სადაც კენჭისყრის დღეს რამდენიმე საარჩევნო უბანში სპეცდანიშნულების რაზმი შეიჭრა. ცესკომ ხაშურის, გორისა და სიღნაღის რამდენიმე უბანში ხელახალი კენჭისყრა დანიშნა.

დავით უსუფაშვილი

არჩევნები აღიარეს და დადებითი შეფასებები მისცეს ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ნატოს გენერალურმა მდივანმა, ევროკავშირის წარმომადგენლებმა.

პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს დავით უსუფაშვილი. თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩიეს: მანანა

კობახიძე, ზვიად ძიძიგური, გიორგი ბარამიძე (ოპოზიცია) და მურმან დუმბაძე (აჭარა).

საპარლამენტო კომიტეტების რაოდენობა ისევ 15 დარჩა:

1. აგრარულ საკითხთა;
2. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის;
3. განათლების, მეცნიერების და კულტურის;
4. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების;
5. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის;
6. დიასპორისა და კავკასიის საკითხთა;
7. ევროპასთან ინტეგრაციის;
8. თავდაცვისა და უშიშროების;
9. იურიდიულ საკითხთა;
10. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის;
11. საგარეო ურთიერთობათა;
12. საპროცედურო საკითხთა და წესების;
13. საფინანსო-საბიუჯეტო;
14. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა;
15. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა.

პარლამენტის პირველივე სხდომაზე ფრაქციები, უმრავლესობა და უმცირესობა შეიქმნა. უმრავლესობაში შემავალი ფრაქციები იყო:

- ✓ „ქართული ოცნება“ ;
- ✓ „ქართული ოცნება - თავისუფალი დემოკრატები“;
- ✓ „ქართული ოცნება - რესპუბლიკელები“.

ხოლო უმცირესობის შემადგენლობაში შევიდნენ შემდეგი ფრაქციები:

- ✓ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
- ✓ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარები“;
- ✓ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - რეგიონები“.

ცალკე იყო ფრაქცია „უპარტიო დამოუკიდებელი მაჟორიტარები“.

2014 წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენა საკანონმდებლო ორგანოში, უმრავლესობის შემადგენლობაში ცვლილება გახდა. 2014 წლის 5 ნოემბერს კოალიცია „ქართული ოცნების“ რიგები დატოვეს ,,თავისუფალმა დემოკრატებმა“,

რასაც წინ უძღოდა 4 ნოემბერს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას თანამდებობიდან გათავისუფლება.

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, უმრავლესობის შესაქმნელად საჭირო იყო 76 დეპუტატი. შესაბამისად, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა საპარლამენტო უმრავლესობის არსებობა. პარლამენტში უმრავლესობის შენარჩუნება ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრების უმრავლესობაში გაერთიანებით მოხერხდა. საპარლამენტო უმრავლესობის რიგებს შეუერთდა ფრაქცია „უპარტიო დამოუკიდებელი მაჟორიტარები“ და პარლამენტში ახლად შექმნილი ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარები – ძლიერი რეგიონებისთვის“.

„ეროვნულმა ფორუმმა“ 2016 წლის აპრილის დასაწყისში, განცხადება გააკეთა „ქართული ოცნების“ კოალიციიდან გასვლის შესახებ, დატოვა უმრავლესობა და დაკავებული თანამდებობი. ამას წინ უძღოდა კოალიციის წამყვანი პარტიის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერის, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ კოალიციის სუბიექტები არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებდნენ მონაწილეობას.

მიღების თარიღი	27/06/2014
დოკუმენტის ტიპი	საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება
გამოქვეყნების წყარო, თარიღი	ვებგვერდი, 11/09/2014
სარეგისტრაციო კოდი	480610000.03.030.016275
კონსოლიდირებული პუბლიკაციები	17/06/2021

კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო)

(სრულად შედის ძალაში - 2016 წლის 1 ივლისიდან)

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას", რომელიც რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს.

შეთანხმების 431-ე მუხლი ითვალისწინებს შეთანხმების ძალაში შესვლამდე, მისი დროებითი გამოყენების პირობებს. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დროებით გამოყენება ძალაში შევა შეთანხმების დეპოზიტარის მიერ შესაბამისი დოკუმენტების მიღების თარიღიდან მეორე თვის პირველ დღეს, რაც მოიცავს - საქართველოს მიერ შეთანხმების სარატიფიკაციო სიგელის დეპონირებასა და ევროკავშირის საპასუხო შეტყობინებას ამ შეთანხმების მიმართ შესაბამისი პროცედურების დასრულების შესახებ, რომელშიც ასევე მითითებული იქნება შეთანხმების ის ნაწილები, რომლებიც გამოიყენება დროებით.

2014 წლის 25 ივლისს შეთანხმების სარატიფიკაციო სიგელი გადაეცა ევროკავშირის სამჭოს გენერალურ სამდივნოს, რის საფუძველზეც გენერალურმა სამდივნომ ქართულ მხარეს გადმოსცა შესაბამისი ნოტიფიკაცია, სადაც შეთანხმების 431-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შეთანხმების დროებითი გამოყენების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრა *2014 წლის 1 სექტემბერი* და ასევე მოწოდებულ იქნა შეთანხმების იმ ნაწილების ჩამონათვალი, რომელზედაც გავრცელდება დროებითი გამოყენება, შეთანხმების ძალაში სრულად შესვლამდე.

2012 წლის მოწვევის პარლამენტმა, 2014 წელს მოახდინა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება. ასევე, ახლადარჩეულმა პარლამენტმა კონსტიტუციაში რამდენიმე ცვლილების შეტანით, შეზღუდა პრემიერ-მინისტრის უფლებები. ეს მოდელი უფრო დაუახლოვდა საპარლამენტო მოდელს.

ამ მოწვევის პარლამენტმა მიიღო მნიშვნელოვანი კანონებიც. კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“, „სახელმწიფო ენის შესახებ“, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ და სხვ.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები (მე-9 მოწვევა)

საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის არჩევნები ჩატარდა 2016 წლის 8 ოქტომბერს. მანამდე, 2015 წლის 23 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და ვენეციის

კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცვლილებები შეიტანა მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრებში. კერძოდ, საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობა 15%-იანი ცდომილების ფარგლებში მოაქცია. აღსანიშნავია ასევე, რომ მაჟორიტარული კანდიდატებისთვის დაწესებული 30%-იანი ბარიერი გაიზარდა 50%+1-მდე.

არჩევნებში მონაწილეობდა 25 საარჩევნო სუბიექტი: 19 პარტია და 6 ბლოკი. საარჩევნო ბარიერი იყო 5%.

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგად საქართველოს მოსახლეობამ აირჩია საქართველოს პარლამენტის 150 წევრი, მათ შორის პროპორციული საარჩევნო სისტემით – 77 და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით – 73 წევრი. პროპორციული საარჩევნო სისტემით საპარლამენტო მანდატები მოიპოვეს შემდეგმა საარჩევნო სუბიექტებმა: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – 44 მანდატი (48.68%); „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 27 მანდატი (27.11%); „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ – 6 მანდატი (5.01%).

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით პარლამენტის წევრებად არჩეულები იქნენ: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ – 71 წევრი; „თოფაძე–მრეწველები, ჩვენი სამშობლო“ – 1 წევრი და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი, უპარტიო – 1 წევრი (სალომე ზურაბიშვილი).

არჩევნებში გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“.

ირაკლი კობახიძე

პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს ირაკლი კობახიძე. თავმჯდომარის პირველ მოადგილედ – თამარ ჩუგოშვილი. მეცხრე მოწვევის პარლამენტის ვიცესპიკერები უმრავლესობიდან გახდნენ: ილია ნაკაშიძე, ზვიად ძიძიგური და გიორგი ვოლსკი. საპარლამენტო უმცირესობიდან – სერგი კაპანაძე, ხოლო ფრაქციიდან „საქართველოს პატრიოტები“ – ირმა ინაშვილი.

2019 წლის ივნისში განვითარებული მოვლენების შედეგად (ე.წ. „გავრილოვის ღამე“), „ქართულმა ოცნებამ“ აიღო პოლიტიკური პასუხისმგებლობა და პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე გადადგა დაკავებული თანამდებობიდან.

2019 წლის 25 ივნისს, პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა არჩილ თალაკვაძე.

არჩილ თალაკვაძე

კომიტეტების რაოდენობა და დასახელება არ შეცვლილა და წინა მოწვევის მსგავსად, ისევ 15 დარჩა.

პარლამენტში შეიქმნა ფრაქციები, რომელშიც პარლამენტის არანაკლებ 6 წევრი უნდა ყოფილიყო.

2019 წელს „ქართული ოცნების“ უმრავლესობა 24-მა დეპუტატმა დატოვა. მათმა ნაწილმა ეს გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის გამო მიიღო, ნაწილმა კი გააპროტესტა ამა თუ იმ კანონპროექტის ჩავარდნა, მათ შორის, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა. შედეგად, „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა დაკარგა.

2020 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს პარლამენტში იყო 10 ფრაქცია.

საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ფრაქციები:

- ✓ ქართული ოცნება;
- ✓ ქართული ოცნება-მრეწველები;
- ✓ ქართული ოცნება-მწვანეები;
- ✓ ქართული ოცნება-ძლიერი ეკონომიკა;
- ✓ ქართული ოცნება-ძლიერი საქართველოსთვის.

ცალკე არსებული ფრაქციები იყო:

- ✓ ჩვენი საქართველო - დამოუკიდებელი დეპუტატები;
- ✓ ევროპული საქართველო;
- ✓ ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის;
- ✓ ევროპული საქართველო-რეგიონები;
- ✓ ნაციონალური მოძრაობა.

2017 წელს საქართველოში განხორციელდა საკონსტიტუციო რეფორმა, რომელმაც დაასრულა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გარდაქმნის პროცესი.

რადგანაც მოქმედი კონსტიტუცია ადგენდა „გაუმართავ საპარლამენტო მმართველობის სისტემას“, ამიტომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის მთავარ ამოცანად განისაზღვრა, კონსტიტუციის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან.

2020 წლის 1 ივლისს რეგლამენტში განხორციელდა ცვლილებები, რომლის თანახმად, ფრაქციის შექმნის უფლება მიეცა არანაკლებ 7 პარლამენტის წევრს. რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების ამოქმედების ვადად განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შესვლა.

2020 წლის 29 ივნისს საქართველოს პარლამენტმა სამი მოსმენით მიიღო საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც არსებითად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას ითვალისწინებდა 2024 წლიდან.

ასევე, კონსტიტუციური კანონის პროექტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული პარლამენტი პროპორციული სისტემით არჩეული 120 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 30 პარლამენტის წევრისგან იქნებოდა შედგენილი. თბილისში 8 მაჟორიტარული ოლქი იქნებოდა, აღმოსავლეთ საქართველოში — 10 და დასავლეთ საქართველოში – 12. საარჩევნო ბარიერად დადგინდა 1%.

2018 წელს მიღებული ახალი რეგლამენტით, პარლამენტის ადგილსამყოფელად განისაზღვრა საქართველოს დედაქალაქი – თბილისი.

მე-9 მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული კანონებიდან, აღსანიშნავია: „საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“, „საქართველოს კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ“, „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ბახტაძე, მიხეილი. *„დარბაზის“ არსებობის საკითხისათვის XI-XIV საუკუნეების საქართველოში.* თბილისი, 2017. http://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/SHROMEBI-12/007_Mikheil_Bakhtadze.pdf

გაზეთი *„ახალგაზრდა ივერიელი“,* 1990 წლის 13 ნოემბერი http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/313282/1/Axalgazrda_Iverieli_1990_N125.pdf

გაზეთი *„ახალგაზრდა ივერიელი“,* 3 ნოემბერი, 1990 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/301265/1/Axalgazrda_Iverieli_1990_N121.pdf

გაზეთი ახალგაზრდა ივერიელი, 15 ნოემბერი, 1990 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/301268/1/Axalgazrda_Iverieli_1990_N126.pdf

დემეტრაშვილი, ავთანდილი, და კობახიძე, ირაკლი. *კონსტიტუციური სამართალი: სახელმძღვანელო ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.* თბილისი, 2011

ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტო მატიანე. (ნანახია 16.08.2023) https://shorturl.at/zBV16

კვინიტაძე, გიორგი. *ჩემი პასუხი.* (ნანახია 16.08.2023) https://www.samshoblo.org/Giorgi%20Kvinitadzis%20Cemi%20pasuxi.htm

კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. რედაქტორი ავთანდილ დემეტრაშვილი. თბილისი, 2005. (ნანახია 16.08.2023) https://shorturl.at/irPQ4

კუბლაშვილი, კონსტანტინე. *პირველი ხელისუფლება - პარლამენტები და პარლამენტარიზმი,* თბილისი, 2022

კურტანიძე, ამირანი. „ისნის კარვის“ იდეა და ქართული კონსტიტუციონალიზმი”. საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი *„ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“ („History, Archaeology, Ethnology”)* http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/download/17/11

ლოვო,ფილიპ. *პარლამენტარიზმი*. თბილისი, 2005

ლორთქიფანიძე, გრიგოლი. *ფიქრები საქართველოზე.* თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995

მაცაბერიძე, მალხაზი. *საქართველოს პოლიტიკური სისტემა.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

მე-8 მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა, 21 ოქტომბერი 2012. (ნანახია 16.08.2023) https://parliament.ge/media/news/me-8-motsvevis-parlamentis-pirveli-skhdoma

მუსხელიშვილი, ჯაფარიძე, მელიქიშვილი, აფაქიძე, ლორთქიფანიძე, მეტრეველი, სამსონაძე, ასათიანი, ჯამბურია, ოთხმეზური, ნათმელაძე, ბენდიანიშვილი, დაუშვილი. *საქართველოს ისტორია 4 ტომად, ტომი 2. საქართველო ქრისტიანობის*

მიღებიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2012

მუსხელიშვილი, ჯაფარიძე, მელიქიშვილი, აფაქიძე, ლორთქიფანიძე, მეტრეველი, სამსონაძე, ასათიანი, ჯამბურია, ოთხმეზური, ნათმელაძე, ბენდიანიშვილი, დაუშვილი. *საქართველოს ისტორია, ტომი 4, საქართველოს ანექსიიდან საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამდე,* გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2012

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე : მემორიალური ალბომი 1864-1926. წინასიტყვაობის და ბიოგრაფიის ავტორი: ირაკლი ირემაძე. (ნანახია 16.08.2023) http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315506

პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში / FIRST UNIVERSAL DEMOCRATIC ELECTIONS IN INDEPENDENT GEORGIA. 2017. ავტორ-შემდგენლები: ირაკლი ირემაძე, სალომე ჭანტურიძე. (ნანახია 16.08.2023) https://shorturl.at/stBCH

რკინის ფარდიდან აბრეშუმის გზამდე, ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური მოღვაწეობა, თბილისი. 2018. (ნანახია 16.08.2023) http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/250873/1/RkinisFardidanAbreshumisGzamde.pdf

საარჩევნო კოდექსი, 2003 წლის აგვისტოს მდგომარეობით https://matsne.gov.ge/ka/document/view/15622?publication=7

საარჩევნო კოდექსი, 2003 წლის ნოემბრის მდგომარეობით https://matsne.gov.ge/ka/document/view/15622?publication=8

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მერვე მოწვევის პარლამენტის პირველი წლის მუშაობას აფასებს. 23 აპრილი, 2014. (ნანახია 16.08.2023) https://transparency.ge/ge/post/report/merve-motsvevis-parlamentis-pirveli-tslis-mushaobis-shepaseba

საქართველოს არჩევნების ისტორია 1990-2018, ცესკო, 2019. (ნანახია 16.08.2023) https://history.cec.gov.ge/PDF/ElectoralHistoryOfGeorgia.pdf?fbclid=IwAR3cm_Cw15DaXrAAV5Itc_rgL9CgRqvmiVMC88y_3vI6PBh4d_cEZi9X1tg

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი. მთავარი რედაქტორი დიმიტრი შველიძე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018. (ნანახია 16.08.2023) https://digitallibrary.tsu.ge/book/2019/wignebi/sakartvelos-damoukidebeli-respublikis-entsiklopedia.pdf

საარქივო კოლექციები. საქართველოს ეროვნული არქივი. (ნანახია 16.08.2023) https://archive.gov.ge/index.php/ge/saarkivo-kolektsiebi-1

საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის საქმიანობის შეფასება, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო. თბილისი, 2018. (ნანახია 16.08.2023) https://transparency.ge/sites/default/files/sakartvelos_parlamentis_ix_mocvevis_otxcliani_angarishi_2.pdf

საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის კომიტეტების შემადგენლობის განსაზღვრისა და პარლამენტის კომიტეტებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების თაობაზე; 22/04/2004. https://matsne.gov.ge/ka/document/view/42310?publication=0

საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ; 22/04/2004. https://matsne.gov.ge/ka/document/view/42094?publication=0

საქართველოს პარლამენტის საქმიანობის შეფასება, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, თბილისი, 2015. https://www.chemiparlamenti.ge/sites/default/files/2017-12/sakartvelos_parlamentis_sakmianobis_shepaseba_2014.pdf

საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992-1993, NN 1- 4 http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/290460

საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, N31-33 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/290521/1/Saqartvelos_Parlamentis_Uwyebebi_1995_N31-33.pdf

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კატალოგი. (ნანახია 16.08.2023) https://republic.archival-services.gov.ge/archive_viewer/?407735#23

საქართველოს პირველი რესპუბლიკა - საქართველოს ეროვნული არქივის მასალები. ავტორ-შემდგენლები: ბექა კობახიძე, დიმიტრი სილაქაძე, ანტონ ვაჭარაძე. (ნანახია 16.08.2023) https://www.academia.edu/33278561/The_First_Republic_of_Georgia

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/32056?publication=0

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ სახელწოდების შეცვლის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/32050?publication=0

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, აპრილი, 1991 (#291 დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი 1990, 9 აპრილი; #293 პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ) http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/290429/1/Umaglesi_Sabchos_Uwyebebi_1991_N4.pdf

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, ნოემბერი, 1990 (#280 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესიის მოწვევის შესახებ) http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/290380/1/Umaglesi_Sabchos_Uwyebebi_1990_N11.pdf

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. (ნანახია 16.08.2023) https://shorturl.at/rsvQ0

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, აგვისტო, 1990 (#205 საქართველო უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ-ის კანონი) http://217.147.235.82/bitstream/1234/290362/1/Umaglesi_Sabchos_Uwyebebi_1990_N8.pdf

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, ნოემბერი, 1989 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/290303/1/Umaglesi_Sabchos_Uwyebebi_1989_N11.pdf

ტრაპეზუნდისა და ბათუმის სამშვიდობო კონფერენციები 1918 წელი, თებერვალი - მაისი. დოკუმენტები და მასალები, პირველი გამოცემა, ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლისთავს (1918 - 2018), პასუხისმგებელი რედაქტორი ირაკლი იაკობაშვილი, თბილისი, 2018. (ნანახია 16.08.2023) http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/271050/1/TrapezundisaDaBatumisSamshvidoboGamocemebi.pdf

უზენაესი საბჭოს არჩევნები 1990 http://www.ivote.ge/archevnebi/saparlamento-archevnebi/uzenaisi-sabtcos-archevnebi-1990/shedegebi.html?lang=ka-GE

შაიო, ანდრაშ. *ხელისუფლების თვითშეზღუდვა.* თბილისი, 2003

შევარდნაძე, ედუარდი. *ფიქრი წარსულსა და მომავალზე.* თბილისი, 2018

შველიძე, დიმიტრი. *საქართველოს უახლესი ისტორია (1917-2012).* თბილისი, 2021

ცესკო - 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები. (ნანახია 16.08.2023) https://cesko.ge/res/old/other/11/11040.pdf

ცესკო - პარლამენტის არჩევნები 2008. (ნანახია 16.08.2023) https://cesko.ge/ge/archevnebi/2008/parlamentis-archevnebi-19-ge

ცესკო - პროგრესის 100 დღე. (ნანახია 16.08.2023). https://cesko.ge/res/old/other/7/7109.pdf

ცესკო - საქართველო პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი. (ნანახია 16.08.2023) https://cesko.ge/res/docs/20161116144542%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98.pdf

ცესკო - საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი. (არ გაიხსნა 16.08.2023) https://cesko.ge/res/docs/shemajamebeli2012.pdf

ცესკო - საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში. (ნანახია 16.08.2023) https://cesko.ge/static/res/docs/ParliamentAnnual2018Eng.pdf

ძმანაშვილი, ეკატერინე. *სამოხელეო წყობის საკითხისათვის XII საუკუნის საქართველოში*; სადოქტორო ნაშრომი. 2018 http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/ekaterinedzmanashvili.pdf

ხეცურიანი, ჯონი. საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო. *საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი - გამოცემა 1 (2018).* (ნანახია 16.08.2023) https://constcourt.ge/files/2/journal2018.1/John-Khetsuriani-2018.1Ka.pdf

ჯავახიშვილი, ივანე. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე. თბილისი, 1960

ჯანელიძე, ოთარი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 2018. (ნანახია 16.08.2023) http://217.147.235.82/bitstream/1234/271051/4/SaqartvelosDemokratiuliRespublikisNarkvevebi.pdf

Acting in accordance with the constitution. (ნანახია 16.08.2023) https://www.bundesregierung.de/breg-en/chancellor/acting-in-accordance-with-the-constitution-470512

Ancient Greek civilization. (ნანახია 16.08.2023) https://www.britannica.com/place/ancient-Greece

Britannica, T. Editors of Encyclopaedia. "president." *Encyclopedia Britannica*, July 4, 2023. https://www.britannica.com/topic/president-government-official

Byock, Jesse. The Icelandic Althing: Dawn of Parliamentary Democracy. http://www.viking.ucla.edu/publications/articles/icelandic_allthing.pdf

HISTORY OF DEMOCRACY. (ნანახია 16.08.2023) http://www.historyworld.net/wrldhis/PlainTextHistories.asp?ParagraphID=hol

HISTORY OF FRANCE. (ნანახია 16.08.2023) http://www.historyworld.net/wrldhis/PlainTextHistories.asp?ParagraphID=ema

HISTORY OF ICELAND. (ნანახია 16.08.2023) http://www.historyworld.net/wrldhis/PlainTextHistories.asp?ParagraphID=gqm

HISTORY OF POLAND. (ნანახია 16.08.2023) http://www.historyworld.net/wrldhis/PlainTextHistories.asp?historyid=ab01

Ihalainen, Pasi, Ilie, Cornelia and Palonen, Kari. *Parliament as a Conceptual Nexus,* (ნანახია 16.08.2023) https://www.academia.edu/35657246/Parliament_as_a_Conceptual_Nexus

Louis IX France, 1180 to c. 1490. (ნანახია 16.08.2023) https://www.britannica.com/place/France/Louis-IX

ORIGIN OF PARLIAMENTARISM: AN HISTORICAL REVIEW FROM ITS CRISIS: LEÓN (SPAIN) AS CRADLE OF PARLIAMENTARISM https://pdfs.semanticscholar.org/9d13/916bb8c020325598ca1669df37461533c50a.pdf

Palonen, Kari, and José María Rosales*. Parliamentarism and Democratic Theory: Historical and Contemporary Perspectives.* Barbara Budrich, 2015.

PARLIAMENT AND PARLIAMENTARISM, A Comparative History of a European Concept, Edited by Pasi Ihalainen, Cornelia Ilie, and Kari Palonen. Berghahn Books, 2017

PARLIAMENT: THE INSTITUTION. https://www.parliament.uk/documents/commons-information-office/Parliament-the-Institution.pdf

Parliamentarism and Democratic Theory: Historical and Contemporary Perspectives, edited by Kari Palonen, José María Rosales. (წანახია 16.08.2023) https://books.google.ge/books?id=CCNpDwAAQBAJ&pg=PA11&source=gbs_toc_r&cad=3#v=onepage&q&f=false

The Birth of Parliament by Dr Gwilym Dodd. (წანახია 16.08.2023) https://www.bbc.co.uk/history/british/middle_ages/birth_of_parliament_01.shtml

The German Caucasian Expedition Georgia 1918. (წანახია 16.08.2023) http://s400910952.websitehome.co.uk/germancolonialuniforms/georgia.htm

Thompson, Faith. *Short History of Parliament 1295-1642.* University of Minnesota, 1953. (წანახია 16.08.2023) https://www.scribd.com/document/374175102/Short-History-of-Parliament-1295-1642